

619
1988/2

ISSN 0130-1624

საქართველო
ბიბლიოთეკა




დაიბნენ ყველა, დაყვეს	დაინდგინა უსამართლო
დაინდგინა უსამართლო	ქრისტე აყვანილს დაეყვინა
ყველა დასამართლებელი	ყველა უსამართლო დაეყვინა
დაინდგინა უსამართლო	დაინდგინა უსამართლო

საქართველო



ქართული
ავიაკომპანია





№ 8 (619), აპრილი, 1988

შურნალი გამოდის 1923 წლიდან

ყოველთვიური საზოგადოებრივ-
კოლმედიური და სალიბერალური-
სამხატვრო შურნალი

საქართველოს კვ ტა-ის გამომცემლობა

© „დროშა“, 1988 წ.

მთავარი რედაქტორი

ოთარ ჭინჭაძე

სარედაქციო კოლეგია:

გულნარა ბახტაძე (პ/მგ. მღვიანე), ოთარ
ბერიშვილი, ვასილ გვეტაძე, ნათელა
გიორგობიანი, ოთარ დემეტრაშვილი, სერგო
დუმიშვილი, ვახტანგ ეშენაძე, ჯემალ მეს-
ხიშვილი, დინარა ნოდია (მხატვარ-რედაქტორი),
ლადო სულაბერიძე, ილია ტაბაღაძე, ნუგზარ
ფოფხაძე, გიორგი ჩარკვიანი, უჩა ჯაფარიძე.



9-10

ვალერიან მამუკალაშვილი
ბამარჯობა ხარება!..

11-14

ივარი ზალამბერიძე
რეგიონალური ეკონომიკა

12

თენგიზ ფერაძე
წერილი მიძღვნილია ელგუჯა
ამაშუაძელის დაბადების 60
წლისთავისადმი

13-14

ვლადიმერ ფერაკო
დროტარები საქართველოში.
წერილში მოთხრობილია
დროტარების თბილისურ
ეპიკოდებზე.



15-17

გულნარა ბახტაძე
შველა (მოთხრობა)

18-19

ალექსანდრა დლონტი
ანტონიო ჯარდინა.
ავტორი გვინამოვს იტალიელი
მისიონარის საქართველოში
მოღვაწეობის შესახებ.

20-22


მიხეილ შოლთსოვი
კვიცი (მოთხრობა)

23

უცხოური იუმორი

24

არნოლდ გეგეჭკორი
ტროკიკები



მოქანდაკე ელგუჯა ამაშუაძელი

2-3

ოთარ ჭინჭაძე
არის ასეთი პარტია

4-5

გიორგი ოჯაანელი
საფალავნო პრობლემები.
ავტორი მოგვითხრობს
წითელწყაროს რაიონის ქვემო
ქედის კოლმეურნეობის დღევანდელ
პრობლემებზე.

6-7

ი. ბელადინი. ქმოგილი
ბაზეთი „ვოლგოგრადსკაია კრავდა“

8

ია ბარათელი
მეთერთმეტე (ნარკვევი)



მოლოდინი დიდი იყო.
იმედებიც.

ბევრი ითქვა და დაიწერა კიდეც განსაკუთრებით ამ ბოლო ხანს, როცა პარტიასა და საზოგადოებაშიც ფართო დისკუსია გაიშალა სკკპ ცენტრალური კომიტეტის თეზისებში ჩამოყალიბებული დებულებების გამო. განხილვა მართლაც დაინტერესებული აღმოჩნდა. სიმართლის, ჭეშმარიტების დადგენის, ძიებისა და ყურადსაღები მიგნებების, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან პრობლემებზე გულახდილი სჯა-ბაასის მოწმენი და მონაწილენი გავხდით ჩვენ.

ასეთი რამ ადრე არ მომხდარა.

განახლების გზაზე მავალი დროის მათუწყებელია ეს.

ითქვა განხილვებში და ურთიერთსაწინააღმდეგოც, კრიტიკული და ანალიტიკურიც, დამაფიქრებელი და დასაფიქრებელიც. ისეთი, ჭკუას რომ ავარჯიშებს, აზროვნების პროცესს კვებავს და ადამიანის ინტელექტუალური ცხოვრების შინაარსს ამდიდრებს.

ისეთიც კი ითქვა და დაიწერა, რაც სიმართლეს არ ემსახურება და ამიტომაც შეუძლია ზიანის მოტანა. უკვე მოიტანა. უბრალოდ იმის გამო, რომ წარსულში დაშვებულ შეცდომებს, დამახინჯებებს, გადახრებს, აგრეთვე დანაშაულებრივ ქმედებებს აღარ სჭირდება არც რაიმის მიმატება და აღარც კიდევ უფრო გამუქება. მართალ სიტყვასთან ტყუილი აღარ უნდა შეაზავო, თორემ ის მართალი სიტყვაც უთუოდ ეჭვის ქვეშ აღმოჩნდება.

ეს არის სიბრძნე სიცრუისა.

და, ასეა ეს.
დიდი უბედურებაა, როცა მართალი სიტყვისაც აღარ სჯე-რათ იმის გამო, რომ სიცრუეში დაგიჭირეს.
მაგრამ რაც იყო, იყო. ის მატარებელი უკვე წავიდა. იგი ჩვენი გუშინდელი დღის შეფასებებითაა დატვირთული და ჭეშ-მარიტების დადგენა ისტორიულ მეცნიერებას მივანდოთ.

ჩვენ კი კვლავინდებურად ვირწმუნით, რომ არც სანთელ-საკმეველი კარგავს გზას და ადრე თუ გვიან სამართალიც პურს ჭამს.

ამჟამინდელ პრობლემებზეც საკმაოდ ითქვა. იმდენი არა, რამდენიც გუშინდელზე, მაგრამ მაინც. უპირატესად იმის თაობაზე, თუ როგორ გავაკეთოთ ეს უფრო უკეთ.

ეს — ესე იგი გარდაქმნის პროცესის გაღრმავება.

და აი, იგი შედგა — სკკპ XIX საკავშირო კონფერენცია. კონფერენცია, ანუ ერთ ადგილას შეკრება, გაერთიანება, კრება, რომელიც რაიმე საკითხის განხილვას ეძღვნება. განსახილველია სკკპ XXVII ყრილობის გადაწყვეტილებათა მიმდინარეობა და გარდაქმნის გაღრმავების ამოცანები.

გარდაქმნის გაღრმავების ამოცანები!

მ. ს. გორბაჩოვი:

— მაინც ვფიქრობ, რომ, როცა წარსულის შეცდომებსა და მწარე გაკვეთილებზე ვლაპარაკობთ, ჩვენ არანაკლები მომე-თხველობით და პრინციპულად, ვიდრე წინამორბედებს, უნდა მოვეყიდოთ საკუთარ თავს, აწმყოს, გვაანალიზოთ არა მარტო წარმატებანი, არამედ უკანასკნელი სამი წლის მანძილზე ჩვენი საქმიანობის შეცდომები და გაკვეთილებიც, გარდაქმნის მსვლე-ლობაში დაშვებული შეცდომები და ხარვეზები. და ამ თვალ-საზრისით თვითკრიტიკულად უნდა ვთქვათ: სამი წლის მან-ძილზე ჩვენ შეგვეძლო, მნიშვნელოვნად მეტი გავგვეკეთებინა, ვიდრე გავაკეთეთ გარდაქმნის მთავარი მიმართულებებით, უწი-ნარესად ჩვენი ეკონომიკის ეფექტიანობის ზრდის, მისი საბო-ლოდ შედეგების გაუმჯობესების მიმართულებით.

და უკვე კონფერენციის დასაწყისშივე წარმოთქმული ეს სიტყვები გაისმა როგორც უჩვეულო, მაგრამ მაინც ნაღდი მი-პატიყება გულახდილი, პირუთვნელი და ჭეშმარიტად პარტიული პრინციპულობისათვის დამახასიათებელი საუბრისათვის.

თავად მოხსენების თვითკრიტიკულმა ხასიათმა ჩაგვანდა გარდაქმნის ხანმოკლე პროცესში დაშვებულ შეცდომებში, და-გვანახა მისი დამუხრუჭების მექანიზმი და ძალები, ბიძგი მისცა დამოუკიდებელი, კრიტიკული და ანალიტიკური აზრის გაზე-დულ გამოვლენას.

სკკპ XIX საკავშირო კონფერენციამ არსებითად მოიცვა პარტიისა და ქვეყნის წინაშე ამ ეტაპზე მდგომ პრობლემათა მთელი კომპლექსი, მაგრამ მთავარი, არსებითი, ყველაზე მნიშ-

ვნელოვანი ამჯერად იყო პარტიის, როგორც პოლიტიკური ავან-გარდის, საკითხი.

ავანგარდი, ესე იგი წინა რაზმი, ანუ რაიმე საზოგადოებ-რივი ჯგუფის მოწინავე ნაწილი.

ასეთი როლის შესრულება დღეს იმას მოითხოვს რომ:

— პარტიამ საბოლოოდ უნდა თქვას უარი მბრძანებლურ-ზემოქმედებით მეთოდებზე და თავისი პოლიტიკა განახორციე-ლოს ორგანიზაციული, საკადრო, იდეოლოგიური მუშაობის მეშვეობით, ამასთან უმკაცრესად დაიცვას საბჭოთა კანონები და საზოგადოებრივი ცხოვრების დემოკრატიული პრინციპები;

— პარტიამ არ დაუშვას სახელმწიფო ორგანოების არავი-თარი მაგივრობა, არავითარი დიქტატი პროფკავშირების, კომ-კავშირის, სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების, შემოქმედე-ბითი თუ სხვა კავშირების მიმართ. თავის პოლიტიკურ კურსს საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში, მმართველი პარ-ტია ახორციელებს ჰოცილიონიანი კომუნისტის მეშვეობით, რომლებიც უნდა გახდნენ გარდაქმნისათვის, საზოგადოების რე-ვოლუციური განახლებისათვის აქტიური მებრძოლები.

— პოლიტიკური სისტემის რეფორმის პირობებში და შე-დეგად, როცა იცვლება პარტიული კომიტეტების ფუნქციები, აუცილებელია, ყოველ ჯერზე ხელახლა დაამტკიცო კონკრეტული საქმეებით ის რეალური ავტორიტეტი, რომელიც მთლიანად განსაზღვრავს პარტიის ხელმძღვანელ როლს.

ეს არის სკკპ XIX საკავშირო კონფერენციის მთავარი გა-ნაწესი, რომელიც აისახა რეზოლუციაში „ქვეყნის პოლიტიკუ-რი სისტემის რეფორმის პრაქტიკული განხორციელების ზო-გიერთი აუცილებელი ღონისძიების შესახებ“.

მაშ ასე: მიმდინარე წლის დამლევამდე უნდა განხორციელ-დეს პარტიული აპარატის რეორგანიზაცია და შეტანილ იქნეს საჭირო ცვლილებანი მის სტრუქტურაში, პარტიასა და საბჭო-ებს შორის ფუნქციების გამიჯვნის შესახებ მიღებულ გადაწყვე-ტილებათა გათვალისწინებით.

არ აღმოჩნდა იოლი და მარტივი, ისეთი როგორც ადრე გვახსოვს და მიჩვეული ვართ, ამ საკითხის განხილვა. იგი არც ჩვეული სტერეოტიპითა და არც ტრადიციული ერთსულოვანი მოწონების ვითარებაში მიმდინარეობდა. იყო სკკპ ცენტრალუ-რი კომიტეტის მოხსენების საქმიანი განხილვა — მისი ყოველ-მხრივი განსჯა, ანალიზი, კრიტიკული შეფასება. იყო ეჭვიც, სწრაფვა გარკვევისა და სიცხადისაკენ, იყო მაღალი პასუხის-მგებლობის გამოვლენა მიღებული გადაწყვეტილებებიდან გა-მომდინარე შედეგებისათვის.

იყო კონფერენციის პრეზიდიუმის სახელზე შესული დელე-გატის წერილიც, რომელმაც შესთავაზა ორატორებს გამოსვლის დროს ილაპარაკონ მხოლოდ დღის წესრიგის საკითხებზე, შეწყ-ვიტონ თვითანგარიშები და თეზისების განხილვის მიმდინარეო-ბის ქება-დიდება, რასაც ბევრი დრო მიაქვს.

და იყო მთავარი — მოსკოვის კრემლის ყრილობათა სასახ-ლეში მყოფი თითოეული დელეგატის სკკპ ცენტრალური კომი-ტეტის მოხსენებისადმი საკუთარი, პიროვნული, ინდივიდუალუ-რი დამოკიდებულების შთამბეჭდავი დემონსტრაცია, რასაც და-ძაბული და დაინტერესებული ყურადღებით ავსებდა სასახლის გარეთ მყოფი მრავალმილიონიანი აუდიტორია.

ასეთი რამ, თუნდაც არცთუ ისე შორეულ წარსულში, არ ხდებოდა.

რაც მართალია, მართალია — მიძინებულმა საზოგადოებ-რივმა ცნობიერებამ გაიღვიძა. ხოლო გაიღვიძა თუ არა, მოძ-რაობაში მოვიდა.

ახლა მთავარი ის არის, თუ რას მოიმოქმედებს მომავალში იგი — გამოღვიძებული საზოგადოებრივი ცნობიერება.

ეს კითხვა თავადაც დაისვა კონფერენციაზე და არცთუ შემთხვევით.

ჯერ კიდევ ბევრი რამ უცხო და უჩვეულოდ ძნელად აღსაქ-მელია.

მაგრამ მაინც უნდა ვიაროთ წინ, და გვახსოვდეს, რომ დღესაც ჯერ კიდევ ისევ მხოლოდ გზის დასაწყისში ვართ.

და მაინც კვლავ გამოღვიძებული ცნობიერებისა და საზო-გადოებრივი აზრის თაობაზე:

— რას იზამს იგი, ემსახურება გარდაქმნის საქმეს, დაად-გება კონსტრუქციული აღმშენებლობითი ძალისხმევის ზრდის.



შრომისა და პასუხისმგებლობის გზას, სოციალისტური საზოგადოების ნამდვილი განახლების გზას?

— თუ შედრება ახალი ამოცანების სირთულისა და უჩვეულობის წინაშე, აპყვება ვნებებსა და ემოციებს, ასცდება გზას და ამჯობინებს გარეგნულად მომგებიან თაოსნობებს, ამა თუ იმ ყალიბის კამპანიურობას?

— ანდა, მოპყვება ცხოვრებაზე წუწუნს და კვლავ რული მოერევა, რითაც ცამდე სწევს სიხარულით ყველას, ვისაც უძრაობის დრო მოსწონს?

არა.
ეს არ შეიძლება მოხდეს.
არ უნდა მოხდეს.

გარდაქმნის რთულმა, წინააღმდეგობრივმა პროცესმა გზადაგზა კვლავ წარმოაჩინა ახალი, მანამდე დაუნახავი პრობლემები და ისევ ახალი კითხვები შვა. ისეთი, რომლებზედაც ადრე არ დავფიქრებულვართ ან გვიფიქრია, მაგრამ თქმით მაინც ვერ გვითქვამს. გარდაქმნის განვითარებადი ხასიათი განაპირობებს იმის შესაძლებლობასაც და აუცილებლობასაც, რასაც თან აზრის კრიტიკული ტალღის აზვირთება მოსდევს.

ამჯერად ჩემთვის პრინციპულად მნიშვნელოვანი სწორედ ის არის, რომ სკკპ XIX საკავშირო კონფერენციაზე შედგა საზოგადოებრივი იერარქიის სხვადასხვა სართულის მაცხოვრებელთა აქამდე უჩვეულო დიალოგი.

თუნდაც ერთი ასეთი ეპიზოდი.
ორატორი, რომელიც პოლიტიკური სისტემის საკითხის განხილვისას ამბობს:

— ახლა, პარტიული ორგანოები ბევრ რამეში თავიზღვიანობენ და ეწვევიან სახელმწიფო ორგანოების მაგივრობას. სრულიად გაუგებარია, მაგალითად, სკკპ ცენტრალური კომიტეტის სამდივნო რატომ უთმობს თავისი დროის დიდ ნაწილს ისეთი საკითხების განხილვას, როგორც არის საპატიო წოდებების მინიჭება, ორდენებითა და მედლებით დაჯილდოება და სხვა, რომლებიც ხელისუფლების სახელმწიფო ორგანოების კომპეტენციაში შედის. უნდა განვთავისუფლდეთ აგრეთვე იმ არანორმალური მოვლენისაგან, როცა სკკპ ცენტრალური კომიტეტი აწყობს თათბირებს და იღებს დადგენილებებს წმინდა სამეურნეო საკითხებზე. თეზისების განხილვის პერიოდშიც კი აქ მოაწყვეს თათბირი კომბინირებული საკვების მრეწველობის და ქიმიის საკითხებზე. ჩვენ კი მშრომელები გვეკითხებიან: რაო, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს არ შეუძლია, გადაწყვიტოს ეს სამეურნეო პრობლემები?

დელეგატის ამ სიტყვებს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის დაუყოვნებელი რეაქცია მოპყვა და მათ შორის ასეთი დიალოგი გაიმართა:

— პო, ჯერ ვერ გარდავიქმენით — უნდა წავიმუშაოთ.
— საერთოდ, ყველა უნდა გარდავიქმნათ, მიხეილ სერგის ძვე, ჩვენც ადგილებზე, და აქაც უნდა გარდავიქმნათ.

— სწორია, სავსებით სწორია.
მსგავსი რამ აქამდე არ მომხდარა.
მსგავსს რამეს იერარქიულ უფროს-უმცროსობაში კაცი ვერ გაიხსენებს.

ისიც პრესაში გამოქვეყნებულს და წაკითხულს.
არა. ასეთი რამ არ მახსოვს.

არამცთუ იქ, — უმაღლეს დონეზე, არამედ არც აქ, ჩვენთან, საკუთარ სახლში.

ახლა ბევრს ნიშნავს თვით მოხსენების არა მარტო შინაარსი. ეს თავისთავად. არამედ, აგრეთვე ფორმაც, რომელიც აუდიტორიას დიალოგისათვის განაწყობს და მოსაწყენი, უნაყოფო თვითანგარიშების ნაცვლად საკუთრივ მოხსენებაში დასმული საკითხების განხილვაში ჩაგვაბამს.

ეს არის ამავე დროს პოლიტიკური კულტურის აღზრდის ერთი ქმედითი საშუალებათაგანი.

ქმედითი იმიტომ, რომ სწორედ ამ გზით არის შესაძლებელი სხვადასხვა დონის პარტიულ ფორუმებზე კომუნისტების პოლიტიკური კულტურის დონის ამაღლება და ისიც, რომ ისინი ახალ პირობებში პარტიული მუშაობის პედაგოგიკას ვაზიაროთ, რათა დავძლიოთ პარტიის წევრთა უმცირესი პასიურობაც.

ახალი ვითარება, რომელიც პოლიტიკური სისტემის რეფორმებს მოპყვა, პრინციპულად სხვაგვარ, განსხვავებულ სიტუაციას ქმნის პარტიის ხელმძღვანელი როლის გაგებისა და მისი უსრულობის თვალსაზრისით. პრინციპული აქ ის არის, რომ საქმე პარტიის რეალური ავტორიტეტის ამაღლებას, მის განმტკიცებას და საყოველთაოდ დამკვიდრებას ეხება.

ასეთი ავტორიტეტი გამორიცხავს მუშაობის მბრძანებლურ-ზემოქმედებითი მეთოდების გამოყენებას და არა მარტო გული-სხმობს, არამედ დაბეჭითებით მოითხოვს ყოველდღიურ პრაქ-

ტიკულ საქმიანობაში პოლიტიკური მეთოდებით ხელმძღვანელობას. იგი იმასაც მოითხოვს, რომ არსებითად განვასხვავდეთ და დავინახოთ კიდევ „თანამდებობის ავტორიტეტი“ რეალურ-მელსაც კაცი იძულებითი ძალით ექვემდებარება და რეალური ავტორიტეტი, როცა პარტიული კომიტეტის მდივანი ამავე დროს ჰემარტი პარტიული ლიდერია და თავისი ნამდვილი რეალური ავტორიტეტის წყალობით პატიოსნად ეწევა მძიმე, მაგრამ საპატიო და ფრიად საპასუხისმგებლო ჯაპანს.

გნებათ უღელი ვთქვათ.

უღელი დღეს სოფლის ასოციაციას იწვევს, ხოლო აგრარული პოლიტიკის დარგში დაშვებულმა უხეშმა შეცდომებმა იქამდე მიგვიყვანა, რომ სანამ ურემი გადაბრუნდება, საჭიროა მობილიზება გავუქეთოთ ყველაფერს სასურსათო პროგრამის გადაჭრისათვის და მთავარ ამოცანად დავისახოთ სოფლის მეურნეობის აღმაფლობა, რაც ჩვენი გლუხობისათვის ყოველნაირი დახმარების გაწევას მოითხოვს.

პოლიტიკური სისტემის რეფორმის შემდეგდროინდელი ვითარება სოფლისა და გლეხობისადმი პარტიული ორგანიზაციების, კომიტეტების, მათი ხელმძღვანელებისა და თითოეული მუშაკისაგან ახლებურ დამოკიდებულებას მოითხოვს. უწინარეს ყოვლისა, იგი სოფლის კომუნისტების გააქტიურებას საჭიროებს იმის გათვალისწინებით, რომ გლეხს მიწა და მიწის სიყვარული დაუბრუნოთ, რამეთუ მართლაც სერიოზულადაა შერყეული სოფლის განვითარების საფუძვლები.

რაც თავი მახსოვს, სულ ჯამა-სმასა და ჩაცმა-დახურვაზეა ლაპარაკი, მაგრამ საშველი მაინც არ დაგვადგა.

ახლაც ყურადღებით ვკითხულობთ XIX საკავშირო პარტიული კონფერენციისადმი სკკპ ცენტრალური კომიტეტის მოხსენებას, სადაც სიტყვა-სიტყვით შემდეგი წერია:

— თითქოსდა, ყველა კვანძი გახსნილია, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს, რაიონებს, ოლქებს, რესპუბლიკებს მინიჭებული აქვთ უფართოესი უფლებები მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების გასაზრდელად, სასურველი შედეგი კი ჯერ არ ჩანს.

რატომ?

თურმე იმიტომ, რომ ამ ბოლო დროის მრავალი გადაწყვეტილება აწყდება გაუგებრობას, გაჭინურებას მათს რეალიზაციაში, ყოველგვარ ბიუროკრატიულ დაბრკოლებებს, ზოგჯერ კი, უბრალოდ ახლებურად მუშაობის სურვილის უქონლობას.

კი მაგრამ, სადამდე ან რატომ უნდა ვიყოთ დამოკიდებული ვილაცის სურვილზე? ან, ხომ არ შეიძლება ბოლოს და ბოლოს გავიგოთ, რატომ არა აქვს ამ კაცს ახლებურად მუშაობის სურვილი და ეს საქმე იმას მივანდოთ, ვისაც ექნება ასეთი სურვილი.

მეტს გეტყვით.

სულ დავიბენი იმის გამო, რომ, მაგალითად, ბელგოროდის ოლქში შეძლეს გაუუმჯობესებინათ მოსახლეობის სასურსათო მომარაგება, ცელინოგრადის ოლქის სოფლის მშრომელებმა კი გაზარდეს ვაჭრობისათვის ხორცის, რძის, ბოსტნეულის მოწოდება, ხოლო უძრაობის მოვლენები კვლავ არის სხვებთან ერთად, აგრეთვე ამიერკავკასიის რესპუბლიკების, მაშასადამე, საქართველოს სოფლის მეურნეობაშიც.

სად არ ვყოფილვართ და ახლაც დავდივართ სხვისი გამოცდილების შესასწავლად: საზღვარგარეთ — კაპიტალისტურ თუ სოციალისტურ ქვეყნებში, საბჭოთა რესპუბლიკებში, ოლქებში, რაიონებში და, — არაფერი.

...ე კაცო, ქენით სიკეთე, წადით ვინმე ბელგოროდის ან ცელინოგრადის ოლქში და წამიყვანეთ მეც, იქნება გვეშველოს რამე. ამბავს მაინც ჩამოვიტან. დავწერ რამეს. ხალხი წაიკითხავს და გაიგებს მაინც.

ნუ გადავდებთ ამ საქმეს.

გარდაქმნამ შეუძლებელია დეკლარაციული ხასიათი მიიღოს.

სკკპ XIX საკავშირო კონფერენციაზე მიღებულ გადაწყვეტილებათა განხორციელება გადაუდებელი ხასიათისაა და მათ რეალიზაციას დაუყოვნებლივ უნდა შევეუდგეთ.

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირში შემავალი ხალხების პოლიტიკური ავანგარდი — საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია საეტაბო მნიშვნელობის ახალი ამოცანების წინაშე დგას.

მოლოდინი კვლავ დიდია.

იმედებიც.

მაგრამ იმედის გამართლება სხვისი მოიმედების იმედით არ ხერხდება.

ოთარ ჟინვალაძე

დროშა
საქ. სსრ კ. პარტისის
სახ. სახ. რესპუბ.



საქართველო კოლმეურნეობა

სოფელ ქვემო ქედის კოლმეურნეობის კანტორის ეზოში უჩვეულო ხალხმრავლობა და გამოცოცხლება: ვინ თბილისელ სტუმრებს რაღაცას უხსნის, ვინ რულებით ეზოს დიაგონალურად ზომავს, ზოგიერთები კი ფიჭვის კორომთან უშნოდ აჩოჩნილ, მზე-წვიმისაგან ჩამოშავებულ ბეტონის მასიური სტენდის წინ დოინჯშემოყრილნი დგანან და უკმაყოფილო გამომეტყველებით შესცქერიან მის პირქვეშ კედელს.

— ესეც დასანგრევია! აბა, ეს რაღა სტენდია?!

— ან აქ რა სასტენდე ადგილი იყო — ლაზათს უკარგავს ეზო-ყურეს!

— თუ ლაზათზე მიდგება საქმე, მოედანს ყველაზე მეტად აგერ ის მაღაზია გვისახიჩრებს.

სოფლის თავკაცები სტუმრებს მდუმარედ შეუძღვენენ მაღაზიაში, სადაც ისეთი სივიწროვე იყო, თავი კუდს ძლივს მოიჩვენებდა. სამრეწველო საქონელი, პარფიუმერია, ტყავ-გალანტერია, ელექტროსაქონელი, ჩასაცმელი, დასახური, რკინა-კავეული და ათასი წვრილმანი ერთმანეთში დომხალივით იყო არეული. სტუმრები თვალბდაჭყეტილნი მიაჩერდნენ ზემო ვიტრინებსა და დახლებზე გამწკრივებულ მინანქრის ვეებერთელა წალურჯო ტაშტებს. ტაშტები ეწყო გაძვირულ ტომრებზეც, იატაკზეც, ყუთებზეც, ყველა კუთხე-კუნჭულში.

— ეს რა, ტაშტების კულტია ქვემო ქედში, თუ არ იყიდება და რეკლამას უწევთ? — იკითხეს განცვიფრებულმა არქიტექტორებმა.

— არა, როგორ არ იყიდება, მაგრამ... — მორცხვად განაცხადა გამყიდველმა ქალმა და ქეშად გაიხედა, — მაგრამ როგორც გარეთ, შიგაც ისე დაგვწვიმს და საქონელი რომ არ დაგველუმპოს...

სტუმრებმა უმალ მადლა ალაპყრეს მხერა. ალაგ-ალაგ ბათქაშჩამონგრეული ჭერიდან წუწისაგან გადარეცხილი ტყეები ისე აჭყეტდნენ, როგორც ყვავ-ყორნების მიერ ნახევრადშეჭმული საქონლის ლეშიდან ჯიშინი ნეკნები.

— ეს რა ჩამოჩენილი შენობა გქონიათ, — მორიდებით შენიშნეს სტუმრებმა, — რომელ უწყებას ეკუთვნის მაღაზია?
— ცეკავშირს.
— მერე, არ აპირებენ ახლის აშენებას?
— ეჰ!..

სტუმარ-მასპინძლები ისევე გარეთ გამოიშალნენ და განაგრძეს ეზოს დაგეგმარება და ბჭობა.

მაინც რა ხდება? მოსახლეობამ გადაწყვიტა, რომ კოლმეურნეობის კანტორის ვრცელი ეზო, რომელიც ამავე დროს სოფლის ცენტრალურ მოედნადაც ითვლება, გააფართოონ, კეთილმოაწყონ და ძეგლი დაუდგან ვაჟა-ფშაველას, რომლის თაოსნობითა და უშუალო მონაწილეობითაც ამ საუკუნის დამდეგს დაიწყო ფშაველთა შირაქში ჩამოსახლება და დამკვიდრება.

თვით კოლმეურნეობა ვაჟა-ფშაველას სახელს ატარებს და წითელწყაროს რაიონში კი არა მთელს რესპუბლიკაშიც ერთი მოწინავეთაგანია. აქ ყველა მაჩვენებლის მიხედვით დიდი გადაჭარბებით ასრულებენ გეგმა-ვალდებულებებს. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, მარტო ეს რად ღირს: 1986-1987 წლებში მეცხოველეობის ფერმების სანიმუშოდ გამოზამთრების, პროდუქციის წარმოების ზრდისა და სახელმწიფოსათვის პროდუქტების გადაჭარბებით მიყიდვისათვის ქვემო ქედის კოლმეურნეობა გამარჯვებულად ცნეს საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში და საპატიო სიგელით, გარდამავალი წითელი დროშით, ახალთახალი ავტობუსით და ოთხი ათასი მანეთით დაჯილდოვდა.

სოფელი თანდათან კეთილმოწყობილი ხდება. აშენდა შინმოუსვლელთა პარკი, ღია საცურაო აუზი, შენდება სპორტული კომპლექსი და ავტოგარაჟი. მიმდინარეობს ცენტრის კეთილმოწყობა. პერსპექტივაშია შინმოუსვლელთა მუზეუმი, საშუალო სკოლის ახალი შენობა, ბავშვთა სასადილო, საყოფაცხოვრებო მომსახურების კომბინატი...

კოლმეურნეობაში სულ 37 ბრიგადა და მესამე წელია, რაც ყველა მათგანი კო-

ლექტიურ იჯარასა და სამეურნეო ანგარიშზეა გადასული. ამას გარდა თვით კოლმეურნეობის ხელმძღვანელობა, სპეციალისტები და დარგის ხელმძღვანელებიც 1986 წლიდან საიჯარო წესით მუშაობენ რომლის პრინციპი ასეთია: ისინი ავანსის სახით ლეზულობენ ხელფასის 80 პროცენტს. თუ მიმდინარე წლის ფულადი შემოსავალი გადაჭარბებს წინა ხუთწლედის საშუალო ფულად შემოსავალს, მაშინ ეძლევათ დარჩენილი 20 პროცენტი და პრემიაც.

სიახლემ, მონდომებამ და დაინტერესებამ შედეგი გამოიღო, ბედს არავინ ემდურის. შარშან კოლმეურნეობის ფულადმა შემოსავალმა ხუთი მილიონ 738 ათასი მანეთი შეადგინა, ხოლო წმინდა შემოსავალმა მილიონ 631 ათას მანეთს მიაღწია. თანდათან იზრდება კოლმეურნეობის თვითური გამომუშავებაც. დღესდღეობით იგი 230 მანეთს აჭარბებს.

კოლმეურნეობის შესაშურ წარმატებას ბევრი ფაქტორი განაპირობებს, მაგრამ ორი მათგანი განსაკუთრებით გამოირჩევა. პირველი ის არის, რომ გამგეობის თავმჯდომარე ზაურ ხუცურაული მცოდნე მეურნე და გამოცდილი ორგანიზატორია. იგი ადგილობრივი კაცია და იცის მიწის საიდუმლო, მოსავლის ავანჩავანი, ხალხის გაძლოლა, გლეხკაცის მოსმენა და მისი აზრის გაზიარება, ცდომილის დარწმუნება და სწორ გზაზე დაყენება, საჭიროების შემთხვევაში კი დათმობაც. სხვანაირად წარმოუდგენელია სოფლის მაღლიანი თავკაცი.

მართალია, ჯერ მხოლოდ შევიდოდენ წელია, რაც კოლმეურნეობას ჩაუყენეს სათავეში, მაგრამ თავმჯდომარისთვის ეს ერთობ არცთუ დიდი დროც საკმარისი გამოდგა, რომ სრულად გამოეჩინა თავისი უნარი და კოლმეურნეობა აღმავალი გზით წაეყვანა. ამაში ხუცურაულს ძველი გამოცდილება დაეხმარა: 13 წელიწადი ჯერ ამავე კოლმეურნეობის პარტიული კომიტეტის მდივანი იყო, 8 წელიწადი — სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე. ამიტომ მან კარგად იცის, სოფელში



ვის უჭირს და ვის უღონის, ამჩნევს სხვის სატყვიარს და წამალსაც პოულობს. ასეა: თუ უბრალო ხალხის გასაჭირს თვალს მოუხუჭავ, მაშინ ველარც ნდობას მოიპოვებ, ხოლო თუ მოგვიპოვებია, იმასაც დაკარგავ, სოფელს ვიღარ გაიყოლებ და კოლმეურნეობაც დაღუპვის გზით წავივს.

ვის არ მოეხსენება, რომ არა მარტო თვით თავმჯდომარის, არამედ მისი ოჯახის თითოეული წევრის საქმიანობა, ყოფაქცევა და მაგალითი წარუშლელ შთაბეჭდილებას ახდენს სოფელზე.

ამ მხრივ ქვემოქედლები ხინჯს ვერ უპოვიან თავიანთ თავკაცს. ხუცუტურაულის უფროსმა შვილმა, მაიამ, ისწავლა თუ არა, ისევე სოფელს დაუბრუნდა და საბაგეშვო ბაღში აღმზრდელად მუშაობს. ჯარჯამოვლილმა მურთაზმა მებაღეობა-მევენახეობის ფაკულტეტი ირჩია და ერთი სული აქვს, როდის დაამთავრებს, რომ ისევე მშობლიურ ველ-მინდვრებს მიაშუროს. მამუკა და ვაჟა ჯერ ისწავლობენ და, როგორც კოჭებზე ეტყობათ, არც ისინი აპირებენ მამა-პაპათა ფუძის მიტოვებას.

შვილების ხეირიანად აღზრდაში მამის ხელიც ურევია. და ეს ასეც უნდა იყოს, თორემ კოლმეურნეობის თავმჯდომარე თუკი თავის ღვიძლ შვილებს ვერ გაწვრთნის და დააკვალიანებს, ცხრაასკომლიან სოფელს როგორ უნდა მოუაროს და გაუძღვებს?!

მეორე ფაქტორი, რომელსაც კოლმეურნეობა აღმავლობის გზით მიჰყავს, ესაა სოფლის ჯანსაღი, გამრჯე ახალგაზრდობა. ვანსაკუთრებით გამოირჩევა პაატა მარაულის კომკავშირითი ბრიგადა, რომელიც მართალია, ძირითადად საკვებწარმოებაშია დასაბეციალებული, მაგრამ, როცა სადმე რამე გაჭირდება, ისინიც იქ გახდებიან ხოლმე და ახალგაზრდულ ცეცხლს დაანთებენ ტარიელ ბოძაშვილი, გიორგი ბარამიშვილი, გელა გორელაშვილი, შოთა პაპიაშვილი, როინ წიკლაური, ტარიელ და ომარ ტუქშიშვილები, თამაზ და ზაზა გაბითაშვილები, ვაჟა გულიაშვილი.

— ძნელია ყველა მოწინავე ახალგაზრდის ჩაწერა, ბლოკნოტში ადგილი აღარ დარჩება, — იცინის კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარის მოადგილე შალვა აფშინაშვილი, — აი, მაგალითად, მეცხოველეობის ფერმის გამგის ხვთისო ლოსეურაშვილის ტყუბი ბიჭები — ხეჩია და გოჩა — შარშან სკოლის დამთავრებისთანავე წავიდნენ სამუშაოდ ძროხაში. ფერმებშივე ტრიალებენ გოგია ბერიკაშვილი, შალვა ლოსეურაშვილი, მიხეილ გამცვლეშვილი... თუმცა, ქალიშვილებმა რაღა დააშავეს — ისე შრომობენ, რომ ვაუკაცებს შეშურდებათ. ლევან, შენი ჭირიმე, ერთი ხელფასების უწყისები ამოიღე!

— ახლავე, ახლავე, — მიუგო უფროსმა ეკონომისტმა ლევან თეთრაულმა. — აი, ირმა ლოსეურაშვილია შარშან 38 ტონა რძე ჩამოწველა და 4900 მანეთი გამოიმუშავა. ჯულიეტა ჭინჭარაულს 6000 მანეთი მოუწია, თამარ კოჭლიშვილს — 6400, ხოლო ვენერა გოგოლაურს — 6800 მანეთი. აჰა, დახედეთ, რომელ კაცსა აქვს ამდენი გამომუშავება: თვეში 560 მანეთს აჭარბებს. პროფესორის ხელფასია, რაღა!.. მევენახეობაშიც ბლომად გვეყვანან მოწინავე ახალგაზრდები: ნელი მიჯანკაშვილი, დარიკო თეთრაული, ნათელა ბაიაშვილი, ციციანო სვარიშვილი, კვირია



დარძული, დარიკო ხუცუტრაული, ნაირა ნადირაშვილი... რომელი ერთი დავასახელო!

გადასატრელი პრობლემები კი, დღეს, ეს უკვე როგორც წესი, საკმაოდ დაუგროვდა სოფელსა და კოლმეურნეობას. ზოგი მათგანი შემკვიდრებობითაა, ზოგიც გარდაქმნის პროცესშია წამოაყენა.

— ზემდგომი ორგანოებიდან ისევე ძველებურად გრძელდება ჩარევა და მეურვეობა, კვლავ თავის სტიქიაშია ქალაქმთხზველობა, — ჩაფიქრებით ამბობს გამგეობის თავმჯდომარე ზაურ ხუცუტრაული. — ეს კი მუშაობაში ხელს გვიშლის, გვბოჭავს... ჩვენი მეორე დიდი მუწუკია სამშენებლო მასალები! გვეგების შესრულებას, უხვ პროდუქციას მაკარად მოითხოვენ ჩვენგან, ხოლო ამხელა კოლმეურნეობას მასალა რომ დასჭირდება, ნურას უკაცრავად — იმდენი უნდა იარო, ეძებო, ეხვეწო, იწვალო, იეშმაკო, რომ სიცოცხლე გაგინახევრდება, სანამ...

— წყალი არ დაივიწყო, ბიჭო, წყალი, — ჩაერთია თეთრწვერიანი ბერიკაცი, — წყალზეც ჩააწერინე!

ხუცუტრაულმა ამოიხრა.

— ეჰ, წყალი დიდი ხანია, რაც მოვიგლოვით! ეს ისტორია გრძელი და მოსაწყენია და მე ცოტა მოკლედ ვიტყვი. ამხელა სოფელს სასმელი წყალი არა აქვს. თავის დროზე სიღნაღის საარაიონთაშორისო გაერთიანებამ იკისრა ლაგოდეხიდან კოოპერირებული წყლის გამოყვანა. ვიფიქრეთ, გვეშველაო და 1967 წლიდან მოკიდებული მარტო ჩვენი კოლმეურნეობიდან 700 ათას მანეთზე მეტი წაიღეს, მაგრამ დღემდე სოფელში წყალი კი არა, ერთი მეტრიც არ გაუთხრიათ, ერთი ქანგიანი მილიც არ მოუტანიათ. მართლა აღარ არის სამართალი?! 700 ათასი მანეთის „ბორჯომი“ რომ გვეყიდა, სოფელს ეს ყუფოდა სასმელად! დრო მიდის, ყოველწლიურად ჩვენგან ათი ათასობით მანეთი მივაქვთ, წყალი კი საერთოდ გვექნება თუ არა, კაციშვილმა არ იცის! როგორ მოვიქცეთ, რა დაგარქვათ ამას? გზები?! ამ ცენტრალურ გზაზე ხომ არ გაივლება! რაც ჩვენზეა დამოკიდებული, იმას ვერ ვითვით: სავლელ კალოებამდე მოსწორებული-მოხრეშილი გზები გვაქვს, მაგრამ ამ მთავარ გზას რა ვუყოთ. ეს უკვე სახელმწიფო გზა და ჩვენს ძალ-ღონეს აღემა-

ტება. არადა, ისეთ-ისეთი ორმოებია, რომ მანქანით კაკალი რომ გადაზიდოთ, ის დაიმტვრევა და ყურძენს რა ხეირი დაადგება! რთვლისას ეს გზები სულ ტკბილთაა მორწყული! ასეთსავე დღეშია მარცვლეულიც. მოკლედ, უხეირო გზების გამო ძალიან დიდია დანაკარგები.

თავმჯდომარე ჩაფიქრდა, შუბლი მოიხრისა.

— ცხოვრება წინ მიდის, სოფლისა და კოლმეურნეობის ზრდის კვალობაზე იზრდება მგზავრთა რიცხვი და ტვირთბრუნვა. ამიტომ კვლავ დღის წესრიგში დგება ერთ დროს წამოყენებული, მაგრამ ისევ გვერდზე გადადებული და მივიწყებული საკითხი — წითელწყაროდან ქვემო ჩეღამდე რკინიგზის გაყვანა. ისე კი, რა ადვილი იქნებოდა მშენებლობა: გვირახები არ არის გასაყვანი, მთებს არ დასჭირდებოდა გადათხრა, ხელისგულივით გაშლილ მინდროზე შპალისა და რელსის დაფენის მეტი არა ენდომება რა! დღეს შირაქს ჰაერივით სჭირდება რკინიგზა: ძველ დიდ ოთხ სოფელს — ზემო ქედს, არხილოსკალოს, ქვემო ქედსა და საბათლოს, სამთაწყარო და ფიროსმანიც მიემატა. აქედან ათასობით ტონა მარცვლეული, ყურძენი, პირუტყვი, ხილი, ბოსტნეული, თივა, ნამჯა და სხვა მრავალი სახის ტვირთი გადის, შემოტანილი კი რაღა არ შემოგვაქვს — სასოფლო-სამეურნეო მანქანები, საწვავ-საცხები, სამშენებლო მასალები, სასუქები, შხამქიმიკატები, საკვები პროდუქტები, მოწყობილობა-დანადგარები, ნერგი... ყველა ამის შემოზიდვა ძვირად გვაწევს კისერზე, რკინიგზით კი გაცილებით იაფი დაჯდება.

თავმჯდომარე ღია სარკმელთან მივიდა და ეზოში ცალი თვალით გადაიხედა.

— რა პრობლემებიც ახლა ჩამოვთვალე, ვიცი, რომ ისინი ერთ თვესა და ერთ წელიწადში ვერ გადაწყდება. რა დასამალია, ეს რთული, ნამდვილი საფლავრო საქმეებია, რომლებიც აი, ამათ უნდა გააკეთონ, მტკიცედ წარმოთქვა ხუცუტრაულმა და წარბით მანიშნა კოლმეურნეობის ეზოში ჯგუფ-ჯგუფად გამოჩენილ ახალგაზრდებზე, რომლებიც კომკავშირის კრებაზე მოდიოდნენ.

გიორგი ოზანელი.

По приглашению Советского правительства в официальную поездку в Москву выехали делегация во главе с заместителем Председателя Совета Министров СССР В. А. Шелеповым, заместителем министра культуры СССР А. М. Шейнманом, заместителем министра культуры СССР А. А. Шелеповым, заместителем министра культуры СССР А. А. Шелеповым.



სისხლს, არც თვით სიცოცხლეს ჰიტლერელი უფმინდურებისაგან სამშობლოს განთავისუფლებისათვის.

წერილის ავტორი ა. ვიროვიანსკი დასძინდა: „სამშობლომის გმირთან — უფროს ლეიტენანტ აბრამიშვილთან ერთად, ვისაც თავის პირად ანგარიშზე მტრის ათი ჩამოგდებული თვითმფრინავი ერიცხებოდა (პირველი მან ლენინგრადთან ჩამოაგდო!) პარტიის რიგებში შესვლაზე განცხადებები შეიტკანეს მამაცმა მფრინავებმა, ამხანაგებმა იაცენკომ, მაქსიმეცკომ, იგნატეცკამ, ვასილიეცკამ, რომანოვმა“, „ფოლადის ფრთების“ დროისაგან გაყვითლებულ სხვა ნომრებში კი უხვდაა მასალა იმაზე, თუ როგორ იცავენ ერთმანეთს საპაერო ბრძოლებში და ებრძვიან მტერს სტალინგრადის ცაზე აბრამიშვილი და იაცენკო, იგნატეცკი, ვასილიეცკი...

ПОБРАТИМ

К 45-летию победы над Сталинградом

Угрюмый вояка Ахадия и Вольский уроды, за ними бегут Юды итальянцы и в кавалерию, они вступили в бой с нашими маршевыми частями...
 В ОБЩИЙ вояка Гурьян...
 1941 წლის იანვარში...
 1942 წლის იანვარში...
 1943 წლის იანვარში...

ვითხოვთ თქვენ, რომ უსთხოვო ბიჭო და რეზინის სილით დაგვიხმადო და სწავლავდეთ ჩვენს ბიჭებს...
 ბიჭო, მე ვთხოვ ჩემს ბიჭებს, რომ ისინი დაგვიხმონ და სწავლავდეთ ჩვენს ბიჭებს...
 ბიჭო, მე ვთხოვ ჩემს ბიჭებს, რომ ისინი დაგვიხმონ და სწავლავდეთ ჩვენს ბიჭებს...



ბიჭო, მე ვთხოვ ჩემს ბიჭებს, რომ ისინი დაგვიხმონ და სწავლავდეთ ჩვენს ბიჭებს...
 ბიჭო, მე ვთხოვ ჩემს ბიჭებს, რომ ისინი დაგვიხმონ და სწავლავდეთ ჩვენს ბიჭებს...

ბიჭო, მე ვთხოვ ჩემს ბიჭებს, რომ ისინი დაგვიხმონ და სწავლავდეთ ჩვენს ბიჭებს...
 ბიჭო, მე ვთხოვ ჩემს ბიჭებს, რომ ისინი დაგვიხმონ და სწავლავდეთ ჩვენს ბიჭებს...

ბიჭო, მე ვთხოვ ჩემს ბიჭებს, რომ ისინი დაგვიხმონ და სწავლავდეთ ჩვენს ბიჭებს...
 ბიჭო, მე ვთხოვ ჩემს ბიჭებს, რომ ისინი დაგვიხმონ და სწავლავდეთ ჩვენს ბიჭებს...

ბიჭო, მე ვთხოვ ჩემს ბიჭებს, რომ ისინი დაგვიხმონ და სწავლავდეთ ჩვენს ბიჭებს...
 ბიჭო, მე ვთხოვ ჩემს ბიჭებს, რომ ისინი დაგვიხმონ და სწავლავდეთ ჩვენს ბიჭებს...

ბიჭო, მე ვთხოვ ჩემს ბიჭებს, რომ ისინი დაგვიხმონ და სწავლავდეთ ჩვენს ბიჭებს...
 ბიჭო, მე ვთხოვ ჩემს ბიჭებს, რომ ისინი დაგვიხმონ და სწავლავდეთ ჩვენს ბიჭებს...

ქართულ სოფელ ახალდაბასთან, ბორჯომის ხეობაში, ზედ მტკვრის პირას „შეგვხვდა“ იმ ადამიანს, რომლის სახელსაც კარგად იცნობენ მკვიდრი სტალინგრადელები. ის მემორიალის ნახევარსფერული კედლების სიმაღლიდან გადმოწყურებდა, სადაც მისი სკულპტურული პორტრეტი აღუმართავთ. გამარჯობა, ნიკოლოზ! გამარჯობა, ძმობილო...
 მე, სტალინგრადელი ბიჭუნა, 1942 წლის ნოემბერში მხოლოდ შეიდიოდე წელიწადს ვითვლიდი, შენ კი ოცდასამი წლისა იყავ. რომ დაგცლოდა, ალბათ ბევრს გვიამბობდი მაშინ იმაზე, თუ რა მკაცრად გაუსწორე ანგარიში ფაშისტ დამპყრობლებს სამაშულო ომის დაწყებისთანავე, რა მამაცურად ებრძოდი ჰიტლერულ ასპიტებს ლენინგრადის, მოსკოვის, სტალინგრადის ცაზე, რა მტკიცედ გწამდა: გამარჯვების დრო დადგება! აკი სწორედ მას შესწირე სიცოცხლე, როდესაც ეს პატრიოტის მალამა მოველივობამ მოთხოვა.

ახლა მე ვთვლი თავს ვალდებულად, რომ სხვებს ვუამბო შენზე. იმით დავიწყებ, რომ 1987 წლის 6 ივნისს აქ, მემორიალთან, რომლის კედლებზეც შენი კიდევ ასარმოცდასუთი შინმოუსვლელი თანასოფლელია უკვდავოფილი, იმ ჯილდომ მოგძებნა, რომლის მიღებაც სტალინგრადში ვერ მოასწარი.

საქართველოს სსრ სამხედრო კომისარმა, გენერალ-მაიორმა ლევან შარაშენიძემ სტალინგრადის ფრონტის სამხედრო საბჭოს 1942 წლის 30 აგვისტოს ბრძანების ასლი წაიკითხა და წითელი ვარსკვლავის ორდენი ნიკოლოზ გიორგის ძე აბრამიშვილის მუზეუმში შესანახად გადასცა მის ძმას შოთას, ვინც ეს მუზეუმი შექმნა...

შეგცქერი გმირი მფრინავის სკულპტურულ გამოსახულებას, სიმბოლოვად მოჩარჩოებულს ცეცხლის ენებით, რომელთა გავლითაც უკვდავება ეზიარა ათობით პილოტი, ტარანით რომ სპობდა მიწისზედა სამიზნეებს. ტარანის ანგარიში კი პირველად სტალინგრადის ქართველი დამცველის სენხიამ ნიკოლოზ ვასტელომ გახსნა 1941 წლის 26 ივნისს.

შეგცქერი და გულში ნიკოლოზ აბრამიშვილის იმ პორტრეტებს ვუღარებ, რომლებიც მინახავს მუზეუმ-პანორამაში „სტალინგრადის ბრძოლა“, კანის მუზეუმში, მუშათა ახალშენ გუმბრაკის № 50 სკოლაში, სადაც ის აღიზარდა და რომლის მანლობადაც საბჭოთა მფრინავმა მტრის აეროდრომისაკენ გააქანა ცეცხლმოკიდებული თვითმფრინავი. ჰგავს, როცა დაძაბულად იბზირება და არა ჰგავს, შესვენების წუთებში მეგობრებთან რომ ზუმრობს და საყვარელ სიმღერებს მღერის. ტემპერამენტიანი იყო, მაგრამ ვეღარ იცნობდით, ისე იცვლებოდა, როდესაც მორიგი დაჭრის შემდეგ აუტანლად განიცდიდა იძულებით უსაქმურობას. „მას მუდამ აეროდრომზე ვხედავდით, სადაც ჯობზე დაყრდნობილი ფეხს ძლივს მიითრევდა და მაინც აცილებდა ან ხვდებოდა მეგობრულ მეგობრებს, ხარბად ეკითხებოდა მათ, თუ რა ხდებოდა ჰაერში“, — იგონებს ესკადრილის ყოფილი მეთაური, ახლა კი ავიაციის გენერალ-ლეიტენანტი ს. ი. ჟუკოვსკი.

მაგონდება მისი განცხადება პარტიაში მიღების შესახებ არმიული გაზეთის „ფოლადის ფრთების“ 1942 წლის 18 აგვისტოს ნომრის პუბლიკაციით: „...მინდა, რომ ვირიცხებოდე დიადი პარტიის რიგებში და ისე გავანადგურო გერმანელი ასპიტები. ისე ვეკვეთები მტერს, რომ არ დავიშურებ არც ძალ-ღონეს, არც

სსრ კავშირის თავდაცვის სამინისტროს პოლოსკის არქივის უფროსი ზვერკოვი, ნ. გ. აბრამიშვილის ანკეტის ასლს რომ გვიგზავნის, იქვე აღნიშნავს: „უფროსი ლეიტენანტი ნ. გ. აბრამიშვილი 268-ე გამანადგურებელი ავიადივიზიის პოლიტგანყოფილების პარტიულმა კომისიამ 1942 წლის 21 აგვისტოს მიიღო პარტიის წევრად, 1942 წლის 23 სექტემბერს მას გადაეცა პარტიული № 4925836“. ნიკოლოზმა ჯერ ჰიტლერელთა ორი თვითმფრინავი ჩამოაგდო, მერე ტარანით ეკვეთა მტრის თვითმფრინავების შეგჭყუებას გუმბრაკის ახლოს, აეროდრომ „ბიტომნიკზე“ და ამით სრულად დაადასტურა თავისი სიტყვა, რომელიც კაჩელთა ახალ თაობებს თავისებურ ანდერძად დარჩათ.

განა მარტო მათ. იმ ახალგაზრდებსაც, მისი სახელობის ქუჩებზე რომ ცხოვრობენ გუმბრაკსა და ბორჯომში, მისი სახელობის საწარმოო გაერთიანება „ბორჯომის“ კომკავშირულ-ახალგაზრდულ კოლექტივში რომ შრომობენ, საძიებო სამუშაოებს რომ ეწევიან ქალაქების თბილისის, გორის, ვასტელოს (სახალინის ოლქი), პუშკინის (მოსკოვის ოლქი), ვოროდიშჩის (ვოლგოგრადის ოლქი) საბრძოლო დიდების მუზეუმებში, მინსკის ოლქის ქალაქ რადომოვიჩის სკოლაში, მცხეთის რაიონის მუხრანის სკოლაში და მრავალ სხვა ადგილზე, სადაც პატივსაც სცემენ სტალინგრადის ბრძოლის გმირთა ხსოვნას.

ნიკოლოზ გიორგის ძე აბრამიშვილი მარტო ჩემი ძმობილი როდი ვახდა ვოლგოგრადის მიწაზე. „ახალდაბა-გუმბრაკი“ — ასეთი სათაურით დაბეჭდა სტატია ვოროდიშჩის რაიონულმა გაზეთმა 1985 წლის 6 აპრილს გუმბრაკელების შესახებ იმასთან დაკავშირებით, რომ ნოვოროზაჩინსკისაგან მშვიდობისა და შრომის ესტაფეტა მიიღო გუმბრაკის სასოფლო საბჭომ, რომელმაც გადაწყვიტა, გამარჯვების მე-40 წლისთავის წინადღეს დაბის ერთ-ერთ ქუჩას ნიკოლოზ აბრამიშვილის სახელი უწოდოს. ნორჩი კვალმაძიებლები ორ წელიწადს დაჟინებით აგროვებდნენ „ქართველი ვასტელოს“ ცხოვრებისა და გმირობის ამსახველ მასალებს. დიდი ალბომი გამოუვიდათ. აქვე გაარკვიეს, რომ მისი სახელობის ქუჩაზე დღეს ჩვენი სამშობლოს ხუთი ეროვნების წარმომადგენლები ცხოვრობენ. მეექვსე ეროვნებას წარმოადგენს აქ სამარადისოდ ჩაწერილი ახალდაბაში დაბადებული გმირი.

მემორიალი მტკვრის ნაპირას საზეიმოდ გაიხსნა 1981 წლის 9 მაისს. იმ დღის შემდეგ აქ ხშირად ნახავთ ვოლგოგრადელებს. არც ერთი მათგანი გვერდს არ უვლის ნ. გ. აბრამიშვილის სახლ-მუზეუმს, რომელიც მისმა ძმამ შოთამ შექმნა. მან ჯერ ბავშვობის წლები გაიხსენა, როცა ნიკოლოზს, გივის და შოთას ეგონათ, რომ გართობის შესანიშნავი დრო არასოდეს დამთავრდებოდა, შემდეგ სამომავლო ოცნებები. ნიკოლოზი ცაზე ოცნებობდა!

— მან თავისი გაიტანა, — ამბობს შოთა, — შეიღწელების დამთავრებისთანავე კოლია ბორჯომის კომკავშირის რაიკომის რეკომენდაციით მოსკოვის მახლობლად საპლანერო სკოლაში შევიდა. დამთავრა და პლანერისტების ინსტრუქტორად მუშაობდა აქვე — ბორჯომში. მაგრამ ეს მისთვის ცოტა იყო — ის ქალაქ გორის აეროკლუბში გადავიდა, იქიდან კი კაჩში გაემგზავრა...

იმას, თუ როგორ უყვარდა მას ცა და რაიგ სძულდა მტერი, ადასტურებენ მისი სამხედრო უფროსების, საბჭოთა კავშირის გმირის, თადარიგის გენერალ-მაიორ პ. ა. ვნიდოს, ვადამდვარ გენერალ-მაიორ ა. პ. ჟუკოვის, თანაპოლკელის, ახლა მწერლის, წიგნის „ჩვენი გამარჯვების ცა“ ავტორის ს. რისტერმანის მოგონებები: „ნიკოლოზი ოთხჯერ დაიჭრა (!), მაგრამ ფრონტულ მედიკოსებთან საერთო ენის გამონახვას ახერხებდა, ყოველთვის ნაწილში რჩებოდა და ცოტა ხნის შემდეგ ისევ ბრძოლაში ებმებოდა“.

მალალი, ახოვანი, მაგრამ სულ მთლად ჭალარა შოთა აბრამიშვილი, ასე ძალიან რომა ჰგავს თავის დაღუპულ ძმას, უხმოდ მაწვდის 1958 წლის 13 აგვისტოს გაზეთ „სოვეტსკაია ავიაცი-



კოლოლი

ას“. ნიკოლოზის ფრონტელი მეგობრები მაშინ წერდნენ და იგულისხმება, ახლაც მზად არიან, ხელი მოაწერონ თავის ამ სიტყვებს: „სიტყვა „სიკვდილი“ არასოდეს ეხამებოდა ამ ხალისიან კაცს. მეგობრის დაკარგვის გამო ჩვენ უღმობლოდ ვიძიეთ შური მტერზე. ეს წმინდა შურისძიება იყო! მალე ჩვენი პოლკი გვარდიული გახდა. მან გაიარა გზა სტალინგრადიდან პრაღამდე და თორმეტი საბჭოთა კავშირის გმირი მოგვცა. მის გვერდით პოლკის მატთანეში თვალსაჩინო ადგილი უკავია ნიკოლოზ აბრამიშვილის გამირულ საქმეებსა და დაუფიწყარ სახელს!“

ისევ ვათვალიერებ ნიკოლოზ აბრამიშვილის ფოტოსურათებს. დიახ, ის ამქვეყნად თავისი ხანმოკლე სიცოცხლის სხვადასხვა წამს ძალიან სხვადასხვანაირი იყო მიწაზე და ცაში. მაგრამ მოქანდაკე მართალია: უკანასკნელი პიკირება იმ აეროდრომზე, საიდანაც მტრის ას სატრანსპორტო თვითმფრინავს პაულიუსის გარშემორტყმული დაჭრუფებისათვის საწვავი, საბრძო-

ლო მასალა და სურსათი უნდა მიეტანა, პილოტმა სწორედ ასეთი ურყევი ნებისყოფითა და გამარჯვების ნათელი დღის რწმენით ჩაატარა.

ნახვამდის, ძმობილო! მადლობა შენ ვოლგისპირა ქალაქის ნათელი ცისათვის, ქალაქისა, სადაც შენ არასოდეს დაგივიწყებენ.

ი. ბელეღინი.

(გაზეთი „ვოლგოგრადსკაია პრავდა“).

თარგმანა ოთარ ბერიშვილმა.





ამ ბოლო დროს რაღაც მაწუხებს. ისე მოთმინებით ველარ ვუძლებ ცხოვრების ავ-კარგს. დავებრდი-მეთქი ვეუბნები ჩემს თავს. ალბათ, არც უმაგისობაა, მაგრამ იმან, რაც გუშინ შემემთხვა, თავდაყირა დააყენა მთელი ჩემი არსებობის წესი.

მრცხვენია, როგორ გითხრათ, ეს ყველაფერი კვერცხის რიგიდან დაიწყო-მეთქი. ვიცი, მაშინვე გვერდზე გადადებთ ჩემს ნაწერს, ეს რა წერილმანი ვინმე ყოფილაო, იფიქრებთ...

იქნებ მაინც მოიკრიბოთ ძალა, ბოლომდე მოისმინოთ ჩემი გასაჭირი.

დილას გულხეტებით მივვარდი მეცხრე საათზე გასტრონომში. უმალ მომხვდა თვალში: კვერცხი მოეტანათ.

ერთი, ორი, სამი, ათი... თვალის დახამხამებაში გადავხედიე რიგში მდგომი ადამიანები. მერე დრო გადავიანგარიშე, მოვასწრებდი თუ არა სამსახურში დაუგვიანებლად მისვლას და მეტერთმეტედ გავეჩერდი.

უცბად მესმის მოლარის ხმა:

— ელიკო, ოცი კვერცხი გადამირჩიე! ელიკო მუშას ეძახის და სამოც კვერცხს სახელდახელოდ ატანს მოლარესთან. თან მუშაობას განაგრძობს.

— რათ მინდა ასე, ხომ გითხარი, ადამიანური კვერცხი გადამირჩიე-მეთქი! — კვლავ ყვირის მოლარე.

ელიკოც გამოდის მოთმინებიდან და გასძახის:

— სამოცი იმიტომ გამოგვიზავნე, რომ ადამიანური ამოარჩიო. დანარჩენი მუშას უკანვე გამოატანე.

ყველანი ვდუმვართ. ერთმანეთს ჩუმ-ჩუმად ვუთვალთვალვებთ.

რატომღაც გვგონია, რომ ყველას ადამიანის სახეები ვვაჭვს.

ჩემ წინ კი ისეთი სათნო მოხუცი დგას, მუხლის შორევა მოგინდება კაცს მის წინაშე...

ელიკო გამალებით მუშაობს, აწყობს და აწყობს „არაადამიანურ“ კვერცხებს პარკებში, ჩანთებში, კალათებში...

ეს არაფერია. რა მნიშვნელობა აქვს, კვერცხი დიდი იქნება თუ პატარა. რაც იმ დილით მოხდა, არც ეს არის უცხო და გაუგებარი. მხოლოდ იმ დალოცვილ მოლარეს რამ წამოაცდენინა სიტყვა — „ადამიანური“, მოსვენება რომ დამიკარგა და კარგა ხნის მიძინებული გრძნობა გამიღვიძა.

ამის შემდეგ მოხდა, რაც მოხდა. ვერაფრით ველარ მოვიცილე მტანჯველი აზრი: ვარ თუ არა ადამიანი?..

ასე, საკუთარი თავის არასრულფასოვნების შეგრძნებით ავედი ავტობუსში და...

ვხედავ, სალონში, უკანა ბაქანზე, ჩამუხლულა ახალგაზრდა ვაჟი, თავი ხელებში ჩაურგავს. იქვე სხვა ახალგაზრდებიც დგანან და მშვიდად საუბრობენ. ყველა მშვიდად არის. მეც ვცდილობ, შევიინარჩუნო წონასწორობა.

— რა ჩემი საქმეა, ვფიქრობ, — თან უკან ვიყურები. ბიჭი ამასობაში უფრო საფუძვლიანად ჩამჯდარა ძირს და უფრო

მაგრად ჩაურგავს თავი ხელებში...

ყველა კვლავ მშვიდად არის, მეც. ერთი გაჩერება, ორი, სამი, ხუთი...

ყველაფერი ძველებურად რჩება. ამოდიან, ჩადიან.

ბოლოს, როგორც იქნა, ერთმა ხანშიშესულმა ქალმა დაარღვია დუმილი და მკაბე ხმით გასძახა უკანა ბაქანზე მდგარ ბიჭებს:

— ეგ თქვენი მეგობარია?
— არა! — უპასუხეს და კვლავ განაგრძეს საუბარი.

— მერე, დაელაპარაკეთ, იქნებ ცუდად არის. ისე მანდ რა დასვამდა!

ბიჭები კვლავ თავიანთთვის საუბრობენ. — იქნებ ნასვამია, — თქვა ვიღაცამ.

— ამ დილაადრიან რა დაატრობდა, წესიერი ჰაბუჯი ჩანს, — ეს უკვე წინა რიგებიდან იყო...

— რა იცი, ვინ არის, — ითქვა მრავალმნიშვნელოვნად. აქ იგულისხმებოდა: იქნებ ნარკომანია, იქნებ ქურდია ან ნაძირალა.

იმსჯელეს, ახლოს მაინც ვერავინ მივიდა.

...ჩასვლისას ერთხელ კიდევ შევხედე. არ ჰგავდა არც ნარკომანს, არც ქურდსა და არც ნაძირალას.

მაინც ჩავედი ჩემს გაჩერებაზე. მაშინდა ვინანე, როცა ავტობუსი დაიძრა.

სამუშაო მაგიდას უაზროდ მივუჭექე. უცებ რატომღაც ძველი ამბავი ამომიტეხტივდა გონებაში:

სამსახურის საქმეზე ერთ-ერთ უმაღლეს სასწავლებელში წავედი. დიდხანს ვიჯექი პრორექტორის მოსაცდელში. იგი არ იყო.

უცებ გაიღო კარი და კი არ შემოვიდა, შემოვარდა ვაცოფებული კაცი. თან რაც ხმა ჰქონდა, ყვიროდა. მას უკან შემოჰყვოთხი აწურული ვაჟი, შეშინებული, ფერდაკარგული.

დიდხანს ისმოდა კაბინეტიდან არაადამიანური ყვირილი. ერთი კი ვიფიქრე, ალბათ დაიმსახურეს-მეთქი, მაგრამ მაინც წამოვედი. სურვილი დამეკარგა ამ კაცთან გასაუბრებისა, ვისაც ახალგაზრდებთან ამ ენაზე საუბარი შეეძლო.

ფიქრით კი ბევრი აღარ მიფიქრია. ახლა რაღამ გამახსენა.

თვალწინ მაღალი, გამხდარი ბიჭის ფიგურა ამეხვეტა. ღმერთო, გამახსენე, სად ვნახე იგი. ეს ალბათ ის ახალგაზრდაა, ორი-ოდე კვირის წინ ტროლეიბუსში რომ ამოვიდა. წესიერი ჰაბუჯი იყო. მაშინვე სალაროსკენ წავიდა, ფული ჩააგდო და ის იყო ხელი მიიტანა ბილეთის მოსახეკად, რომ...

— ჯერ ფული ჩაუშვი, ბილეთს ნუ ახევე!

ეს მძღოლის ხმა იყო.

ვაჟი გაფითრდა. ჩვენ მოგვაპყრო მზე-რა, მათ, ვინც დაინახა, რომ ბილეთს უფულოდ არ ახევედა. თვითონ კი ხმა ვერ ამოიღო.

მაშინ ნამდვილად შევეცადეთ მის დაცვას, მაგრამ თქვენც მაგნიტები ხართო,

გადმოგვძახა გულმოსულმა მძღოლმა და ორ წუთში საერთოდ გააჩერა ტროლეიბუსი.

— აღარ წავა, გაფუქდა, — გამოგვიცხადა ნიშნისმოგებით.

ჩვენც ნელ-ნელა ჩამოვლაგდით და მეორე ტროლეიბუსს მოთმინებით დაუწყეთ ლოდინი...

შემოდინან, გადიან, რაღაცას მეკითხებიან, მეც მექანიკურად რაღაც პასუხს ვაძლევ, მოძალებულ ფიქრს კი ვერა და ვერ ვიშორებ თავიდან:

სწორედ ვაკის პარკის პირდაპირ, საბურთალოზე მიმავალ ტრანსპორტში ამოვიდა ახალგაზრდა დედა. ხელში წლინახევრისა თუ ორი წლის ბიჭი ეკავა. თავისუფალი ადგილი არ იყო. მოკრძალებით გაჩერდა წინა სკამთან, სადაც ტრი ქალიშვილი იჯდა. ცალი ხელი საუბრეკეს მოჰკიდა, ცალი ხელით ბავშვი ეჭირა.

— მომეციოთ, ბავშვს კალთაში ჩავისვამ, ფეხი მტკივა, ვერ ავდგები, — უთხრა მას ერთ-ერთმა ქალიშვილმა. დედამ დააპირა ბავშვის გადაცემა, მაგრამ პატარა მას მაგრად ჩაებლაუჭა და ტირილი მორთო.

ადგილიდან მაინც არავინ იძროდა.

ეტყობა, დედას მთლად გამოეცალა ძალა და იმით შეშინებულმა, ბავშვი ხელიდან არ გამივარდესო, მეორე მგზავრს შეჰბედა:

— თქვენც ფეხი გტკივათ?
— ამისი თქმა იყო და უკანა სკამიდან გაისმა ქალის აღელვებული ხმა:

— როგორ კადრულობთ? განა ასე დაცალება შეიძლება? ცუდად გაგიზრდიან ბავშვი. ხომ შესთავაზეს, კალთაში ჩავისვამთო. თუ უნდა ჩაჯდეს!..

ალბათ, იმ ქალიშვილების დედა თუ იყო, ან ახლობელი, არ ვიცი.

ხმა კვლავ არავის ამოგვიღია.

რატომ?

დადლილი ვიყავი, თან ამ ამბისათვის ძალიან მოუშხადებელი. ასეთ უღვთობას არასოდეს შევსწრებებოდი. სიტყვა ვერ გამოვინახე, თმეცალა ვხედავდი, როგორ მოაწვა დედას ყელში ცრემლები.

დედა-შვილი ავტობუსიდან ჩავიდა...

რა ხანია, დამთავრებულა სამუშაო საათები. მძიმედ მივუყვები გზას. დიდხანს ვდგავარ გაჩერებაზე. მოვიდა ავტობუსი. ვცადე ბედი. დავაპირე ასევე, მაგრამ ფეხის დასადგმელი ადგილი რომ ვერ ვნახე, ისევ ქვემოთ ჩამოვივდი. არადა ჩემს უკანაც ხალხია...

ვილაცის ძლიერი ხელი მუჭლუგუნით მაგდებს გვერდზე და თვითონ იწევს ასასვლელისაკენ.

— რა ქალი ვარ მე? რა ადამიანი? — მიწვივის ხმა ყურში.

არა, ასე აღარ შეიძლება, გამაწამა ყველაფერზე ფიქრმა. და ეს სულ იმ მოლარის ბრალია. „ადამიანური“, რამ ათქმევინა მაინც იმ დალოცვილს!..

ია გარათელი.



ინგლის კუნაპეტ ღამეს სვავრიელად ბარდნიდა. ცაში ზღაზვნით მოფარფატე ფიფქები ბამბის ქულებივით უფინებოდნენ შეკირხლულ ტოტებს. მარიამმა ლოგინები გაშალა, ჰავსეები დააწვინა, თთახი მიალაგ-მოალაგა, განჯინიდან ჩხირები გამოიღო, მაგრამ ვერა და ვერ დაუღო გული ქსოვას, ხან თვალი უვარდებოდა და ხან ჩხირი. ეზოში მამალმა იყვილა:

უეცრად გარეთ, ახალ თოვლზე, ხრამხარუში გაისმა. მარიამს ფეხის ხმა არ ეცნაურა, კარებს გვერდიდან აეკრა და სმენად გადაიქცა. ჩუმმა კაკუნმა დაარღვია ღამის მღუმარება.

- რომელი ხარ?
- კარი გამიღე...
- ვერ გაგიღებ, ქმარი სახლში არა მყავს.
- აბა, მაშ, ყური კარგად დამიგდე. მე თქვენთან გამომგზავნეს.
- ვინ გამოგზავნა?
- ხარებამ...
- ხარებამ?! რაო, რა მინდაო?
- ხუთასი თუმანი უნდა გამომიგზავნოთო.
- აქი ტყეში გასული ბიჭები მეფის მოძულე და ღარიბი ხალხის მოყვარენი არიანო!
- შენ მაგრე გეგონოს. ფული სჭირდებათ, ფული!
- რას ამბობ, ადამიანო, მაგდენი ფული ჩვენ კი არა, სამადანთ მთელ საგვარეულოს არ ექნება!
- იცოდე, სამ-ოთხ დღეში მოვალ და შენს ქმარს გადაეცი, მიწა გახეთქოს და სადაც უნდა იქ იშოვოს!..
- თუ ვერ ვიშოვეთ?
- გიყვარს შვილები?
- მარიამმა მძინარე ბავშვებს გადახედა, პატარას საბანი გადახლოდა და მოკუნტული მიჰკვროდა ლეიბს.
- მიყვარსო?!... რომელ დედას არ უყვარს შვილები!
- მაშინ მათი უბედურებაც არ გენდომება.
- ვაიმე, შვილებო!
- ნურც ჩემს დაჭერაზე შეიწუხებთ თავს, თუ იმათ ხელში ჩავვარდი, იცოდე, ჩემს მაგივრად ხარება და გოგია გაგისწორებენ ანგარიშს!..
- შავნიღბიანი ლანდი შავ ღამეში გაუჩინარდა.
- მარიამი კარგა ხანს რეტდისხმულივით იდგა კარებთან, მერე ბავშვების ტახტთან მილასლასდა, დაიჩოქა და ჰერს მიაპყრო თვალები.

ბაჟარჯობა ხარება!

ნამდვილი ამბავი

მხუთმეტი წელი იქნება მას შემდეგ, რაც თელაველი მიხეილ სამადაშვილი კინოში არ ყოფილა, მოხშირებულმა მწუხარებამ დაუკეტა მხიარულების კარი. დედის, ძმის, ახლო ნათესავების გარდაცვალებამ დაადო კლიტე კინოსა და თეატრს, მანძილი დაუგრძელა ქორწილსა და ნათლობას, დღეობებსა და დღესასწაულებს, მაგრამ, როცა შვილიშვილი მიშიკო შემოვარდა ოთახში და წკრიალა ხმით შემოსძახა — „დღეს ხარება და გოგიაა კინოშიო“, გულის კოვზთან რაღაცამ ვაჰკრა, მაცდურივით შეუჩნდა და არ მოასვენა, ოთხმოცდაშვიდი წლის მოხუცი ყმაწვილივით ააცქმეტა, სახლიდან გამოიყვანა და მეუღლესთან ერთად კინოს გზას გაუყვანა. გაცოცხლდა ეკრანი. სული ჩაიდგეს წარსულის ლანდებმა, ენა ამოიდგეს, ამეტყველდნენ. თოფ-იარაღში ჩამჯდარი ხარება ამაყად შემოდგა ეკრანზე და თვალები გაუსწორა სამადაშვილს.

- გამარჯობა, ხარებ!..
- გაგიმარჯოს!..
- მიცანი?
- ვერა!
- ეეხ, მე კი მეგონა...
- რა გეგონა?
- რომ შენს ხსოვნასაც შემორჩებოდა...
- იქნება შემომრჩა კიდევ, აბა, მომაგონე...
- კარგი, მაშ ასე იყოს...

— ღმერთო, ამ ანგელოზებისაგან რა უნდათ, ვისთვის რა დაუშავებიათ! ხუთ შვილსა ვზრდი ვაითა და ვაებით, სიკეთის მადლი ჩამინერგია და სიყვარულის მარცვალი, ავკაცობის შხამი ამათ არ იციან და ბოროტების ბალდამი. მაშ, რა უნდათ? რა? — ღაწვებზე ჩამონადენი ცრემლები სანთლის ნალგენთივით ეცემოდა დაჰმუჭნილ საბანს.

აგის მომასწავებელმა მწუხარებამ დაისადგურა სამადაშვილების ოჯახში: ერთ დიდ ტკივილად იქცა, გაიზარდა, გაბევრდა და აფუთფუთდა. ბავშვებისათვის მოთარებულად გაისმოდა: „როგორ“, „საიდან“, „ვისგან“, „რა საშუალებით“. გაუსაძლის ტვირთქვეშ მოღუნული დავითი თვალებზე ხილაბანდაკრულივით დაბოროილებდა სახლში და ადვილს ვერ პოულობდა.

- რა ჰქენი, კაცო, ვერ გადაწყვიტე? — დაიმართხელა მარიამმა მეუღლე.
- რაო, ადვილი გადასაწყვეტია?
- ვიცი, მაგრამ, იცოდე, ამ ბავშვებს რომ რამე მოუვიდეს...
- ბავშვებს წინანდალში წავიყვან. პატარა აქ იყოს, ჩემს აქ არყოფნაში ხმის გამცემი მაინც გეყოლება. სწორედ ახლა გამიჩნდა ეს ოხერი გადაუღებელი საქმეები. ვეცდები, აქ ვიტრია-

ლო, შორს არსად წავიდე. ეტყობა, მყარაულობს, ისეთ დროს მოდის, სახლში რომ არა ვარ. თოფს ვნახავ, თუ გატენილი არ არის, გაგტენი და განჯინაში შევინახავ...

გასაშრობი ჩურჩხელებივით ეკიდნენ ყინულის ლოლუები კრამიტის ბოლოებზე, ღრუბლებით აჭრილ ზეცას ბუხრიდან ამოსული კვამლი უღებავდა ლამაზ ქათიბს.

ტახტზე კაბაგაუნდელად მიწოლილი მარიამი ბავშვის აჩქარებულ სუნთქვას უგდებდა ყურს. ერთი კვირის უძინარს, ავიფიქრებისგან გამწარებულს, მიხეილის ავადმყოფობაც თან დაერთო. ყოველთვის მოძრავსა და მოუსვენარ ბიჭუნას უეცრად აუტყდა კანკალი, გავარვარდა, მოტყდა და მოდუნდა. მარიამმა ფეხები ცხელ წყალში ჩააყოფინა, თხის ქონით მკერდი დაუზილა, ორი საბანი დაახურა და ნაპირები შეუუკეცა. მშობლების დამჭერი ბიჭუნა გაუინიანდა, არაფრად არ უნდოდა დაძინება, ხან მამას კითხულობდა და ხან ძმებს. მარიამმა „კაკო ყაჩაღის“ მოყოლა დაიწყო და როცა ზაქრომ გულქვა ბატონს თოფი ახალა გულში, მაშინლა მილულა ბავშვმა თვალი. ველარც მარიამმა გაუძღო, საბანი წაიხურა და ღრმა ძილს მისცა თავი.

კარებზე კაკუნმა წამოაგდო მარიამი საწოლიდან. ჯერ კიდევ ძილბურანში მყოფმა, ფეხები ფლოსტებში გაყო და კარის მიმართულებით წალასლასდა, ურდულს მისწვდა და ღამეს გასძახა:

- დავით, შენაა?
- გააღე, გააღე! — უცხო ხმამ მარიამი უმაღლესი გამოაფხიზლა, კარებს მთელი სხეულით აეკრა და აკანკალდა.
- რა .გინდა?
- ხუთასი თუმანი...
- არა გვაქვს, არავინ გვაესება. სახლი გვინდოდა გაგვეყიდა და მუშტარი ვერ ვიშოვეთ.
- მაშინ გააღე, შენი ბიჭი მინდა ვნახო.
- იმასთან რა ხელი გექვს?
- გააღე, იმის მაგივრად შენი თავი არ მომაკვლევიანო...
- მე სიკვდილზე თანახმა ვარ, ოღონდ ამ ბავშვს მოეშვი!
- არ ალებ, არა? ახლა მე ვიცი, რკინის ძელს მოვიტან და იმით დავლეწავ კარებს.

მარიამი საწოლს მივარდა, ზედ დაემხო, ხელები მოხვია, ჩაბლუჯა, მიღლა ასწია და ისე ძალუმაღ დაანარცხა იატაკზე, რომ განჯინა გაიღო და ლამფის შუქზე შავად აელვარდა ბერდენკის ლულა. მარიამი ფეხზე წამოვარდა, თოფი ხელში აიტაცა, დარაბა გამოაღო, ფანჯარა გამოგლიჯა, კონდახი მხარზე მიიღო და ცერა თითი ღონივრად ჩამოჰკრა ჩახმასს.

თოფის ხმამ გაკვეთა ღამის მყუდროება, და ისევე უეცრად დამთავრდა, როგორც დაიწყო. ძაღლების ყეფა აპყვა უეცარ გრგვინვას. მერე ისიც მიჩუმდა.

სამმა თვემ გაიარა უღრუბლოდ და უნაღვლოდ. თითქოს დაწყნარდა ყველაფერი, მშვიდობიანობამ ჩამოიარა სამადაშვილების ოჯახში. ვერც მაშინ და ვერც შემდეგ გაიგო მარიამმა, როგორ გახსნა საიმედოდ ჩაკეტილი კარები ნაბღიანმა უცნობმა, რომელიც ახლა შუა ოთახში იდგა და თვალთ ბურღავდა ოჯახის დიასახლისს.

— გამარჯობა, მარიამ! დაწყნარდი, ნუ გეშინია, გამარჯობა-მეთქი!

- გაგიმარჯოს!
- რამდენი შვილი გყავს?
- ხუთი...
- კარგია, სად არიან?
- ოთხი წინანდალში და ერთი აქა!
- რატომ ცალ-ცალკე?
- იმის შემდეგ, რაც მოხდა, ველარ...
- ჰო, გასაგებია. მიზანში სროლა კარგი გცოდნია...
- მე შავ ღამეს ვესროლე და არა...
- შავ ღამეზე საშიში შავგულა კაცია. ბავშვს სადა სძინავს?

— მეორე ოთახში.

— აბა, მაჩვენე!

მარიამი მუხლებზე დაეცა და ხელები სარტყელავით შემოხვია ფეხებზე უცნობს.

— შვილს ნუ მომიკლავ. მე ვარ ყველაფერში დამნაშავე. მე მომკალი. ის უტოდველია ყველას წინაშე...

— მაჩვენე-მეთქი...

— აი, მუხლმოყრილი გვედრები, ამ პატარა ბიჭის ცოდვას ნუ დაიდებს!

— ადექი, — უპასუხა უცნობმა მარიამს. ფეხზე წამოაყენა და მეორე ორახისაკენ გაიხედა.

— ვაიმე, მიშველეთ!

კვილმა გამოაფხიზლა ბავშვი, თვალები გაახილა და გაკვირებული მიაჩერდა თოფ-იარაღში ჩამჯდარ უცნობს.

— არაფერს გერჩით-მეთქი, ქალო, არ გესმის?! რა გქვია, ბიჭო?

— მიშო.

— რამდენი წლისა ხარ?

— ათის...

— ყოჩალი ბიჭი ჩანხარ. გაიზარდე, კარგი ქართველი იყავ, ერს გამოადექი, სასახელო შვილები დაზარდე. ჩვენი წუთისოფელი თუ ნარ-ეკლით იყო მოფენილი, შენთვის ფარჩა-ფარდაგი დაგებულებოდა.

უცნობმა უბეში ხელი ჩაიყო და იქიდან ამოღებული მუჭა ბიჭუნას თავთან მოიქნია. წვრილი კამფეტები ლოგინზე მიმოიფანტნენ.

— ახლა, დაიძინე, მიშო!...

მეორე ოთახში გასულმა უცნობმა მარიამს მხარზე ხელი გადახვია და თვალებში ჩახედა:

— მადლობის სათქმელად მოვედი, მარიამ...

— მადლობისა?!

— შენ ისეთი ლაქა მოგვაშორე, აჩრდილივით რო უკან დაგვდევდა და ტალახში გვსვრიდა. ყოჩაღ, ქალო! ფარადაანთ ნაღველსთანები უნდა გაწყდნენ ქვეყანაზე, ჩვენი სახელით რო დაწანწალებენ და ხალხს ძარცვავენ. დღეს ყველამ იცის ალაზნის გაღმა-გამოღმა მსუნავი ტურას სიკვდილის ამბავი. აი, ეს ფული ხუთი შვილის აღზრდას მოახმარე. შენაირი დედა არ დალეოდე სპარტელოს!

გარეთ დაუსტვინეს. უცნობმა კარი გამოაღო, — ახლავე, გოგიაო, — გასძახა ღამეს. კიბეებზე ჩაირბინა. ცხენს მოახტა, მარჯვენა ფეხის ქუსლი ფერდში ჰკრა და ადგილიდან მოწყვიტა. ჰიშკართან უეცრად მოსწია ადვირს, გაჭენებული ცხენი უკანვე შემოატრიალა, უზანგიდან გადმოიხარა და მარიამს ყურში ჩასჩურჩულა:

— თუ რაიმე გაგიჭირდეს, შემომითვალე. ხარება მაშინვე აქ გაჩნდება, — ცხენის ფეხის ხმამ დიპლომატოს რაკარუკვიით გაიხმინა ორღობეში.

— გაგახსენდა, ხარებ?

— გამახსენდა... რამდენი შვილი გაუზარდე საქართველოს?

— ოთხი!

— როგორები?

— ისეთები, როგორც შენ გაგიხარდება: მერი ფიზიკოსია, გურამი აგრონომი, ქართლოსი ინჟინერი, დათო პედაგოგი.

— სიმართლით, პატიოსნებით?

— ჭეშმარიტად...

სინათლე აინთო. დარბაზი იცლებოდა.

— ადე, მიხეილ, ფილმი დამთავრდა!

— ასე უეცრად მთავრდება სიცოცხლეც, არა?!

— ნამდვილად!

— ჰო, მეც ასე მეგონა, მაგრამ ვცდებოდი, თურმე: კაცური სიცოცხლე წლებით არ იზომება... გრძელი ყოფილა, თამარ, გრძელი!

ვალერიან მამუკელაშვილი



ახალხო მეურნეობის ტერიტორიული დაგეგმვისა და მართვის სრულყოფა აღიარებულია ეკონომიკური გარდაქმნების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს

მიმართულებად. ეს იმითაა განპირობებული, რომ სამეურნეო ხელმძღვანელობის ტერიტორიული ასპექტი საკმაოდ სუსტი და ჩამორჩენილი რგოლია. მართვაში მეტი სიმეტი ცენტრალიზმისა და ადმინისტრაციულ-მბრძანებლური მეთოდების პირობებში, რომლის ერთ-ერთი გამოხატულება დარგობრივი ინტერესების გაბატონებული მდგომარეობაა, ვერ ხერხდებოდა სახელმწიფო გეგმებში ტერიტორიული, რეგიონალური ინტერესების სრული ასახვა. შეზღუდული იყო მოკავშირე რესპუბლიკების უფლებები მთლიანად ტერიტორიაზე განლაგებული მეურნეობის, განსაკუთრებით კი საკავშირო დაქვემდებარების საწარმოების, ვაერთიანებებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელობაში. ამიტომ ცალკეული რეგიონის ეკონომიკის სპეციალიზაციის ცალმხრივი განვითარების შედეგად ყურადღების მიღმა რჩებოდა მათი კომპლექსური განვითარება.

ამიერიდან, ადრე არსებული მკაცრი რეგლამენტაციის ნაცვლად, მოკავშირე რესპუბლიკებს ცენტრალიზებული უმეტესობით შეზღუდული ნომენკლატურის სახელმწიფო შეკვეთები, ლიმიტები და ეკონომიკური ნორმატივები. სახელმწიფო შეკვეთებში შედის მხოლოდ იმ ძირითადი მაჩვენებლების ვიწრო წრე, რომლებიც განსაზღვრავენ მათ მონაწილეობას შრომის საერთო-საკავშირო დანაწილებაში, რესპუბლიკების სახალხო მეურნეობის განვითარების ძირითად მიმართულებებს, გეგმების დაბალანსებას. ეს ცვლილებები განსაკუთრებით თვალნათელია სოფლის მეურნეობაში. მაგალითად, გასული წლიდან ჩვენს რესპუბლიკას „ზემოდან“ აღარ უგეგმავენ ხორცის, რძის, კვერცხის, კარტოფილის, ბოსტნეულის, ბაღჩეულის, ხილის, ყურძნისა და ციტრუსების სახელმწიფო შესყიდვის საერთო მოცულობებს. ცენტრალიზებულ, ე. ი. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო შეკვეთაში შედის მხოლოდ ის პროდუქცია, რომელიც გამოიყენება საერთო-საკავშირო მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად და, ასევე, რომელიც გადანაწილდება მოკავშირე რესპუბლიკებს შორის.

რესპუბლიკის სამეურნეო დამოუკიდებლობის შემდგომი გაძლიერების უმნიშვნელოვანესი საგეგმო ინსტრუმენტია ისიც, რომ ახალ პირობებში მისი მეურნეობის განვითარებისათვის ცენტრალიზებული წესით გამოიყოფა კაპიტალური დაბანდებებისა და სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების, ფონდირებული მატერიალურ-ტექნიკური რესურსების მთლიანი მოცულობები, ხოლო ცალკეულ სფეროებსა და დარგებს შორის მათ ანაწილებს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭო. უფრო მეტიც, მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები მთელ თავიანთ ტერიტორიაზე ამიერიდან განახორციელებენ სოციალურ-კულტურული მშენებლობის ხელმძღვანელობას, კოორდინაციას გაუწევენ ამ სფეროში არა მარტო რესპუბლიკური და საკავშირო-რესპუბლიკური, არამედ საკავშირო დაქვემდებარების საწარმოების (ვაერთიანებების) და ორგანიზაციების საქმიანობასაც. ახალ პირობებში პრინციპულად ახალ მნიშვნელობას იძენს

კაპიტალიზმი უკონო-შიკა



რესპუბლიკის ეკონომიკური და სოციალური განვითარების კომპლექსური გეგმები, რომლებიც საკავშირო დაქვემდებარების საწარმოებსა და ორგანიზაციებსაც მოიცავს.

რეგიონალურ დაგეგმვაში ასეთი მიდგომა მნიშვნელოვანი წინადადებული ნაბიჯია. იგი გამომდინარეობს იმ ობიექტური გარემოებიდან, რომ წარმოების განვითარების დღევანდელ ეტაპზე როგორც რეგიონების ეკონომიკის, ისე მთლიანად ქვეყნის ერთიანი სახალხო მეურნეობრივი კომპლექსის წარმატებული განვითარება შეუძლებელია რესპუბლიკური და ადგილობრივი ორგანოების აქტიური, ქმედითი მონაწილეობის გარეშე, სხვაგვარი და დღეს უკვე ვერ გადაწყდება უმთავრესი რეგიონალური ეკონომიკური და სოციალური საკითხები, რომლებიც საბოლოო ჯამში საერთო-სახელმწიფოებრივ მნიშვნელობას იძენენ. ასეთია ბუნებრივი რესურსების, მათ შორის მიწის, შრომითი რესურსების რაციონალური (და არა სრული) გამოყენება, საწარმოო ძალების განლაგების ოპტიმიზაცია, უწყებრივი ბარიერების გადალახვა, წარმოების რეგიონალური კოოპერირების განვითარება და სხვა.

ამ თითქოსდა ერთი შეხედვით ელემენტარული ჭეშმარიტების გამეორება გვიხდება ორი მიზეზით. ჯერ ერთი, მას ყოველთვის არ ექცეოდა სათანადო ყურადღება, რის გამოც ზოგიერთი რესპუბლიკის, მათ შორის საქართველოს ეკონომიკის განვითარებაში იმძლავრა ცალმხრივმა ტენდენციებმა კომპლექსურობის საზიანოდ. მეორეც, მეურნეობრიობის ახალი პირობები, რომლებიც სულ უფრო და უფრო აშკარად გვაგრძნობინებენ ამ სახით ადრე დაშვებულ ხარვეზებს, გვაიძულებენ, ახლებურად შევხედოთ ზოგიერთ პრობლემას. მაგალითად, დღეს უფრო აშკარაა ჩვენი რესპუბლიკის განვითარების არასაკმაო ინდუსტრიული დონე, თვით მრეწველობაში ყველაზე მოწინავე მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის განმსაზღვრელი დარგების დაბალი ხვედრითი წილი, სოფლის მეურნეობის განვითარებაში ჩამოყალიბებული არაჩანსადი ტენდენციები, ამ დარგის არასრულყოფილი სტრუქტურა, სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების არასაკმაო ორიენტაცია რესპუბლიკის მოსახლეობის მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად.

მართვის ეკონომიკური მეთოდები მკაცრ მოთხოვნებს უყენებენ ყველას: თითოე-

ულ მუშაკს, შრომით კოლექტივს, რეგიონებს. ასეთ პირობებში არ შეიძლება, ნაწილობრივ მაინც არ შეიცვალოს ცალკეულ სამეურნეო ღონისძიებათა შეფასების კრიტერიუმები. ასე, მაგალითად, თუ ადრე ჩვენს რესპუბლიკაში საკავშირო სპეციალიზაციის დარგების რაც შეიძლება მაქსიმალური ტემპებით განვითარება (ცხადია, კომპლექსურობის საზიანოდ) ყოველთვის დადებით მოვლენად ითვლებოდა, დღეს შეიძლება ასეთი მიდგომა არ აღმოჩნდეს მიზანშეწონილი არა მხოლოდ ჩვენი რეგიონის, არამედ მთლიანად ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისთვის. დეფორმაციები ცალკეული რეგიონების სპეციალიზაციაში არასოდეს შეესაბამებოდა, დღეს კი აშკარად ეწინააღმდეგება კიდევ, საერთო საკავშირო ინტერესებს.

ამ პოზიციებიდან თუ შევაფასებთ ჩვენი რესპუბლიკის ეკონომიკას, დავინახავთ, რომ მისი დღევანდელი სტრუქტურისა და სპეციალიზაციის პირობებში შემოხსენებელი პრობლემების მოკლე დროში გადაჭრა არც ისე იოლი იქნება. ერთი მხრივ, ჩვენ კვლავ უნდა განვათავსოთ საკავშირო სპეციალიზაციის დარგები (კვების მრეწველობა, მეჩაიეობა, მეხილეობა და სხვა), ოღონდ არა ხელაღებით, არამედ ეკონომიკურად გამართლებულ და სოციალური თვალსაზრისით მიზანშეწონილ ფარგლებში, ხოლო მეორე მხრივ, თვისობრივად ახალ დონეზე უნდა ავიყვანოთ ეკონომიკის სხვა სფეროებისა და დარგების განვითარება, რომელთაც აგრეთვე რესპუბლიკისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვთ.

რესპუბლიკების კომპლექსური განვითარების მოთხოვნა, ცხადია, უნდა ვავიგოთ არა როგორც კარჩაკეტილობისაკენ, ნატურალური მეურნეობისაკენ სწრაფვა, არამედ როგორც ყველა რეგიონში მოსახლეობის სხვადასხვა მოთხოვნილების დაკმაყოფილება უპირველეს ყოვლისა სწორედ ადგილობრივი რესურსების ხარჯზე, რა თქმა უნდა, რეგიონთაშორის ეკონომიკური კავშირების რაციონალური განვითარების გათვალისწინებით. ეს სავევებით განართლებული პრინციპი ყოველთვის როდი იყო დაცული. ამიტომ დღეს არ შეიძლება, ერთმნიშვნელოვნად შეფასდეს ის პოლიტიკა, რომლის შედეგადაც საქართველოში მკვეთრად შემცირდა იმ ზოგიერთი სასოფლო-სამეურნეო კულტურის სათვის ფართობები, რომლებიც ძირითადად რესპუბლიკის სასურსათო ფონდში წარი-

(დასასრული მე-14 გვერდზე).



ელგუჯა ნაუუკელი

ქართული
საბჭოთა

საოცარი ამბები ხდებოდა ამ ოცდაათი წლის წინ თბილისში: თითქოს მთელ ქალაქს ერთი ფიქრი აწუხებდა — ვინ გაიმარჯვებდა ვახტანგ გორგასლის ძეგლზე გამართულ კონკურსში! ახლა მე ღრმად ვარ დარწმუნებული, ეს ინტერესი, ჯერ საკონკურსო ნამუშევრებისათვის დათმობილი დარბაზების ხალხმრავლობაში რომ გამოიხატა, შემდეგ კი მრავალდღიან განხილვაში, მხოლოდ მხატვრული ინტერესებით არ იყო განპირობებული.

გავიხსენოთ: ის-ის იყო ჩათავდა ავადსახსენებელი ორმოცდათექვსმეტი. აპოგეას მიაღწია სოციალისტურ რეალიზმის დოგმატურმა გაგებამ და მისი არტახებიდან თავის დაღწევის ყოველგვარი ცდა მიუტევებელ მკრეხელობად ითვლებოდა. ჯერ კიდევ არ ჰქონდათ მოხსნილი ფორმალისტის იარაღები შოსტაკოვიჩსა და პროკოფიევს, დეინეკასა და ჟავორსკის, გუდიაშვილსა და კაკაბაძეს. ჯერ კიდევ ძალაში იყო ჟღანოვის თეზა: „...დაუშვებელია, რომ სოციალისტური რეალიზმის ხელოვნების გვერდით ჩვენთან თანაარსებობენ მიმდინარეობები, რომლებიც თავის მასწავლებლად თვლიან ფრანგ ფორმალისტებს პიკასოსა და მატისს, კუბისტებს...“ პოლიტიკურ პატიმართა რეაბილიტაცია ჯერ კიდევ არ ნიშნავდა კეშმარიტი ხელოვნების რეაბილიტაციას... ამიტომ ბატონობდა საბჭოთა ხელოვნებაში პარადული სტილი, ამიტომ იშლებოდა თანდათან ეროვნული ხელოვნების ნიშნები პალატუხიანი ტრაქტორისტებისა და „შრომაში გამარჯვებული“ კოპწია მწველავების პორტრეტებში, ამიტომ ქრებოდა ფერისა თუ ფორმის, ხაზისა თუ რიტმის გენეტიკურად კოდირებული გრძნობა, ამიტომ უჭირდათ, მორალურად (და მატერიალურად) ძალზე უჭირდათ შეუდრეკელ და შეუვალ მხატვრებს...

ამიტომ ჰგავდა აფეთქებას ქართული სახვითი ხელოვნების ასპარეზზე გამოსვლა ორმოცდაათიანელთა, რომლებიც ეყრდნობოდნენ რა მრავალსაუკუნოვანი ეროვნული კულტურის ტრადიციებს, უარყოფდნენ ყველაფერ ყალბსა და შეღამაზებულს, მანკეენებს, რომლებიც ვითომდა ადამიანებს ასახიერებდნენ, ნაცრისფერს, რომელიც კამუფლირებული იყო ბაიარლების ძოწუქით თუ „ბედნიერ ადამიანთა“ თეთრკბილა ღიმილით.

ამიტომ ხდებოდა საოცარი ამბები თბილისში ოცდაათი წლის წინ. მით უმეტეს, რომ ძეგლი უნდა დადგმოდა ლეგენდად ქცეულ ვახტანგ გორგასალს. დღეს, როდესაც ამდენს ვსაუბრობთ საჯაროობასა და დემოკრატიულობაზე, მე ვერ ვინსებებ უფრო საჯარო და დემოკრატიულ განხილვას საკონკურსო ნამუშევრებისა, ვიდრე ეს იყო ოცდაათი წლის წინ. მით უფრო საპატიოა ამ კონკურსში ახალგაზრდა მხატვრის, ელგუჯა ამაშუკელის, გამარჯვება. ეს გამარჯვება მოპოვებული იყო ღირსეულ მეტოქეებთან პაექრობაში, იმ მხატვრებთან პაექრობაში, რომლებიც დღეს სახელგანთქმულ ქართულ მონუმენტურ ხელოვნებას წინამძღვრობენ.

დღეს უკვე წარმოუდგენელია მეტეხის კლდის ქიმი გორგასლის, თანამედროვე ქართულ მონუმენტურ ქანდაკებაში ერთ-ერთი პირველი მხედრის ფიგურის გარეშე.

ძეგლის მხატვრულ ანალიზზე არ შევჩერდები. მასზე ბევრი ითქვა და დაიწერა. ვრცელი შესავალი კი იმიტომ მოვიშველიე, რომ ხაზი გამესვა ახალგაზრდა მხატვრის პირველი დიდი გამარჯვებისა და აღიარების მნიშვნელობისთვის. ეს იყო ფაქტობრივად იმ დიდი შემოქმედებითი გზის დალოცვა, რომელსაც აგერ სამი ათეული წელია მოჰყვება მხატვარი. ეს იყო ქართველ მხატვართა იმ თაობის ნიჭისა და შემართების აღიარებაც, რომელმაც თამამად იწყო გაყინული სქემების რღვევა და, რომელთა სახელებს უკავშირებენ სქელტანიანი მონოგრაფიების საბჭოთა ავტორები ძვრებს 60-იანი წლების საბჭოთა მონუმენტურ ქანდაკებაში. ქართულ მონუმენტურ პლასტიკაში ეს იყო ამაღლებულის, რეალურის, სიმბოლურის, პერსონიფიცირებული, განზოგადებულის, რომანტიკულის ორგანული შენადნობი. ბოლოს და ბოლოს ეს იყო ორი შექანიშნავი ხელოვნებისა და პედაგოგის, იაკობ ნიკოლაძის და ნიკოლოზ კანდელაკის სკოლების ვაჟკაციური და რაინდული პაექრობა, რომლის გარეშეც ხელოვნებას სიცოცხლე არ უწერია.

ვახტანგ გორგასალს „ქართვის დედა“ მოჰყვა, ქანდაკება, რომელიც თბილისის სიმბოლოდ იქცა და რომლის ავტორმაც არუსთაველის სახელობის სახელმწიფო პრემია დაიმსახურა.

შემდეგ იყო დიდების მემორიალი და მეზღვაურთა გმირობისადმი მიძღვნილი ძეგლი ფოთში, „დაჭრილი არწივი“ და ნიკო ფიროსმანიშვილი, „დედა-ენა“ და ლალო გუდიაშვილის საფლავის შესანიშნავი ძეგლი მთაწმინდაზე და მრავალი, მრავალი სხვა. გორის მემორიალისათვის ელგუჯა ამაშუკელს სსრკ სახელმწიფო პრემია მიენიჭა. ჩემი აზრით, ამ ძეგლში განივთდა ყველაზე თვალნათლივ მხატვრის საყვარელი თემა — თემა ვეფხისა და მოყმისა, რომელსაც ელგუჯა ამაშუკელი არაერთხელ მიუბრუნდა სხვადასხვა ფორმითა და სხვადასხვა ტექნიკით.

ელგუჯა ამაშუკელი ნამუშევრები პოეტური მეტაფორებით, რომანტიკული ამაღლებულობით, შინაგანი ძალითა და დინამიკურობით არის გაჯენილი. ეს თვისებები ახასიათებს მის დაზღურ ნაწარმოებებსაც, დეკორატიულ ბარელიეფებსა და მედალიონებსაც, ისეთ თითქოსდა პირადულ და ლირიკულ ფერწერულ ნაწარმოებებსაც, როგორცაა, ვთქვათ ციკლი „მუსიკა“ ან პეიზაჟების სერია.

მხატვარი ყველა ამ თვისებას ინარჩუნებს მაშინაც, როდესაც ასურათებს მის თუ გალაკტიონს, „ნიბელუნგებსა“ თუ ქართულ ზღაპარს...

მრავალმხრივია ელგუჯა ამაშუკელის ინტერესები, ფართოა მისი შემოქმედებითი ასპარეზი, მაგრამ იგი უპირველეს ყოვლისა მონუმენტალისტია — ხედვით, თემის ინტერპრეტაციით, სივრცისა და ფორმის გრძნობით. ამიტომ ამშვენებს საქართველოს მრავალ კუთხეს მისი ქმნილებები, ამიტომაც დღეს წარმოუდგენელი თბილისის მისი ქანდაკებების გარეშე.

ალბათ არა არის რა შემოქმედისთვის იმაზე დიდი ბედნიერება, მისი ხელთქმნილი როს ესაუბრება შინაურსა თუ უცხოეს ჭეშმარიტი ხელოვნების ენით.


ამ ენის სიწმინდე ვუსურვოთ მუდამ სამოცი წლის კაბუქს — ელგუჯა ამაშუკელს.

თენგიზ შვარცაძე




ქართული
ბიბლიოთეკა






საქართველო
შენი მოთხრობა



ელგუა
ნეუქელ



ფაბრიკაში მუშაობის დროს





ქართული საქართველო

1985 წელს ბრატისლავაში მეორედ გამოცა ვლადიმერ ფერკოს დოკუმენტური წიგნი „სვეტომ, მოიე, სვეტომ“, სადაც მოთხრობილია სლოვაკი დროტარების ისტორია, მათი ცხოვრება და მოღვაწეობა მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში, მათ შორის რუსეთსა და საქართველოში. დღეისათვის დროტარების სახელოსნოები არსებობს ბრატისლავაში, ამერიკის შეერთებულ შტატებში, დასავლეთ ევროპის ზოგიერთ ქვეყანაში, თბილისში კი მათი კვალიც აღარ არის, თუ არ ჩავთვლით ზოგიერთ ოჯახში შემთხვევით შემორჩენილ ნივთებს.

წიგნში აღწერილია სლოვაკი ხელოსნების დამოკიდებულება და მათი გულწრფელი სიყვარული თბილისის, ხაერთოდ, ქართველებისადმი. ბევრმა მათგანმა არა მარტო ქართული ტრადიციები გაიზიარა, არამედ ჩვენი ენაც შეისწავლა. ამას ადასტურებს თუნდაც ის ფაქტი, რომ, როდესაც 85 წლის უკანასკნელი თბილისელი დროტარი იოზეფ ონდრუშიკი ბრატისლავაში შეხვდა ნატალია ლეხელიძეს, იგი ქართულად მიესალმა სტუმარს: — გამარჯობა, კეთილი იყო ჩვენი გაცნობაო.

მკითხველისათვის ინტერესმოკლებული არ იქნება ამ წიგნის სახელწოდებისა და სიტყვის „დროტარი“ ახსნა. „დროტ“ სლოვაკურად მავთულს ნიშნავს, დროტარები კი ძირითადად მავთულისაგან ამზადებენ სხვადასხვა ნივთს. რაც შეეხება სათაურს: ძველ დროში, როცა დროტარის ოჯახში ვაჟი გაჩნდებოდა, მას ფანჯარაზე აწვენდნენ და ეუბნებოდნენ — „სვეტომ, მოიე, სვეტომ“, რაც ნიშნავს: გაიზარდე, გახდი დროტარი, იმოგზაურე მსოფლიოში და სახელი გაუთქვი სლოვაკურ ხელობასო.

დღეს მკითხველი გაცნობა ვლადიმერ ფერკოს წიგნის ერთ-ერთ თავს „დროტარები რუსეთში“, სადაც საკმაო ადგილი ეთმობა დროტარების თბილისურ ეპიზოდებსაც. სწორედ აქ მუშაობდნენ მწერლის მამა და პაპა, ასევე შემოთხსენებული 85 წლის იოზეფ ონდრუშიკი.

* * *


რუსეთის ტერიტორიაზე, პოლონეთის ჩათვლით, დროტარებმა 80-ზე მეტი სხვადასხვა ვიწრო სპეციალობის სახელოსნო შექმნეს, სადაც საქმეს ათობით სლოვაკი დროტარი და ბევრი სხვა ეროვნების მუშა პოულობდა. მაგალითად, იოზეფ ბელონის ტფილისის სახელოსნოში დროტარები იყვნენ ქართველები, სომხები, ერთი ჩინელიც კი ერიათ. ზოგი სახელოსნო თავისებურ ფაბრიკასაც კი წააგავდა.

მამაჩემმა — იოზეფ ფერკომ (დაიბადა 1900 წ.) თავისი შთაბეჭდილებები ასე აღწერა: „1914 წლის 20 მაისს მე და მამა ტფილისის გავემგზავრეთ „ბელონ კორნიანის ფირმაში“. 29 მაისს უკვე ტფილისში ვიყავით. მოგზაურობამ სწრაფად ჩაიარა, მე ჩემთვის უცნობი ქვეყნების დათვალიერება მაინტერესებდა... ევროპელი, რომელსაც ჯერ არ უნახავს აზია, გაცოცხლებული რჩება კავკასიონისა და მთის სწრაფი მდინარეების შემხედვარე. ეს ეროვნული ტანსაცმელი, თვით ხალხი, მთლიანად განსხვავდება ჩვენი კუთხისაგან. ყოველი მათგანი ქამარზე ჩამოკიდებულ ხანჯალს ატარებს“.

ბელონის სახელოსნოზე ჩვენ ვგებულობთ 1883 წელს დაბადებული იოზეფ იურაჩვასაგან:

— როცა 15 წლისა ვიყავი, — იგონებს

ვლადიმერ ფერკო



იგი, — იოზეფ ბელონმა ექვსი ბიჭი შეგვარჩია თავის მშობლიურ სოფელში და მასთან ერთად გავემგზავრეთ. ბელონი ჩვენი დროტარი იყო და სხვადასხვა ადგილებში ჰქონდა დროტარული სახელოსნოები. მასთან დასაქმებული იყო 100-ზე მეტი დროტარი მუშა და 20-30 ვაჭარი. ისინი მის საქონელს ქალაქებსა და სოფლებში ასაღებდნენ. შინიდან გზად გავიარეთ აგსტრია-უნგრეთის საზღვარი და ოდესისაკენ გავუყევით გზას. ბოლოს, შვიდი დღე-ღამის მგზავრობის შემდეგ, ბათუმში აღმოვჩნდით. ბათუმიდან კი მატარებლით ტფილისს მივამურეთ და პან ბელონის სახელოსნოში მივედი. მის ოჯახს, როგორც ამბობენ, შესანიშნავი სახელოსნო აქვს ნიუ-იორკში. მე სამი წლით მოსწავლედ ჩავეწერე. სამი წელი და რამდენიმე თვე ვიმუშავე, შემდეგ ცოტა ხნით შინ — როგონში დავბრუნდი და ისევ ტფილისს გავემგზავრე, სადაც ამჟერად სამი წელი დავრჩი.

ბელონს სახელოსნოები ჰქონდა ბაქოში, ირკუტსკსა და მონღოლეთში, ასევე კიევშიც. შემდგომში მან თითქმის ყველა სახელოსნო გაყიდა. ამ სამი წლის განმავლობაში დიდი გამოცდილება შევიძინე საქართველოში. ტფილისიდან 60 ვერსის მანძილზე თეთრი წყარო მდებარეობს. იმ პატარა ქალაქში ბევრი ჩეხი და გერმანელი ცხოვრობდა. ადგილობრივი მაცხოვრებლები ძირითადად მევენახეობას მისდევდნენ და შესანიშნავ ლენოსაც ამზადებდნენ. ჩვენს დროტარებს ძალიან უყვარდათ აქ ჩამოსვლა. აქ ჩვენ ბელონის ვაჭრებს შევხვდით. გაცივანით ქართველი და გრიგორიანული მოსახლეობა.

ჩვენი ვაჭარი დროტარები ბელონის საქონელს სხვადასხვა კუთხეში ასაღებდნენ. ამისათვის მათ მგზავრობა უხდებოდათ მატარებლით, აქლემებით, კამეჩებითა და ომნიბუსებით. ომნიბუსებში 4 ან 6 ცხენი იყო შებმული. თითოეულ ომნიბუსს თავისი დაცვა ახლდა. იქ ჭრელი ხალხი ცხოვრობდა. მათგან მოსალოდნელი იყო არა მარტო გაქურდვა, არამედ ვაჭრის მოტაცება ან მკვლელობა. მცველებად გადამდგარი კაზაკები იყვნენ. ისინი ჩვენს

პოლიციელებს წააგავდნენ. როგორც ცნობილია, რუსი კაზაკი დაბადებიდან სიკვდილამდე მეფის სამსახურში ითვლებოდა. ტფილისში დონის კაზაკები ცხოვრობდნენ. ისინი ხშირად დადიოდნენ ბელონის სახელოსნოს წინ, სადაც ჩვენ ვმუშაობდით. თითქმის ყოველთვის მღეროდნენ.

კავკასიამ თავისი აღმოსავლური ტრადიციებით დიდი გავლენა იქონია ჩვენზე. რა თქმა უნდა, ბევრი სინდელეებიც გვხვდებოდა. მაგალითად, ძალიან ძნელი იყო აქაური მაგარი ღვინის შეჩვევა.

იან პოტოჩევის მოგონებებიდან:

— ჩვენმა დროტარებმა რუსეთში არამარტო ხელობის საერთო დონე აიმაღლეს, არამედ გაზარდეს თავისი სახელოსნოების და თვით დროტართა რაოდენობა. ისინი საქონელს ამზადებდნენ ნოვგოროდის ცნობილი ბაზრისათვის, გერმანიის ექსპორტისათვის, ასევე სპარსეთსა და ნაწილობრივ ჩინეთში გასაზღვრავად. მათ მიერ წარმოებულ პროდუქციას იყენებდა ყველა: ეს იქნებოდა უბრალო მასა, თავად-აზნაურობა თუ სამეფო კარი. დროტარები რუსეთ-თურქეთისა და რუსეთ-იაპონიის ომის დროს რუსეთს სამხედრო პროდუქციასაც კი აწვდიდნენ. ისინი ამავდროს ამზადებდნენ ნავთობის მრეწველობისათვის საჭირო მასალას და წყნარი ოკეანის ფლოტის დაკვეთებზეც მუშაობდნენ. შუტარკის და კორნიანას ირკუტსკის სახელოსნო, რომელიც 1880 წელს შეიქმნა, მონაწილეობდა ციმბირის რკინიგზის მშენებლობაში.

რუსეთში დროტარების მიერ დამზადებული პროდუქცია მართლაც მრავალფეროვანი იყო. მაგალითად, მოსკოვში გუნჩიკის ფაბრიკას პროდუქციის 500-გვერდიანი კატალოგი ჰქონდა. ასევე ცალკე კატალოგი არსებობდა ოქროსა და ვერცხლისაგან დამზადებული ფუფუნების საგნებისათვის. თითოეული ნივთი ყოველდღიურად მზადდებოდა. ყოველ სახელოსნოს თავისი სარეკლამო პროსპექტი, სარეკლამო ბლანკი და ტელეფონის ნომერი გააჩნდა. დროტარმა იოზეფ ბელონმა თავისი პროდუქცია პარიზშიც კი გამოფინა, ხოლო 1908-1914 წლების მანძილზე რუსეთში 16 სხვადასხვა ჯილდო დაიმსახურა.

მაგრამ მუდმივი არაფერია და მათი აყვავების ერთ რუსეთშიც გაუფერულება დაიწყო.

— ჩვენი ჩამოსვლის ორი თვის თავზე მსოფლიო ომი გამოცხადდა, — იგონებს იოზეფ ფერკო. — ორ დღეში ყველა ჩვენგანს პოლიციამ ციმბირში გადასახლება დაგვიპირა, მაგრამ, საბედნიეროდ, ორ კვირაში ისევ გაგვათავისუფლეს, როგორც არასამხედრო ვალდებულები.

12 აგვისტოს გამოვიდა მეფის მანიფესტი, რომელიც ყველა სლავური წარმოშობის უცხოელს ისეთსავე თავისუფლებას უნარჩუნებდა, როგორც ისინი ომის დაწყების წინ სარგებლობდნენ. უნგრელები და გერმანელები კი დააპატიმრეს. ამის შედეგად ჩვენ ჩვენს ადგილებზე დავრჩით, მაგრამ აგვეკრძალა მიწერ-მოწერა.

1916 წლის შემოდგომა ფრიად დაძაბული იყო, ნიკოლოზ II ტფილისის ჩამოვიდა. ორი დღე უქმედ გამოცხადდა. სადღესასწაულოდ მორთული ქუჩები თვალისმომკრეფად კაშკაშებდა. 1917 წლის თებერვალში კი უკვე ყველა ერთთავად გაიძახოდა — „ძირს მეფეო!“ 1918 წლის დასაწყისში ჩვენ უკან დაბრუნებაზე ფიქრი დავიწყეთ. 27 აპრილს მე და იოზეფ გაუო ფოთისკენ დავიძარით. ფოთიდან გემები არ გადიოდნენ. ჩვენ პირველ მაისამდე ვიცადეთ, შემდეგ კი, როგორც იქნა, ვვეღირსა და ვემიცი დაიძრა.

დროტარებმა რომ რუსეთის დატოვება გადაწყვიტეს, ამაში დიდი როლი შეასრულა იმდროინდელმა რელიგიურმა არეულობამ და პოლიტიკურმა ქაოსმა. ნელ-ნელა ბანდიტიზმი იზრდებოდა, ხანდაზმულები ყოველ დღე ლებულობდნენ ფულის მოთხოვნის და სიკვდილით მუქარის ანონიმურ წერილებს.“

დროტარების სამშობლოში დაბრუნება მრავალ სირთულესთან იყო დაკავშირებული. ჯერ ერთი, მგზავრობა იმ დროს ძალიან ჭირდა. ამიტომ ზოგიერთი მინ ამერიკის გავლითაც კი დაბრუნდა. გარდა ამისა, სახელოსნოსა და უძრავ-მოდრავი ქონების საკითხიც მწვავედ იდგა. სახელოსნოებს ჩალის ფასად ყიდდნენ ან საერთოდ ისე იცვლებოდა სხვადასხვა ნივთზე. დროტარებს ძალიან უჭირდათ წლების მანძილზე დაგროვილი სიმდიდრის გატანა. ზოგმა ამის გაკეთება შენიღ-

ბულად სცადა. ერთ-ერთი ასეთი მეთოდი-ოქტროლის პურში გამოცხობა იყო. ზოგი დროტარი წითელ ჯვარს ქნდნენ და შოჭლეს თანხისა და სიმდიდრის მიღება მათთვის შეუძლებელი სცადა, მაგრამ აქედან ჯერ არავის ერთი კრონიც კი არ მიუღია.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუცია დროტარული წარმოების დასასრულიც გახდა. სახელოსნოები წარსულს ჩაბარდა, ხოლო მცირე გამოწარმოების გარდა ყველა დროტარი თავის სამშობლოში დაბრუნდა.

ამრიგად, ოქტომბრის რევოლუციამ დასაბამი მისცა დროტარების დიდი ხნის ოცნებას — ემუშავათ სამშობლოში, საკუთარ სახლში.

მართალია, რუსეთიდან დაბრუნების შემდეგ მათ დიდი ეკონომიკური დანაკლისიც განიცადეს, მაგრამ ეს ტრაგიდიად არ გადაუქცევიათ. პირიქით, ისინი რუსეთის მიმართ მაღლიერებისა და სიკეთის გრძობით იყვნენ გამსჭვალულნი. ხოლო ზოგი მათგანი რევოლუციურ მოძრაობაში მონაწილეობასაც კი ლებულობდა. დროტარები ხელყუმბარებით ამარაგებდნენ წითელ არმიას, ავრცელებდნენ მათ აზრებსა და ნაწერებს, მონაწილეობდნენ კრასნოიარსკის ბრძოლაში. სწორედ აქ დაიღუპა ჩეხოსლოვაკიის არმიის პოდპოლკოვნიკი, სლოვაკი დროტარი კოვაჩიკი.

რუსეთის სიყვარული ახალგაზრდა საბჭოთა ქვეყანაზეც გადავიდა. ამას ადასტურებს დროტარების მხარეში დღემდე გამჯდარი ტრადიცია: ყველა სახლის წინ პირველ მაისს წითელი დროშები გამოფენილი. ასევე საინტერესოა, რომ მეორე მსოფლიო ომის წინ 152 დროტარი მამაკაცი თავისი ოჯახებით — სულ 500 სული — რუსეთში გადმოსახლებას აპირებდა. ისინი აქ კოოპერაციულ საწყისებზე დროტარული სახელოსნოების შექმნას ფიქრობდნენ. საბჭოთა მხარე დასთანხმდა, მაგრამ ჩეხოსლოვაკიის მთავრობა წინააღმდეგი წავიდა.

ეს შეიძლება ჩაითვალოს დროტარების რუსეთში მოღვაწეობის საინტერესო ისტორიის ბოლო აკორდად.

სლოვაკურიდან თარგმნის

ნატალია ლენელიძე, მარიკა პირველია.

(დასასრული)

მართება. კერძოდ, 1941-1986 წლებში მარცხვლული კულტურების სათესი ფართობები თითქმის 3-ჯერ შემცირდა, მათ შორის ხორბლისა — 3,1-ჯერ, სიმინდისა — 3,3-ჯერ. ეს არ შეიძლება აიხსნას მხოლოდ სპეციალიზებული დარგების განვითარების ინტერესებით. აქ ისიც უნდა ითქვას, რომ ჯერჯერობით სრულად არ გამოიყენება მეცხოველეობის განვითარების ის შესაძლებლობებიც, რაც გავაჩნია.

დაგეგმვაში პრინციპული სიახლეა სოციალური საკითხებისათვის პრიორიტეტის მინიჭება. დიდი ხნის განმავლობაში მათ გადაჭრას არ ექცეოდა სათანადო ყურადღება, რამაც სერიოზული დისპროპორციები წარმოშვა საწარმოო და არასაწარმოო სფეროების განვითარებას შორის.

სოციალური სფეროსადმი ახლებური მიდგომა უკვე ახახულია მიმდინარე ხუთ-

წლედის გეგმაში. მაგალითად, სოციალურ-კულტურული დანიშნულების ობიექტების მშენებლობაზე 1986-1988 წლებში ხუთწლიანი ლიმიტების ზევით გამოიძენა რამდენიმე ასეული მილიონი მანეთის კაპიტალური დაზანდებები, რის ხარჯზეც ხუთწლედის დავალებები გადაჭარბებით სრულდება.

რადიკალური სამეურნეო რეფორმა, მეურნეობრიობის ახალი მექანიზმი არსებითად ამაღლებს მოკავშირე რესპუბლიკების როლსა და პასუხისმგებლობას ეკონომიკურ და სოციალურ განვითარებაში როგორც რეგიონალური, ასევე საერთო საკავშირო საკითხების გადაწყვეტისას. ახლა დღის წესრიგში დგება ფართო უფლებების გამოყენების საკითხი: ღრმა შეცნიერულ საფუძველზე, ახალ მოთხოვნილებათა შესაბამისად უნდა გარდავქმნათ

რესპუბლიკის ეკონომიკის სტრუქტურა, დავხვეწოთ მისი სპეციალიზაცია, უზრუნველვყოთ კომპლექსურობის აუცილებელი დონე. ამასთან, საქმე ისე უნდა წარიმართოს, რომ საკავშირო შრომის დანაწილებაში რესპუბლიკის მონაწილეობის ზრდა კი არ ეწინააღმდეგებოდეს რესპუბლიკურ ინტერესებს, არამედ პირიქით, ხელს უწყობდეს ადგილობრივი ეკონომიკური და განსაკუთრებით კი სოციალური პრობლემების წარმატებით გადაჭრას.

მხოლოდ ასეთ პირობებშია შესაძლებელი მთლიანად ჭვეუნის ერთიანი სახალხო მეურნეობრივი კომპლექსის წარმატებული განვითარება, მისი ფუნქციონირების მაღალეფექტიანობის მიღწევა, რესპუბლიკებს შორის საწარმოო-ეკონომიკური კავშირების რაციონალიზაცია.

ივანი ზალამბერიძე



უკულა

გულნარა ბახტაძე.

დილის ტბილ ძილში იყო ქალბატონი მათიკო, ვილაცამ ზარი რომ დარეკა. იგი საწოლიდან წამოვარდა, ფეხები ფლოსტებში წაპყო, ხალათი მხრებზე მოიგდო და ბუზღუნით კარისკენ გაემართა. როგორ იქნება, არ დაავიწყდეთ რამე?! და საკეტს გამოჰკრა ხელი.

კართან თავით ფეხებამდე წვიმაში გალუმბული შაოსანი ქალი იდგა და ნირწამხდარი ილიმებოდა.

— მაყვალა?! ამ თავსხმაში სახლიდან რამ გამოგიყვანა? ვიფიქრე, ჩვენები არიან-მეთქი. ეს-ეს არის, გაიკრიფნენ სახლიდან.

— მაშ, შინ არ არის ჩემი ექიმი? — თქვა დანანებით ქალმა.

— აკი გითხარი, ერთი ფეხით გავასწრო. შუადღემდე არ დაბრუნდებიან. შემოდი, რას უდგებარ?

სტუმარმა ტალახიანი ფეხი ზღურბლზე ფრთხილად გადააბიჯა. გაწუწული თავსაფარი მოიხსნა, პირისახე შეიწმინდა.

— ჩვენსა კი არ წვიმდა, გეთყავა. თბილისში რომ შემოვიდა ავტობუსი, მაშინ დასცხო.

პირობრიობა

— თბილისში წვიმს; წვიმდა გუშინ, გუშინწინ, ერთი კვირაა გადაუღებლად წვიმს. აქეთ, აქეთ მოდი. იატაკი არ დასვარო, თორემ მარიამს ვერ გადავურჩებით.

მასპინძელმა სტუმარი სააბაზანოში შეიყვანა. ტაბურეტს დასწვდა, აბაზანაში ჩადა და სტუმარს უთხრა:

— აბა, სწრაფად, გაიხადე.

— ვიბანაო?! — გაიოცა სტუმარმა.

— სველ ტანსაცმელში ხომ გაცივდები. გაითბე ძვლები.

— გაცვივდები კი არა და... ვენახში რამდენჯერ დამდენია შხაპუნა წვიმა. სულაც ტანზე შემშრობია. ისე კი დიდ მადლსა შერები. როგორ მენატრება ცხელი წყალი!

— რატომ, შე ქალო, გველუშაბი დასახლდა სოფელში, თუ საპონი გაწყდა?

— ეჰ, ჩემო მათიკო ქალბატონო, ერთიც ბევრია და მეორეც, მაგრამ თავზე წყლის დამსხმელი არავინა მყავს, არც ხმის გამცემი, თვალის დამხუჭავი. ივანეს იმედი მქონდა და მილალატა.

— ჰო, კარგი შენც ახლა, სამოცი წელი მხარში გედგა ქმარი. მე რაღა ვთქვა? ოცდაშვიდი წლის დაგქვრივდი და ასე ცალუღელამ ვზიდე ცხოვრების ჭაპანი. ექვსი შვილის დედას რამ გათქმევინა თვალის დამხუჭავი არა მყავსო. ღმერთს ნუ სცოდავ! ნაბოლარა სადღა წავიდა? აკი იფი-

ცებოდა, მამა-პაპის კერას არ ჩავაქრობო, — თქვა მათიკომ და სააბაზანოდან გავიდა. სტუმარმა ძლივდღეობით გაიძრო ტანზე მიწებებული სველი კაბა-მურჯავი, აბაზანაში ჩავიდა, რომ მასპინძელი-ისევე შემობრუნდა. მკლავზე ქათქათა პერანგი და ხალათი გადაეკიდა.

— მე და შენ ერთი ზომა-წონისანი ვართ. ყველაფერი მოგვრგება! — უთხრა მან სტუმარს.

— გაიხარე, მათიკო ქალბატონო!

— ძალიან გამხდარხანდ, საჭმელს არა ჭამ?

— არა. მარტო ჩემთვის კერძს რა მომამზადებინებს. არცა მშვიდება. განა ვიტყვიებ რამეს? ძალა დავკარგე. მუხლი მომიღუნდა. ძროხასაც ვიღარ ვწველი, მინდა, გავესინჯო ჩემს თორნიკეს, იქნება ღონის მომცემი წამალი მომამშველოს რამე.

— აბა ჩაჯექი, შხაპი მოუშვი. დროზე იბანავე. მალე ზეიმი დაიწყება, ერთად ვუყუროთ ტელევიზორს.

მასპინძელი სასტუმრო ოთახში გავიდა, ტელევიზორი ჩართო, საეარძელში ჩაჯდა და ჭსოვას შეუდგა.

საათის ისარი ათს უახლოვდებოდა. ტელევიზორზე ცხრილს უჩვენებდნენ. მღეროდნენ დები იშხნელები. ამათ სიმღერას ქალბატონი მათიკო ჩვეულებრივ შორეულ წარსულში გადაჰყავდა... თვალწინ წარმოუდგებოდა დედ-მამა, დები, ძმები. ახლა სტუმარ ქალზე, გონიაშვილების მრავალშვილიან ოჯახზე ფიქრობდა. ზამთრის ის ცივი საღამო გაახსენდა, შვილი რომ სასწრაფოდ მანქანით რომელიღაც სოფელში გააქანეს. მთელი ღამე ფანჯარასთან გაატარა. გზები მოყინული იყო და რა არ იფიქრა. გამთენიისას თორნიკემ დარეკა: დედა, არ შეგეშინდეს, თბილისში ვარ, მძიმე ავადმყოფი ჩამოვიყვანეთ, საოპერაციოდ გამზადებთო.

სამი დღე-ღამე არ გამოჩენილა თორნიკე სახლში, თავზე ადგა მომაკვდავ მწყემსს. როცა ავადმყოფმა მოიხედა, ღმერთად იწამა დასტაქარი.

ოპერაციიდან წლისთავზე ივანე გონიაშვილს შეეძგეს ვაჟი შეეძინა. ნაბოლარას მამამ დასტაქარის სახელი — თორნიკე დაარქვა და მასვე მონათვლინა. ამის შემდეგ არ ყოფილა ისეთი ახალი წელი, ივანე თავისი ნაბოლარათი ჯორაკიდებულ შოთის პურებით, ყურძნით, ღვინით სავსე ტიკით, გავაშელს მეკვლედ რომ არ გამოცხადებოდა.

ფეხბედნიერი გამოდგა ივანე. წელიწადი მშვიდობიანად რომ ჩათავდებოდა, მათიკო ივანეს უმადლოდა.

მათიკოც იყო ნამყოფი გონიაშვილებთან. ერთხელ ნაბოლარას ნათლობაზე, მეორედ კი ნაბოლარას ქორწილში. ახლა პირველი სტუმრობა გაახსენდა; ივანე მის დასაბატოებლად საგანგებოდ ჩამოვიდა თბილისში. მათიკოს უყვარდა სტუმრად ყოფნა, მით უმეტეს, როცა თან შვილიც ახლდა და ივანეს ბევრი ხვეწნა არ დასტირებია.

როცა მანქანაში მათიკო თორნიკეს გვერდით მიუჯდა, თორნიკემ აღტაცებით წამოიძახა:

— რა ლამაზი ხარო, ქალბატონო მათიკო!

— რატომაც არა. შენი მშობელი ლამაზიც უნდა იყოს და მორთულ-მოკაზმულიც.

— მხაგრავთ, ქალბატონო მათიკო. ყურადღების საგანი მხოლოდ თქვენ ხართ, — ლიბლით თქვა თორნიკემ.

— ეჰ, შვილო, ყურადღებას და პატივს ვინ მალბობდა, შენ რომ არ მყავდე სასიკადლო? დიანაც ღირსი ვარ, ჩემს ერს კარგი ქართველი აღვუზარდე, მშრომელი, პატიოსანი, ასე რომ არა, გონიშვილების ოჯახში ახლა ზეიმის ნაცვლად, გლოვა იქნებოდა.

— დედა, შენ გჯერა, რომ მე გადავარჩინე ივანე?

— რასაკვირველია, მჯერა!

— აკი შენ თავად ამბობ, თუ კაცს სიკვდილი არ უწერია, არ მოკვდებაო.

— დიანაც ასეა. თუ უვიციის ხელში არ ჩავარდა.

— ხა, ხა, ხა, დარწმუნებული ხარ, რომ ივანე მე ვიხსენი სიკვდილისგან?

— ეჭვი არ მეპარება. ივანეცა და ბევრი სხვაც.

— მე მიჭირს ამის დაჯერება, არადა, რა ბედნიერი ვიქნებოდი, ასე რომ იყოს. თუმცა არის ერთი სულიერი, აი ის, ის კი ნამდვილად მე უნდა მიმადლოდეს სიცოცხლეს.

როცა გავაშეღებ სოფელში ჩავიდნენ, ჭიშკართან მიგებებულ ივანეს თორნიკემ რაღაც ჩასჩურჩულა.

— კეთილი, შენი ჭირიმი! — უთხრა ივანემ და დაწინაურდა.

ოციოდე ნაბიჯი რომ გადადგეს, ივანემ სტუმრები ბოსელში შეიყვანა.

* * *

მათიკოს თვალწინ გულისამაჩუყებელი სურათი გადაეშალა. ბავაში იდგა თეთრყელა თეძოვსავე ძროხა და იცოხნებოდა. ქვევიდან შესძრომოდა მასავით თეთრგულა ხბო. ცხვირ-პირი დედის ცურში ჩაემაღა და ძუძუს ჯიჯგინდა.

— *какая прелесть!* — აღმოხდა მათიკოს.

— აი, „ამ დიდ ქალბატონს“ კი ნამდვილად მე ვაჩუქე სიცოცხლე. ხომ ასეა ჩემო ივანე? — ჰკითხა თორნიკემ.

— მაშ, მაშ, კაცო, ეგრეა, სიცხისგან რომ ვიწვოდი და საშველი არ იქნა, „შველა“ გაიმეტეს ჩვენებმა. უშობელი შევწიროთ, ეგებ ივანე გადავირჩესო. პოდა, თქვენს შვილს უთქვამს: ნუ დაკლავთ, ხალხნო, დამაცადეთო. ამ კაცს თბილისში წავიყვან და თუ არ გამოვაკეთო, ამ სამსხვერპლოზე მე დამდეთო.

— ხბოს რა ჰქვია? — იკითხა მათიკომ.

— „შველა“, დედის სახელი.

— შველა, შველა, მაშ, ეს შენა ხარ ჩემი გიოს ძუძუძუტი? — მათიკომ ხბოს მიუთარსა.

— ჩემო ივანე, თუ ძმა ხარ, ნუღარ შეწუხდები. ან „შველას“ რად აკლებ დედის რძეს ან შენს შვილებს. თბილისში რძის მეტი რაა.

— თორნიკე ბატონო, მაგას როგორ მეუბნები? ჩემი შეწუხება რა სათქმელია? განა თქვენს სიკეთეს რძე ანახლავს? თქვენ რომ არა, არც ჩემი ძელები იქნებოდა ახლა და არც „შველასი“, არც ნაბოლარა და არც პატარა „შველა“ მოევლინებოდა ამ ქვეყანას, დაგვაცა, განა ცოდვაა, სიკეთე სიკეთით გადავიხადოთ?

...ოთახში ტელეფონის ხარმა გაიწვრილა. მათიკო ფიჭრიდან გამოერკვა, საქსოვი დადო და ყურმილს დასწვდა.

— ალო, ანეტა, შენა ხარ? რამდენჯერ

დავირეკე, მინდოდა, წუხელ შენც წამეყვანე. მე, თამარი, ქეთო, ელენე, ნინა ჩემმა რძალმა ჩავესვა მანქანაში და მთელი ქალაქი მოგვატარა. ისეთი სანახავია თბილისი. დედოფალივით მოურთავთ. დასანანია, რომ წვიმს, მნოსა და ლახათს უკარგავს ყველაფერს. რაო, რა თქვი, გადაილო? მათიკომ ფანჯრისკენ გაიხედა.

— ოჰო! მზე გამოსულა! — ჩასძახა ყურმილში, — ანეტა, გადმოდი ჩემთან, ერთად ვუყურებოთ ტელევიზორს.

— გერა ჩემო, თავი არა მაქვს. გუშინ მიღების დღე მქონდა. დალილი ვარ და გაჯავრებული: ექიმი ქალი იყო კასპიდან, შვილი მომიყვანა გასასიხად. ჩვენი სტუდენტია. წასვლისას ფული შემადლია. ვუთხარი: შენ ხომ ჩემი კოლეგა ხარ? ეს ბიჭიც ხომ მომავალი კოლეგაა-მეთქი. აბა, როგორ მაგალითს უჩვენებს შვილს? ნუთუ აღარაფერი დარჩა წმინდა. ჩემს კარზე გაკრული განცხადება არ წავიკითხავს? იქ მაგზე თეთრით წერია, დღეს პროფესორი ანეტა ქლენტი გასამრჯელოს არ იღებს!..

— ნუ გამატყუებ, ჩემო ანეტა! მაგას ვერ დაიჯერებს. ახლა რომ სიხარბეა, გაგიგონია ამისთანა ოდესმე? ძმა ძმას აღარ ინდობს ფულისთვის. თეატრში მოდიხარ? მაშ, ჯერჯერობით, ტელევიზორს არ უყურებ? იწყება. კეთილი, კეთილი.

მათიკო საბაზანოსკენ გაეშურა.

— მაყვალა, კიდეც ბანაობ? — შესძახა სტუმარს და ღრიჭოში შეიხედა. გაორთქლილ საბაზანოში ძლივს ვაარჩია სკამზე მოკუნტული მოხუცებული. მაყვალას ხელები მკერდზე აეფარებინა, თვალები დაეხუჭა და პირისახე შხაპისთვის მიეშვირა.

მათიკო კართან გაქვავდა. ერთხანს იდგა და სუნთქვაშეკრული უთვალთვალებდა. ჯერ მოეჩვენა, რომ სტუმარი ლოცულობდა. მერე იფიქრა, ნებიერობსო, კარს მოშორდა, სასტუმრო ოთახში გავიდა.

საგარქელში ჩაჯდა და საქსოვს დასწვდა.

მათიკო ახლა მშვიდად, თავშესაქცევად არ ქსოვდა, ნერვიულად ებრძოდა ძაფს.

ოთახში საზეიმო მარშის ხმა გაისმა. ტელევიზორი კონსტიტუციის მოედანს და ახლომახლო ქუჩებს უჩვენებდა. სასტუმრო „აჭარის“ კედელზე გამოფენილ უზარმაზარ ტილოზე გამოსახული იყო საქართველოს სახელმწიფო დროშა, რესპუბლიკის სახელმწიფო გერბი. მოედნის გარშემო შემოემწყრივებინათ დიდი პორტრეტები და ციფრები 1921-1981. ტრიბუნაზე იდგნენ რესპუბლიკის ხელმძღვანელები და სტუმრები. წვიმით გალუმბულ დროშებს მაისის ქარი აფრიალებდა. გაისმა ფანფარების ხმა და დაიწყო სამხედრო აღლუმი.

მათიკოს თითქოს არაფერი ესმოდა, ჯიუტად განაგრძობდა ქსოვას. თვალწინ ედგა მაყვალას გალუული სხეული, ჩვრებივით დაკიდებული ძუძუები...

ტელეფონი რეკავდა. მათიკო ძლივს გამოერკვა, ყურმილი აიღო.

— თამარი ხარ? კი გამოდიარა, დარდით არ ვიყავი. გიოს ისე ვაუქათქათე ხალათი. ვწუხდი, წვიმა რომ დასველებდა. ხუმრობა საქმე ხომ არ არის? სამედიცინო ინსტიტუტის პირველი კურსის სტუდენტი, თეთრ ხალათში პირველად ჩაუვლის ტრიბუნას. ნეტავი დამანახა. რა თქვი? ბაზარში იყავი?

— ვიყავი. ეს რა ნახა თვალმა: რამ თოვა და წვიმა ამდენი ხორავი, დიდძალი

სტუმარი ირეოდა. გავაცინო, წუწკი მეყვავილები, მამასისხლად რომ ყიდიან თითო ცალ მინახსა და ვარდს, სტუმრებს თან გულებს უკარადნენ და ჩუქნიდნენ.

— ხა, ხა, ხა, *какая прелесть!* ვენაცვალე ქართველებს. ამას მაინც ვერ წაართმევ, სულს არ დაიშურებს სტუმრისთვის. შენთან გადმოვიდე? ვერა, სტუმარი მყავს. იცი ვინა? ჩვენი მეკვლეს, ივანეს ქვრივი, მაყვალა, ხომ იცნობ? ბანაობს. იცინე, იცინე, წელიწადია თურმე არ უბანავია. თავზე წყლის დამსხმელი არავინ მყავსო. შვილები? — ექვსი! არც ერთი არ ცხოვრობს მასთან. ერთი თელავშია, მეორე რუსთავში. მესამე — სამტრედიასში, უმცროსს მიწის ნაკვეთი მიუღია სამსახურში, სახლი აუშენებია მარტყოფში, და ისიც გადასულა. თამარ, ტელევიზორს უყურებ? სამოქალაქო დემონსტრაცია დაიწყო. საღამოს შევხვდეთ!

მათიკომ ყურმილი ჩამოღო, ტელევიზორის საყურებლად მოემზადა, რომ ფლოსტების ფრატუნი მოესმა. მიიხედა. სტუმარი იყო; ცისფერ ხალათში. ლოყები გარდისფრად შეფავლოდა, თმა ვერცხლისფრად უბრწყინავდა.

— გამოს, მაყვალა, გამოს. როგორ ვალამაზებულხარ! დაჯექი. ჩაის მოგართმევ.

— მოგაცდინე, შეგალონე, გენაცვალე, — დაადევნა სამხარეულოში გასულ მათიკოს ხმა სტუმარმა.

მასპინძელი შემობრუნდა. სინით ბროლის ჭიქებში ჩასხმული ჩაი და ნამცხვარი შემოიტანა. მაგიდაზე დადგა.

— შეხედე, შეხედე რა კონტად მოაბიჯებენ სპორტსმენები, — უთხრა სტუმარს, — ეს პირველი მაისის რაიონია, ეს კი ჩვენი დაწესებულება... საავადმყოფო... ჰაიგიდი, მათიკო. ყოველთვის პირველ მწყრივი ვიდექი, ფრენა-ფრენით ჩავუვლიდი ხოლმე ტრიბუნას. ეს, სიბერე, სიბერე... ღმერთო, როგორა კთქვა შენი საყვედური? რამდენ ხანს მაცოცხლე. შვილის დაბერებას მომასწარი. რამდენი მახარე, რამდენი მატარე დედამიწაზე. შემოვლილი მაქვს საქართველო. ახლა, რუსეთი, ევროპა, აზია? იცი, მაყვალ, ჩინეთშიც კი ვიყავი. შადლობა, უფალო! ღმერთო, შემინდე, მაპატიე, ვთხოვ, ცოტაც დამაცადე, სიცოცხლე მინდა!

— ტუბილი სიბერე გაქვს და სიცოცხლე მისთვის გიხარია! — თქვა მაყვალამ.

— ასეც არის, მაგრამ წვალუბაც ხომ ბევრი გამოვიარე. მაშინაც არ დამიკვნესია. რადგან ჯანი მომდევდა და თუ ძალა შეგწევს, ყველაფერს მოველებ. ჯანმრთელი კაცის წუწუნის ცოდვად მიმაჩნია. ცხოვრება ბრძოლაა, ჭიდილია და უნდა გაიმარჯვო.

შეხედე, მაყვალ, ეს მარჯანიშვილის თეატრია. ხედავ, ვერიკოს? რა ყოჩაღად მოაბიჯებს, ეგვეც ჩვენი კბილაა. ვინახავს „ხეები ზეზეულად კვდებიან?“ როგორ ცეკავს ამ სპექტაკლში ვერიკო!

— აბა, თეატრში რა დავკარგე?

— ვიორგი სააკაძე ხომ გინახავს კინოში?

— არა, გეთაყვა.

— „ოთარანთ ქვრივი?“ ტელევიზორში ხშირად აჩვენებენ.

— ტელევიზორი რომ არა მაქვს? გინდაც მქონდეს, მაგის საცქერლად სოფელში ვის სცალია? ეგ უსაქმური ხალხისთვის. ქალაქელებისთვისაა მოგონილი.

1870/1

— მაშ, უსაქმური ვარ? ორმოცი წელი ვემსახურე ხალხს, მთავრობამ დააფასა ჩემი შრომა, წოდება და ორდენი არ დამაკლო. სამოცდაათი წლისამ დავანებე თავი სამსახურს და, რახან სახლში დავჯექი, გგონია გულზელი დავიკრიფე?

— აბა, მე ეგ რომ არ მოთქვამს, ღმერთო მომკალი, გაწყენინე.

— ამ სახლის კარი ვინ უნდა გააღოს? — მე! დილით ჩვენები ვინ უნდა გაისტუმროს? — მე! ტელეფონზე ვინ უნდა უპასუხოს? — მე!..

— ჰო, ეგ კი მართლა მძიმე საქმეა, — თქვა სტუმარმა და გაიღიმა, — ერთი კაცი თქვენთან ტელეფონზე უნდა იყოს მიმგვრებული.

— მე უნდა წავიდე ბიბლიოთეკაში, დავაბრუნო წიგნები, მოვიტანო ახალი. ქიმ-წმენდაში უნდა წავილო ტანსაცმელი. უნდა დავაქვრო ღილი, ტბილელუსაც მე ვაცხობ.

ტელეფონმა კვლავ გაიწვია.

ნინო წულუკიძე რეკავდა. ამაღამ გიგოლიზე გადაცემა ტელევიზორში და არ გამოგრჩესო. გვიან „დარიკოს“ აჩვენებენო. კიდევ რაღაც თქვა თავისებური კვიპატური. მათიკომ გადაიხარხარა, ყურმილი დაღო და სტუმარს მიუბრუნდა.

— არ მითხრა ახლა, დარიკო არ მინახავსო. იცი, ვინ არის დარიკო?

— დარიკო? — დაიბნა სტუმარი, — ჩემი მეზობელია.

— შენი კი არა, ჩემი მეზობელია, — მოჰყვა მათიკო სიცილს. კინოფილმზე გეუბნები, „დარიკო“ არ გინახავს-მეთქი?

— დარიკო, დარიკო, ჰო, ვიცი, როგორ არ ვიცი, — გამოცოცხლდა სტუმარი, — სიმონას დარიკო. რუსთავში რომ ვიყავი ნიკოსთან — ჩემს უფროს შვილთან — იქ ვნახე ტელევიზორში.

— იცი, დარიკო აკადემიკოსის ცოლია.

— როგორ, გაეყარა სიმონას? — გაიოცა სტუმარმა.

— ჰო, სიმონას გაეყარა და დიმიტრის გაჰყვა ცოლად. არა, არა, სოფელში არ გაგეშეგებ, გაგაცნობ დარიკოს, კერიკოს, ნონა გაფრინდაშვილს. წაგიყვან სტადიონზე, გაყურებინებ, როგორ თამაშობენ ჩვენი ბიჭები ფეხბურთს. დავით ყიფიანი გაგიგონია?

— აბა, რა ვიცი.

— ოპერის თეატრში თუ ყოფილხარ?

— ეგლა მაკლია, — გაეღიმა სტუმარს.

— მერე ისე უნდა წახვიდე ამ ქვეყნიდან, რომ „დაისის“ ჰანგები თან არ გაიყოლო? ცოტა ხნით დარჩი.

— მერე ჩემი „შველა“, ქათმები? — თქვა სტუმარმა.

— ჭირსაც წაუღია!

საუბარი ტელეფონის ზარმა გაწყვიტა. მათიკო ყურმილს დასწვდა.

მასპინძელი ახლა სტუმრისათვის გაუგებარ ენაზე მოჰყვა ლაპარაკს. მაგრამ სტუმარი მიხვდა, რომ იგი ჯავრობდა, და როცა ქართულად წამოსცდა, მოდი და ინატრე ბევრი შვილი, მიხვდა, ყველაფერი მისი მისამართით იყო ნათქვამი, შეწუხდა. მასპინძელს მკლავში ხელი ჩაავლო და მოჰყვა!

— გეთაყვა, განა შეილებს ვემღური? არა, რა ვუყოთ, რომ ხშირად არ მაკითხავენ? რა ჰქნან, კერ იცლიან! დედა ენაცვალს მაგათ.

მასპინძელმა ყური არ ათხოვა. საუბარს განაგრძობდა.

სტუმარს ძილი მოერია, თორნიკე გავა-

შელის შინ დაბრუნება და გიოს ბუზლუნი არ გაუგონია.

— ღმერთო ჩემო, რა ხალხში ვარ. რატომ გამომიგზავნეთ მარიამი? ტრიბუნის წინ არ გამომეცხადა? დაიხოცენ ბიჭები სიცილით. ძიბამ მოგაკითხა, აგერ გეძახისო, — ჯავრობდა გიო.

— ხა, ხა, ხა — ვადაიხარხარა მათიკომ. — თვითონ არ გაჩერდა სახლში, ჩემი გაზრდილი უნდა ვნახო სტუდენტებს შორის, როგორი იქნებაო. მარიულა, შე შეჩვენებულლო, როგორ მიაღწიე საშვის გარეშე ტრიბუნამდე?

— თავივით ვაუქვერი მილიციელებს, კინაღამ დამიჭირეს საბრალო მოხუცებულლო. ერთი დაგენახათ, როგორ მოდიოდა მწყობრში ჩემი გაზრდილი. ორთავე ხელი ჩაებლუჯა გრძელტარიანი დროშისათვის და მოიმღეროდა. შინ კოვხსაც არ მოურევს.

— ბიჭო, ხომ ვთხოვე, ტრიბუნასთან ახლო იარე-მეთქი. დაგინახავდი. მაინც რას მღეროდი? — ჰკითხა მათიკომ გიოს და ქოჩორზე წაავლო ხელი.

— „ჩვენ დროშას მტყიცედ შევფიცეთ, ალისფერ დროშას ნაოშარს, არ ვუღალატებთ არასდროს, გვქვია ლენინის თაობა“, — წაუძღვრა გიომ და მოჰყვა ძახილს: — მშია, მშია, მაჰამეთ რამე. — ბეზია, ეს რა მასტია?! — გიომ მყვალაზე ანიშნა.

— ვერ იცანი? ეს ხომ მამაშენის ნათლულის დედაა — მაყვალა.

უეცრად მაგნიტოფონმა ისე დაიხრიალა, შეშინებულმა სტუმარმა თვალები დააჭყიტა. თავზე თორნიკე გავაშული ადგა. ასადგომად წამოიწია.

— რაო, ქალბატონო მაყვალა, ვერა გრძნობთ თავს კარვად? აბა, წამობრძანდით, ჯერ გაგსინჯავ და მერე ვისადილოთ! — გავაშული კაბინეტში შეუძღვა.

* * *

თორნიკე გავაშულს ჩვეულებად ჰქონდა, სანამ ავადმყოფს დაწვრილებით არ გამოჰკითხავდა, არ გამოიკვლევდა მის ოჯახურ, სამსახურებრივ მდგომარეობას, არ გასინჯავდა. ეს მოხუცებული ქალი ჩვეულებრივი პაციენტი არ იყო, მაგრამ თითქოს პირველად შეხვდაო, გულდასმით უსმენდა.

მათიკომ ვეღარ მოითმინა, კაბინეტის კარი მაშინ შეაღო, როცა ტანტზე წამოსკუბებული მაყვალა ხალათის ღილებს იკრავდა.

— რაო, რაშია საქმე, რა სჭირს? — შეეკითხა იგი შვილს.

— ქორტრევილი არაფერი.

— გული და წნევა როგორი აქვს?

— სპორტსმენს შემურდება.

— აბა, რა დაემართა?

— შენი არ მიკვირს? ჰკვიანი ქალი ხარ. რა სჭირს და მარტობა. ამის წამალი, ძალისა და ღონის მომცემი, ხმის გამცემი — ადამიანია. ამ წამლით მისი უზრუნველყოფა შენთვის მომინდვია. ახლა წავიდე, ვისადილოთ, — თქვა გავაშულმა და მაყვალას მხრივზე მოხვია ხელი, — დღეს საქართველოს დღეა, დავოცოთ!

თორნიკე გავაშულმა მანდილოსნებს ღვინო დაალევინა. მათიკომ ჭიქა ასწია და ჩვეული პათეტიკურობით წარმოთქვა:

— ადამიანს სიჭაბუკეში ხომ სჭირდება კარგი დასაწყისი, — სიბერეში უფრო კარგი დასასრული — ამომავალი მზე ძალიან ჰკავს ჩამავალ მზეს!

— სამი დღე გავაშულმა სტუმარი შინ არ გაუშვებს.

* * *

დილიდან სამზადისში იყო მათიკო. თმა ჩაის წყლით დინამა. კულულებად დაიწყო, ჩაიცვა შავი ხავერდის ქაბაჯკოსტუმი. ქათქათა თეთრ გულისპირზე დამეიკადა იბნია. დიდი სურვილი ჰქონდა, გონიაშვილებს დედის იუბილეზე მთელი თავისი ოჯახის წევრებით სწვეოდა. შუაღლისას ყველა მოგროვდა.

გიო საქესთან დაჯდა, გვერდით თორნიკე მიუჯდა. უკან, სავარძელზე, მათიკო, რძალი და მარიამი დასხდნენ.

— წავედით? — იკითხა გიომ. — წავედით, წავედით! — თქვა მათიკომ.

გიომ მანქანა ადგილიდან მოსწყვიტა.

— ფრთხილად, ფრთხილად იარე. — უსაყვედურა გიოს დედა.

— ქალბატონო მათიკო, დარწმუნებული ვარ, ამ იუბილეს მოწყობაში თქვენი ხელი ურევია, — უთხრა დედას გავაშულმა.

— აბა, რა ეგონათ? შეეკრიბე ერთად ექვსივე და შავი დღე გაყარე: ოთხმოცი წლის გაგინდათ დედა, რას აპირებთ? მოკვდება და იცოცხლებ, ისეთ ჭირის სუფრას ვაშლით, მთელ სოფელს სალაპარაკოდ ექნება-მეთქი.

— ახლა არ დაუწყო ჰკუის სწავლება ბიჭებს სახალხოდ, — სთხოვა გავაშულმა დედას.

— ჰკუის სწავლება? ჰკუაზე ეგენი რა ხანია მოვიყვანე, ნაბოლარა ხომ მოვაბრუნე სახლში. ბიჭო, სად მიდიოდი, რომ მიდიოდი, როცა შენ სოფელში სახლიცა გაქვს და კარიც-მეთქი. ახლა დანარჩენებმაც დამაცადონ! ერთი სიტყვით, გაჭრა, შვილო, შენმა წამალმა, ყური მიგდე, წაგეკითხო, რას მწერს მაყვალა.

მათიკომ ჩანთიდან კონვერტი ამოიღო, გახსნა და წაიკითხა:

„ძვირფასო მათიკო ქალბატონო! ღმერთმა გიშველოთ, როგორც თქვენ მიშველეთ, მუხლებში ძალა დამიბრუნდა. ძროხასაც ვწველი, ვენახსაც კუვლი, კერძსაც ვამზადებ და მადიანადაც გეახლებით. ტელევიზორსაც მაღიმაღ ვუყურებ, ენკენისთვის რვაში შვილები თავს იყრიან ჩემსა, არ ვიცი, რამ გადარიათ, დაბადების დღე უნდა გადაგიხადოთო. გულს ნუ დამწყვეტთ, ჩამობრძანდით“.

— ტელევიზორიც მათიკომ აყიდინა ბიჭებს? — იკითხა გავაშულმა.

— დიახ, — თქვა ნიშნისმოგებით მათიკომ.

— ბები, ბები, შენ ალბათ, როიალსაც შეაძენინებ მაგათ. იცოდე, „სტივენსი“, სხვა არა, ფირმა უნდა იყოს!

— რად უნდა მაყვალას როიალი? — გაიოცა მარიამმა, ერთი ეგეც ჰახმუტოვა მყავს.

— რატომაც არა? შვილიშვილები ჰყავს, ისწავლიან, დაუკრავენ და გაახარებენ მოხუცებულს. — თქვა მათიკომ.

— სჭირდება, აბა როგორ! ადამიანისათვის სიჭაბუკეში ხომ აუცილებელია კეთილი დასაწყისი, სიბერეში უფრო კარგი დასასრულია საჭირო — გამოაჯავრა გიომ ბებიას და თვალი ჩაუჭრა, — ჰოდა, მთვარიან ღამეს, როცა სოფელში ქათმები დაიბუღებენ, ქალბატონი მაყვალა მიუჭდება როიალს და შეასრულებს „სონაია ლუნატას“.

მგზავრები გულიანად ახარხარდნენ.

საქ. სსრ კ. მარქსის სახ. სახ. ჩიხობა.

ახვანთა ჩაჩივანი

XVII საუკუნის ეს იტალიელი მისიონერი
ქართული საოღოს მისიონერი და გრამატიკის
შემდგენელია.



ანტონიო ჯარდინა, იტალიელი მისიონერი, საქართველოში ჩამოვიდა 1634 წელს და მოღვაწეობა დაიწყო ჯერ გორში, შემდეგ კი განაგრძო ოზურგეთში (ახლანდელ მახარაძეში), სადაც დააარსა ქართული სკოლა და დედაენას ასწავლიდა ადგილობრივ ბავშვებს, შექმნა პირველი ქართული გრამატიკა. გარდაიცვალა 1637 წელს. ასეთია მისი საქართველოში ცხოვრებისა და მოღვაწეობის საქმეები ქარგა. სამწუხაროდ, კეთილშობილი მოღვაწე ისე გარდაიცვალა (დაახლოებით ორმოცდაათი წლისა), რომ კვალი ვერ დატოვა. ამ მცირე ცნობის მიზანია იმის ნათელყოფა, თუ რა დამსახურება მიუძღვის ანტონიო ჯარდინას ქართული კულტურის წინაშე, სად შექმნა ქართული ენის გრამატიკა, სად მდებარეობდა მის მიერ დაარსებული ქართული სკოლა. 1987 წელს მას შეუსრულდა დაბადების 400 და გარდაცვალების 350 წელი.

ცნობილია, რომ იტალიელი მისიონერები საქართველოში საუკუნეთა განმავლობაში მიდი-მოდიოდნენ. მათი მიმოსვლა XIII საუკუნეში დაიწყო და მეტ-ნაკლები ინტენსივობით შემდეგ საუკუნეებშიაც გრძელდებოდა. მუშაობის ცენტრებად მისიონერებს არჩეული ჰქონდათ გორი, ახალციხე, თბილისი, ქუთაისი, ოდიში, ოზურგეთი.

ოზურგეთში (გურიაში) იტალიელი მისიონერები პირველად XVII საუკუნის 30-იან წლებში გამოჩნდნენ. მ. თამარაშვილის ცნობით, „გურიის მისიონი დაიწყო 1634 წ.“, ხოლო „გურიის პირველი მისიონერები იყვნენ პატრი ქრისტეფორე კასტელი, პატრი ანტონ ჯარდინა და ძმა ქლაუდიო“ („ისტორია კათოლიკობისა საქართველოში“, თბ., 1902, გვ. 150-151), რომლებიც ოზურგეთს მოსულან მალაქია გურიელის მოწვევითა და მისიონთა მეთაურის, პეტრე ავიტაბილეს, რეკომენდაციით. მისიონერები ქადაგებდნენ კათოლიციზმის დოგმებს, ამასთან ერთად ხალხს აცნობდნენ სოფლის მეურნეობის აგრარულ სპორტს, მკურნალობდნენ ავადმყოფებს, ავრცელებდნენ მწიგნობრობას, საოჯახო მეურნეობის ევროპულ ჩვეულებებს. ქრისტეფორე კასტელი, კერძოდ, ფრიად განათლებული პიროვნება ყოფილა; მხატვარი, ექიმი, მევენახე. მან გააკეთა ასობით უნიკალური ჩანახატი. მისი ჩვენამდის მოღწეული მშვენიერი სურათების ალბომი გამოკვლევისა და კომენტარებით გამოსცა ბეჟან გიორგაძემ (დონ კრისტოფორო დე კასტელი, „ცნობები და ალბომი საქართველოს შესახებ“, თბ., 1977). კასტელის ალბომი ჩვენი ისტორიის ძვირფასი დოკუმენტური წყაროა, ამსახველი ქართველი ხალხის ცხოვრების, კულტურისა და ეკონომიკური ყოფისა XVII საუკუნის შუა წლებში. ალბომი ძირითადად შექმნილია ავტორის გურიაში მოღვაწეობის დროს (1634-1639 წლებში) და სავსებით ბუნებრივია ამ ნაშრომის აკადემიურად გამოცემა.

სამწუხაროდ, ამის თქმა არ შეგვიძლია ანტონიო ჯარდინას მოღვაწეობაზე, თუმცა, როგორც ირკვევა, მასაც არანაკლები დამსახურება მიუძღვის. რაც მთავარია, ანტონიო ჯარდინა ჩინებულად ფლობდა ქართულ ენას, იცოდა სოფლის მეურნეობის ევროპული წესები, იდამიანის მკურნალობა. ყოველივე ამასთან ერთად, ის გახლდათ დახელოვებული მასწავლებელი. ჯარდინა

ნას მოღვაწეობის ამსახველი ცნობები, რომლებიც დატულია ვატიკანის არქივში, პირველად გამოკრება და გამოაქვეყნა მ. თამარაშვილმა. ეს ცნობები განხილულია ჩემს აღწერილობით „ისტორიაში“ „სად დაიწერა პირველი ქართული გრამატიკა“ (ოზურგეთი, 1951 წელს გამოაქვეყნდა, ხოლო შემდეგ გადაიბეჭდა ავტორის შრომათა კრებულში „ფილოლოგიის ჩანაწერები“, თბ., 1980, გვ. 17-21).

რა მიზნები ჰქონდათ იტალიელ მისიონერებს? რისთვის მოდიოდნენ ისინი საქართველოში? ამ მიზნებზე ლაპარაკია რომის პაპის მიმართებებში საქართველოს სამეფოებისა და სამთავრობებისადმი. რომის პაპი, ურბანოს VIII, 1626 წლის 4 ივლისს, კერძოდ, გურიის მთავარს შემდეგს სწერდა: „ქართველ გურიელ მთავარს. კეთილშობილო მთავარო, მშვიდობა და ღვთიური მადლის ნათელი! რომის ეკლესიის მღვდლები საქართველოს მხარეს მოდიან არა მწყურვალნი, ოქროსი, რომელმაც უწინ, როგორც მოგვითხრობენ, საბერძნეთის გმირ არგონავთებს დაატოვებინა ეგიას ზღვის ნაპირები და მოიყვანა რიონის მდინარესთან საარაყო საშიშარის გზებით. ჩვენი წარმოგზავნილი მღვდლები სტოვებენ თავიანთ ქვეყანას, რომლის პოზიციებსა და სახელგანთქმულობას შეუძლია მგზავრები მიიზიდოს; არც უშინდებიან ეგრეთ შორეულ მგზავრობის დიდ გაჭირვებას; უიარაღოდ და უჭაროდ მოდიან მანდეთ არა იმისათვის, რომ შეიძინონ სიმდიდრე, არამედ ხალხის ცხოვრებისათვის იზრუნონ. ეს არის მათი ერთადერთი ნატურა. ამიტომ ღირსნი არიან, რომ პატივით მიიღონ თქვენს საბრძანებელში. გადაავლეთ თვალი ძველ დროებს, ნუ თუ შეგიძლიათ ჰპოვოთ მისთანა ბარბაროსი ერი, მისი სასიკეთოდ მოსულთ მტრულად და უღმრთოდ მოპყრობოდეს? თქვენ კარგად უწყით, რომ პატივი თქვენის ღირსებისა დამყარებულია დიდების ნატურასა, კეთილის ქმნასა და უმანკოთა მფარველობაზე. ამიტომ ჩვენი გთხოვთ, რომ თქვენმა წარჩინებულებამ მათ ყოველგვარი შემწეობა აღმოუჩინოს, რადგან თქვენის დიდების აღმატებისათვის საშრომელად მოდიან. უკეთუ ეს აღსარულეთ (იმედი გვაქვს, ჩვენი მოლოდინი ამით არ შეიქმნეს), სახელგანთქმულობა თქვენი მთავრობისა, მსწრაფლ გარდმოვიღოს კავკასიის მთებს, შავ ზღვას, მოაღწევს რომამდე და მიიღებს შესხმას“ (მ. თამარაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 151-152). ეს დაპირება შესრულდა.

მისიონერებს, უმჯობესია, თავიანთი მესვეურებისაგან სხვა (პოლიტიკური, დიპლომატიური) დავალებებიც ექნებოდათ, მაგრამ ამათზე პაპის მიმართებებში ლაპარაკი არ არის.

ანტონიო ჯარდინა და მისი ორი მეგობარი (კასტელი და ქლაუდიო) გურიის მთავრის დავალებით გორიდან ოზურგეთს ჩამოიყვანა შემოქმედებულმა ეპისკოპოსმა, რომელიც მათ შეხვდა და გაეცნო გორში, მარიამ დედოფლისა და როსტომ მეფის საქორწინო ცერემონიაზე, დიდი ამბით რომ ჩატარდა. მისიონერები გურიელის კარზე პატივისცემით მიიღეს. მთავარმა მალაქიამ მათ თავის რეზიდენციაში მიუჩინა ბინა, აუშენა ეკლესია, გაახსენებინა სკოლა, რომელშიაც ჯარდინა ქართულ გრამატიკასა და სხვა საგნებს ასწავლიდა.

მ. თამარაშვილი მოგვითხრობს: „მალაქიამ პატრებს იქვე თვითონვე დააარსებინა სკოლა და რამდენიმე ბავშვი მისცა გასასწავრთნელად. პატრებმაც შემოკრიბეს აქა-იქიდან ბავშვები, მეტადრე ისინი, რომელთა თათრებზე გაყიდვა შეეძლოთ მოზობლებსა. დაუწყეს მათ სწავლება თუ სასულიერო და თუ სახორციელო საგნებისა“ (იქვე, გვ. 155). ამ ცნობას დასტურებს მისიონერი კლემენტე გალანოვი (იქვე). „ანტონ ჯარდინამ, — გადმოგვცემს მ. თამარაშვილი, — კარგად იცოდა ქართული ენა, როგორც ლამბერტი მოწმობს, როგორც თავის დედაენას, ქართულს ისე ლაპარაკობდათ. ამან შეადგინა ქართული გრამატიკა და დააწვევინა ყმაწვილებს მისი შესწავლა. ყმაწვილები ჩქარა დაწინაურდნენ სწავლაში და ყველასათვის გასაოცარნი შეიქმნენ. მისიონერები ძლიერ აქებდნენ გურულების ნიჭიერებას და მათ ყველაფრის ადვილად შეთვისების უნარსა. გურულების საოცარის ნიჭის მიზეზით მისიონერებმა დააპირეს, რამდენიმე ყმაწვილი იტალიაში გაეგზავნათ, რათა იქ მაღალი სწავლა მიეღოთ და შემდგომ დაბრუნებულიყვნენ თავიანთ მამულში საშრომელად. მაგრამ მისიონერები მტრებსა მოერიდნენ, იქნება ხალხში ზმა გაავრცელონ და თქვან, რომ პატრებმა ყმაწვილები თათრებს მიჰყიდესო. ამის გამო (მაშინ) ყმაწვილები ევროპაში აღარ გაგზავნეს“ (იქვე, გვ. 156).

ჯარდინა „ძლიერ ეწინააღმდეგეა ერს იმ ბარბაროსული ჩვეულებისათვის, რომ ყმაწვილებს მამულებზე უდიდეს და ბევრს ხელი ააღებინა ამ სამარცხვინო ვაჭრობაზე“. ლეგენდას ჰგავს მისი გარდაცვალება: „შემოქმედელ ეპისკოპოსთან (ოდიშიში) მგზავრობის დროს, რათა მზეს იმისთვის არ ევნო, თავისი



ქული მისცა, რაის გამო დასნეულდა და სამეგრელოს ქალაქ ოლიში ანგლოზები იცხოვრებოდა სიწმიდის ნიშნით მიიქცა-ლა 1637 წელს აგვისტოს თვეში“ (იქვე, გვ. 158).

ჯარდინას გარდაცვალებამ საყოველთაო გულისტკივილი გამოიწვია. კასტელს ხელიდან გამოეცალა მრავალნაციო თანამემამულე. მისი სიკვდილი, ცხადია, პირველყოფისა უმძიმესი და ნაკლისი იყო ოზურგეთის მისიონერთა სკოლისათვის. ამის შემდეგ აღარაა ცნობილი, თუ რა ბედი ეწია ამ სკოლას და აქ ჯარდინას მიერ შედგენილ გრამატიკას. უნდა ვიფიქროთ, რომ მის შემკვიდრობასა და არქივის სათუთად მოუვლიდნენ. სწორედ რამდენიმე თვის შემდეგ, 1638 წლის დეკემბერში, ოზურგეთის ახალი მისიონერები მოვიდნენ — ფრანჩისკე მარია მაჯო, ვინჩენცო ჩილიბერტი, იაკობ არგოლიოზო და ანდრია ლიპომანო. მაჯომ ოზურგეთის მისიონერთა სკოლაშიაც განაგრძო მასწავლებლობა. და ეჭვი არ არის, რომ აქ ის ჯარდინას არქივსაც, მთელ შემკვიდრობასაც გაეცნობოდა და მოუვლიდა. მართალია, მაჯოს ქართული ენა ისე სრულყოფილად არ სცოდნდა, როგორც ჯარდინამ იცოდა, მაგრამ სამშობლოში დაბრუნების შემდეგ, 1643 წელს მან შეძლო ქართული ენის გრამატიკის გამოცემა ლათინურ ენაზე. ამიტომ ამ წიგნში რაღაც ინფორმაცია ჯარდინას ხელნაწერი გრამატიკიდანაც უთუოდ უნდა იყოს შესული. ჯარდინას შრომა კი ჯერჯერობით ნაპოვნი არ არის.

მე დასაბუთებულად მიმაჩნია დებულება: ფრანჩისკე მარია მაჯოს თავისი ქართული ენის გრამატიკის შედგენა დაუწყია 1637 წელს გორში, განუგრძო ოზურგეთში 1638 წლის დეკემბრიდან, ხოლო მისთვის საბოლოო სახე გამოქვეყნების წინ მიუტია. მაჯოს ნაშრომი პირველი ქართული ბეჭდური გრამატიკაა უცხოურ ენაზე. პირველი ქართული ხელნაწერი გრამატიკა უცხოურ ენაზე კი ეკუთვნის ანტონიო ჯარდინას, რომელიც მაჯოს შრომაზე ადრეა შედგენილი. მისი რაღაც ნაწილი, როგორც ითქვა, თანამემამულის ბეჭდურ ნაშრომში უნდა იყოს შეტანილი („ფილოლოგიის ხანაწერები“, თბ., 1980, გვ. 21). მაჯოს გრამატიკა პირველად შესწავლად, ვერცხლად აღწერა, გააბრუნდა შეცდომები გამოავლინა და შეაფასა ალ. ცაგარელმა. შემდეგ ეგვე შრომა შეასრულა ა. ჩიქობავამაც („იბერიულ-კავკასიურ ენათა შესწავლის ისტორია“, თბ., 1965, გვ. 26-56). მაგრამ ალ. ცაგარის ღვაწლის აღნიშვნა მაჯოს გრამატიკის შესწავლაში მას საჭიროდ არ დაუნახავს. ნ. კ. ორლოვსკიამ მთლიანად გაიზიარა ამ სტრუქტურის ავტორის აზრი ჯარდინას გრამატიკის ბედის შესახებ.

ჯარდინას არქივი უცნობია. შემონახულია მხოლოდ მისი ერთი მიმართვა გურიის მთავარ მალაქიასადმი ოზურგეთში პირველი ჩამოსვლის დღეს. მიმართვის ტექსტიდან სარგად ჩანს ავტორის მალაქის მომზადება და მიდრეკილებანი. კითხვა, როგორც ჩანს, ქართულად ყოფილა წარმოთქმული. იმის გამო, რომ მიმართვის ტექსტი მრავალმხრითაა საინტერესო თანამედროვე მკითხველისათვის, მომყავს მთლიანად მ. თამარაშვილის პირველპუბლიკაციის მიხედვით:

„მთავარო დიდად სახიერო, ღმერთმა თქვენი ეპისკოპოსის შემოქმედელის გორში მოსვლა იმდენად სასარგებლო ჰყო ჩვენთვის, რომ მის უკეთესის ნატვრა აღარ შეიძლებოდა. ჩვენთვის უკეთესის ქმნა არ შეეძლო, რადგან გავიხსნა გზა, ვეთაყვანოთ ეგრეთ დიდ მთავარსა, რომელსაც დიდად უყვარს თავისი ერი და სასვეთა სარწმუნოების სიყვარულით. თქვენ მიერ რა მოგვეწვია, დიდი სიხარულით აღვივსენით; სხვადასხვა საქმეებს რომ არ შევეყვანებინეთ, აღფრთოვანებულნი მაშინვე მოვიდოდით ამ სამთავროში, სადაც კათოლიკე სარწმუნოებისათვის ამდენი სიკეთეა მოსალოდნელი. თქვენმა საყოველთაოდ განთქმულმა ღირსებამ გავაბედინა თქვენებრ მთავრისათვის მოგვემართა. ვიცით, რომ მოწადინებული ბრანდებით ჭეშმარიტების მოსამყენად და ჩვენც სხვა აღარავის ვეძებთ, კათალიკოსზე მეტად მოწადინებულ პირს ამ სამთავროში ჩვენ სხვას ვერ ვიპოვით. სამოციქულო საყდრისაგან მიღებული კათოლიკე ჭეშმარიტებაა, რომელიც მოგვაქვს. როდესაც თქვენი სამეფო სახიერებისაგან ნება მოგვეცემა, მზად ვართ, განვაცხადოთ იგი, რადგან შევიქმნებით მოძღვარნი და სხვათა მასწავლებელნი. აწ შორიდანვე ვხედავთ იმ განსაცდელს, რომელშიაც შემდგომ ჩავგადებდნენ, ვისაც სძულსთ ჭეშმარიტება და არ უნდათ მისი მოსმენა. მაგრამ ამის სრულებით არ გვეშინია, თუნდაც სიკვდილი არ ავციდეს ჭეშმარიტების ქადაგებისათვის. ჩვენთვის თქვენისთანა პატრიარქ-მთავრის მფარველობაც კმარა, განვაცხადოთ: ვინც ნატრობს ცხოვრებას, მიიღოს ჭეშმარიტება, ხოლო ვისაც სიკვდილი უნდა, უარყოს იგი. ჩვენი მიზანი არის სულთა ცხონება. ამას ვეძიებთ მთავრის მფარველობით. ამიტომ უმდაბლესად გვევძრებით, გავვიხსნათ გზა, რათა ვეწიოთ წადილსა“ (იქვე, გვ. 153).

ფრიად საინტერესო დოკუმენტია.

შენახულია აგრეთვე ქრ. კასტელის ჩანახატი „ანტონიო ჯარდინა და დე კასტელი მგზავრობაში დადოლილი საქართველოს მიწაზე ისვენებენ“ („ალბომი“, სურ. № 423). „სურათები“ სხვეთა მკაფიოდ გარჩევა ძნელია, მაგრამ ჩანახატის უნიკალურობა თავისთავად ცხადია. კასტელის „ალბომში“ დაცულია მეორე იშვიათი ნახატიც: „უმშვენიერესი ვერცხლის ხატებით შემკული ეკლესია გურიაში“ („ალბომი“, სურ. № 456). ეს ეკლესია ალბეტილი ჩანს № 425-ე სურათზეც.

სად იყო, სად მდებარეობდა მისიონერთა სკოლა? როგორც არსებული ცნობებიდან ირკვევა, ანტონიო ჯარდინას სკოლა უნდა ყოფილიყო მალაქია გურიელის ოზურგეთის რეზიდენციის მახლობლად (უფრო თვით სასახლის ეზოში!), იქვე იყო მისი ეკლესიაც. კასტელის ალბომში დაცულია მთავრის რეზიდენციის ეზოს ჩანახატი (სურ. № 425), რომელიც 1634-1637 წლების ეპოქას ეკუთვნის. ნახატზე სასახლესთან და ეკლესიასთან ერთად მოჩანს სხვა ნაგებობებიც. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ერთ-ერთი ან ნაგებობათაგანი არის სწორედ მისიონერთა სკოლა. ამ ვარაუდს 1987 წლის ივლისში მხარი დაუჭირა კომპლექსურმა სამეცნიერო ექსპედიციამ, რომელშიაც მონაწილეობდნენ პროფესორი ი. სინარულიძე, საქართველოს სსრ სახალხო არტისტი, კომპოზიტორი გ. სინარულიძე და ამ სტრუქტურების ავტორი.

ექსპედიციამ სახალხო დებუტატების მხარაძის რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მაყვალა ქლენტის ხელშეწყობითა და ადგილობრივი მხარეთმცოდნეობის მუზეუმის დირექტორის ე. გოგუაძის მონაწილეობით შეამოწმა გურიის მთავართა რეზიდენციების სავარაუდებელი ადგილმდებარეობა და მივიდა შემდეგ დასკვნამდის: მისიონერთა სადგომი და სკოლა უნდა ყოფილიყო იმ მიკრომდამოებში (6-10 ჰექტრის ფართობზე), სადაც ამჟამად ქ. მხარაძის თეატრი და მე-18 არმიის მუზეუმი მდებარეობს. აქ დაცულია გურიელთა სასახლის კედლებისა და საძირკვლის ნაშთები. მეორე მხრით, ამ მიკრორეგიონში მისიონის ადგილსამყოფელი რომ უნდა ყოფილიყო, ამას მოწმობს აქვე მოპოვებული იტალიური და სხვა უცხოური წარმოშობის მონეტები სწორედ 1630-1670 წლებსა. 1953 წელს ამ მიდამოებში, ორმოცი სანტიმეტრის სიღრმეში, აღმოჩნდა განძი — 8,5 კილოგრამი იტალიურ-ავსტრიული წარმოშობის ვერცხლის მონეტები (414 ცალი), რომლის მცირე ნაწილი დაცულია მხარაძის მუზეუმში, მეტი კი — რესპუბლიკის განძსაცავებში ინახება (თბილისში).

ეს განძი, უნდა ვიფიქროთ, იტალიელ მისიონერებს ეკუთვნოდა და სწორედ მათ სადგომში ინახებოდა.

1984 წელს იმავე ადგილებში კვლავ აღმოჩენილა იტალიური მონეტები. აქედან მუზეუმში მოუტანიათ მხოლოდ ერთადერთი მონეტა (იქვეა გამოფენილი), დანარჩენი კი ვინმე ავის მდომელთ წაულ-წამოულიათ და, სამწუხაროდ, ჯერჯერობით არავინ იცის, სად ინახება. ახალი აღმოჩენაც საფუძველს გვაძლევს, უფრო დაბეჯითებით ვიფიქროთ, რომ მისიონერთა სადგომი და სკოლა მდებარეობდა სწორედ გურიელთა ოზურგეთის რეზიდენციის ეზოში. ამ საკითხზე, ახლა ჩაღრმავებულად მუშაობს ახალგაზრდა მეცნიერი ე. გოგუაძე და, უნდა ვიფიქროთ, რომ ის ჩქარა გავაზარებს სპეციალური ნაშრომით (დიდად დასანანია, რომ XVII ს. პირველი ნახევრის დროინდელი ქართული სკოლის ბედით სპეციალისტები არ დაინტერესებულან!).

კომპლექსურმა ექსპედიციამ ადგილზე შეამოწმა აგრეთვე მთავართა საზაფხულო რეზიდენციების ნაშთები ნაგომარსა და უჩხუბში. უჩხუბის რეზიდენცია, კერძოდ, იმით იყო აღსანიშნავი, რომ XVIII საუკუნის ბოლოსა და XIX საუკუნის დასაწყისში აქ ცხოვრობდა გურიის მთავრის ძმა, სამთავროს რეგენტი, ჭაიხოსრო, რომელიც ტახტის მცირეწლოვან მემკვიდრეს — მამიას ზრდიდა. საისტორიო წყაროებში მითითებულია, რომ უჩხუბში მას ჰქონდა მდიდრულად მორთული სასახლე, კარის ეკლესია, მარანი (ქ. ჩხატარაიშვილი, გურიის სამთავროს შეერთება რუსეთთან, თბ., 1985, გვ. 15). ამ სასახლის ლოკალიზაციასთან დაკავშირებული გადმოცემები მოგვაწოდებს უჩხუბის მემკვიდრებმა, რესპუბლიკის დამსახურებულმა ინჟინერმა, საქართველოს სსრ სახალხო არტისტმა გიორგი სალუქვაძემ. რესპუბლიკის დამსახურებულმა ექიმმა კუკური ცხომლოძემ, პედაგოგმა გენო ჩილიფთარამა და სოფლის საბჭოს თავმჯდომარემ იური ბორჩხაძემ. მათი გადმოცემით, გურიის მთავარს აქ, სოფლის როგორც ბარის, ისე ზეგნის ზოლში — ახლანდელი ცხემლისხიდის მიკრორეგიონში, ჰქონია მოზრდილი მამული, რომელიც XIX საუკუნის შუა წლებში თავად მაჭუტაძეს შეუქმნია. ამჟამად ამ ადგილებში მკვიდრო დასახლება. სასახლე არ შენახულია.

ალექსანდრე ლლონძი



მინილ შოლოხოვი

მინილ შოლოხოვის „დონურმა მოთხრობებმა“, რომელიც 1926 წელს გამოქვეყნდა, ერთბაშად მიიპყრო მკითხველის ყურადღება. ამავე წელს გამოვიდა მისი მეორე კრებულიც „ლაზარევის სტეპი“. შემდგომ კი ცალკე წიგნებად გამოიცა საუკუნის რომანი-ეპოპეა „წყნარი დონი“. დიდი სამამულო ომის დროს შოლოხოვმა მძაფრი და საოცარი ტრაგიზმით აღვსილი ნაწარმოებები შექმნა. ეს გახლავთ „სიძულვილის მეციხერება“ — მწვერვალი მისი შემოქმედებისა. ასეთივე სიძლიერის მოთხრობაა „ბედი კაცისა“. „კვიცი“ მისი ერთ-ერთი ბოლო ნაწარმოებია.



დღის მუცილიდან დღისით-მზისით, ზურმუხტისფერი ბუზებით მოფენილი ნაკელის გროვასთან წინაფეხებგაჭიმული მოველინა იგი ჩვეყნიერებას და თავის პირდაპირ აფეთქებული შრაპნელის ნაზი, მტრედისფერი კვამლი დაინახა, რომელიც თანდათან ჰაერში ქრებოდა, აფეთქების ტალღამ მისი პაწაწინა სველი სხეული დედის ფეხებთან მიადგო. შიში იყო პირველი გრძობა, რაც მან აქ მიწაზე, შეიცნო. მყრალი კარტეჩის სეტყვამ რაკეტუკით გადაუარა თავლის კრამიტის სახურავს, მიწასაც ოდნავ მოეპყურა და კვიცის დედა — ტროფიმის თავლა ფაშატი, ფეხზე წამოაგდო. ფაშატმა ოდნავ დაიხვივნა და სველი ფერდით ისევ თავის მხსნელ ნაკელის გროვაზე მიწვა.

დაძაბულ სიწყნარეში, ამის შემდეგ რომ ჩამოდგა, უფრო მკაფიოდ გაისმა ბუზების ბზუილი. მამალმა, რომელმაც ქვემეხების ხათქახუთქის გამო ველარ გაბედა ტყრუშულ ღობეზე შეხტომა, სადღაც ოროვანდს შეაფარა თავი, ერთი-ორჯერ შეიფარტუნა და ძალდაუტანებლად, თუმცა კი ყრუდ დაიყვილა. ქოხიდან დაჭრილი მეტყვიამტრქვევის ოხვრა ისმოდა. ზოგჯერ ჩახლეჩილი ხმით წამოიყვირებდა და ყვირილს გახელებული გინებით ცვლიდა. ბაიჩაში აბრეშუმისებერ კრიალა ყაყაჩოს მეწამულ ფურცლებზე ფუტკრები ბზუოდნენ. სადგურს იქით ველზე ტყვიამტრქვევი ამთავრებდა ლენტს და მის მხიარულ კაკანში ქვემეხის პირველ და მეორე გასროლებს შორის თავლა ფაშატი ლოკავდა სიყრმის შვილს, ის კი დედის გატიყნილ ჯიქანს მიკრული პირველად გრძობდა სიცოცხლის სრულყოფილებას, დედის ალერსის დაუცხრომელ სიტკბოს.

როცა მეორე ნაღმი სადღაც კალოს იქით გასკდა, ტროფიმი ქოხიდან გამოვიდა, კარი მიახეთქა და თავლისაკენ გაემართა. ნაკელის გროვას რომ შემოიყარა, მზეზე ხელისგული მოიჩრილა და როცა დაინახა, დაძაბულობისაგან როგორ ამოცხივებული წოვს კვიცი თავის, ტროფიმისეულ თავლას, დაბნეულმა მოიქექა ჯიბეები, აცახცახებული თითებით მოიძია ქისა და პაპიროსი რომ ჩაახვია, ხმაც ამოიღო:

— მაშ ასე ე-ე... ესე იგი კვიცი მოიგე, ჰა? შენც იპოვე, რაღა, დრო, — ბოლო ფრაზაში მწარე წყენა იგრძნობოდა. შემწრალი ოფლისგან აბურმენილ ფერდებზე ფაშატს მამზნარის ეკლები და გამხმარი ნეხვი აკვროდა. უსიამოდ გამხ-

დარი უმწეოდ გამოიყურებოდა, მაგრამ თვლები ამაყ სიხარულს აფრქვევდა, რომელშიც დაქანცულობაც იგრძნობოდა, ატლასისებრი ზედა ტუჩი კი ღიმილით აფრუკვოდა. ყოველ შემთხვევაში ასე ეჩვენა ტროფიმს. როცა თავლაში შეყვანილმა ფაშატმა ფრუტუნის ატეხა და ქერჩაყრილი თოფრის ქნევას მოჰყვა, ტროფიმი კარის წირთხლს მიეყრდნო, კვიცს გაბრაზებით გადაავლო თვალი და უგემურად ჰკითხა:

— მორჩი დროსტარებას?

პასუხს არ დალოდებია და ისევ განაგრძო:

— ნეტავ ეგნატეს ულაცი მაინც მომეყვანა, თორემ ეშმაკმა იცის, ვისთან.. ახლარა გუყო ამას?

თავლის მრუმე მდუმარებაში ისმის ქერის ხრამუნი, კარის ღიობში შემოჭრილი მზის ირიბი სხივი ოქროს ქვიშრობებს აგვირისტებს. შუქი ტროფიმის მარცხენა ლოყას ეცემა, მისი წითელი უღვაში და ჯაგარა წვერი წითლად ღუის, პირის ირგვლივ მოგროვილი ნაოჭები მიბრეცილ-მობრეცილ ღარებად ჩალაგებულან. გაწინიკულ ფაფუკ ფეხებზე კვიცი ისე დგას, გეგონება, ხის სათამაშო ცხენუკაო.

— მოკლა ეგა? — ტროფიმი თამბაქოთი გადამწვანებული მსხვილი თითი კვიცისკენ გაიშვირა.

ფაშატმა ჩასისხლიანებული თვალის კაკალი ამოაბრუნა, თვალი დაახამხამა და დაცინვით გადახედა პატრონს.

ესკადრონის მეთაურის ოთახში იმ საღამოს ასეთი საუბარი გაიმართა:

— ვამჩნევ, ჩემი ფაშატი მაკვდა, ჩორთით ვეღარ დარბის... ქოშინით სული ეხუთება. კარვად დავაკვირდი და თურმე სავესედა... ფრთხილობს, უფრთხილდება... კვიცუნა წაბლა... აი ასე, ყვება ტროფიმი.

ესკადრონის მეთაურს ხელში ჩაიღო თავის სპილენძის ტოლჩა ჩაუბლუჯია და ისე უჭირს, თითქოს ხელჩართული ბრძოლისთვის ეფესი მახვილს ჩასჭიდებიაო, ძილჩამდგარი თვალებით ლამპას შეჰყურებს. სანათის მოყვითალო შუქზე ფუმფულა პეპლები დარიალებენ, სარკმელში იჭრებიან, შუშაზე იწვიან, ერთს მეორენი მისდივენ და ასე.

— სულ ერთია, თავლა თუ შავრა, მნიშვნელობა არა აქვს, უნდა მივახვრიტო. კვიცებით ბოშებს დავემსგავსებით...

— რაო? ჰოდა მეც მანდა ვარ, ბოშებმეთქი, მე რე და მთავარსარდალი რომ მოვიდეს, მაშინ რა ვქნათ? მოვა პოლკის სანახავად, ის კი მწყობრის წინ მზეს აეფიცება და კუდის ქიცინს მოყვება... ჰა, როგორია? წითელ არმიას შერცხვენა და თავის მოჭრა არ ასცდება. არა და არ მესმის, ტროფიმი, ასეთი რამ როგორ ქენი? ეს გახურებული სამოქალაქო ომია და უცებ ასეთი თავაშვიტობა... როგორ არა გრცხვენია! ცხენების გამრიგვს სასტიკად ვუბრძანებ, კვიცები ცალკე გამოყოს.

ღილით ტროფიმი ქოხიდან შაშხანი-თურთ გამოვიდა. მზე ჯერ არ აპირებდა ამოსვლას. ბალახს ფარდისფრად გადაჰკვიროდა თრთვილი. ფეხოსანთა ჩექმებით გაქეჩილი, სანგრებით მიჩიჩქნილ-მოჩიჩქნილი მდელი ქალწულის ტირილით დასიებული, მწუხარებით გათანგულ სახეს მოგაგონებდათ. საველი სამზარეულოს

შორიხლო მზარეულები დაფუსფუსებდნენ, პარმალზე ოფლით უმწეოვებულნი ბერანგის ამარა ჩამომჯდარიყო ესკადრონის მეთაური. რევოლვერის ტაროს სიხარულს შეჩვეული თითებით მოუხეშავად ივინებდა მივიწყებულ, ჩვეულ საქმეს — სახინკლე ჩამჩას წნავდა.

— ჩამჩას წნავ? — ინტერესით ჩაეძია გვერდით ჩავლილი ტროფიმი. ესკადრონის მეთაურმა წმინდა წნელით ჩამჩას სახელური გაუმაგრა და კბილებიდან გამოსცრა:

— აიმ ქალმა, დიასახლისმა მთხოვა... დამიწანი, დამიწანიო. ოდესღაც ამის ოსტატი ვიყავი, მაგრამ ის აღარა ვარ... ვეღარ მოვახერხე.

— რა უშავს, გამოდგება, — შეაქო ტროფიმი.

ესკადრონის მეთაურმა მუხლებიდან წნელის ნაკუწები ჩამოიბერტყა და იკითხა:

— კვიცის სალიკვიდაციოდ მიდისარ?

ტროფიმს ხმა არ გაუღია, ხელი ჩაიქნია და თავლისკენ გასწია.

მეთაურმა თავი ჩალუნა და გასროლის ხმას წაუგდო ყური. გავიდა ერთი წუთი, მეორე — გასროლა არ ისმის. თავლის კუთხიდან ტროფიმი გამოჩნდა, ეტყობოდა, რაღაც შეცბუნებულია.

— რა ქენი?

— მგონი საკეტს საცემელი გაუფუჭდა... ფალას ველარ ხვრეტს.

— აბა შაშხანა მიჩვევ.

ტროფიმი ნაძალადეგად გაუწოდა. მეთაურმა საკეტი გადასწია და ცალი თვალი მოჰუტა.

— აქ ხომ ვაზნაც არა დევს!..

— შეუძლებელია!.. ვაცხარებით წამოიძახა ტროფიმი.


— გეუბნები, არა დევს-მეთქი.

— ვაზნები ხომ იქ დავყარე... თავლის იქით...

ესკადრონის მეთაურმა შაშხანა გვერდით მოიღო და ახალთახალი ჩამჩა დიდხანს ხელში ატრიალა. მწებარეკანიანი ქორტა წნელი თავლის არომატს აფრქვევდა, აყვავებული ტირიფის სურნელება ყნოსვას ალიზანებდა. ჰაერი მიწის სუნით გაქლენთილიყო, შეუნელებელი ომის ხანძრისაგან მივიწყებული მიწისა...

— მისმინე!... ჯანდაბას მაგის თავი. დედედასთან დარჩეს. დროებით და მერეც დამთავრდება ეს ომი და მერე გუთანში შევბამთ. თუ შემთხვევით თვალში მოხვდა, მთავარსარდალიც გაითვალისწინებს მდგომარეობას, რადგან ჯერ პატარაა და ძუძუ უნდა წოვოს. მთავარსარდალი წოვდა ძუძუს, ჩვენც ვწოვდით... რაკი ასეთი ჩვევაა, მორჩა და გათავდა! საცემელი კი მენს შაშხანას წესრიგში აქვს.

ერთი თვის შემდეგ ტროფიმის ესკადრონს სტანიცა უსტ-ხოპერსკისთან კახაკთა ასეულთან ბრძოლა მოუწია. დაისი დგებოდა, სროლა რომ ატყდა. შებინდებულზე ხელჩართულ ბრძოლაში ჩაებნენ. შუა გზაზე ტროფიმი თავის ოცეულს ჩამორჩა. ვერც მათრახით, ვერც ლაგამით ვერ მოახერხა ცხენი გავექნებინა, თუმცა კი ცხენს დრუნი ერთიანად დაუსისხლიანდა. ფაშატმა თავი მალე შემართა და ერთ ადგილას იმდენხანს იტრიალა და იხვივნა, სანამ კულდაშლილი კვიცი არ დეწია. ტროფიმი ცხენიდან ჩამოხტა, ხმალი



ქარქაშში ჩააგო და გაბორბტებისაგან სახედომეჭილმა, მხრიდან შაშხანა მოიძრო. მარჯვენა ფლანგი თეთრებს შეერია, ფლატის პირას თითქოს ქარი ათამაშებდო, ადამიანთა გუნდი ხან ერთ მხარეს მიაწყდებოდა, ხან მეორეს. მდუმარედ ჩხედნენ ერთმეორეს. ცხენთა ფლოქვებქვეშ ყურად გმინავდა მიწა. ტროფიმმა ერთი კი შეავლო თვალი იმ მხარეს და კვიციის კოპშია თავი ნიშანში ამოიღო. შესაძლოა სიჩქარით ხელი აუქანკალდა თუ სხვა რაღაც მიზეზის გამო, შაშხანის გასროლის შემდეგ კვიცმა გიჟმაჟად შეიკუნტრუშა, ხმადაბლა დაიხვიხვინა, ფლოქვებით ნაცრისფერი მტკერი აყარა, წრე შემოუარა და მოშორებით შედგა. მთელი მჭიდვე ტყვიებისა, თანაც უბრალო კი არა, ჯავშანგამტანი — წითელ-სპილენძისფერწვერიანი, მიახარჯა ტროფიმმა ამ მჭითურ ალქაჯს და რაკი დარწმუნდა, ჯავშანგამტანმა ტყვიებმა (სავაზნეში შემთხვევით მოხვდა ხელთ) თავლა ფაშატის ნაშიერს ვერაფერი დააკლო, ცხენს მოახტა და ბილწი ვინებით ჩორთით ფლატისკენ გაქანდა, სადაც წვერმოშვებულ წითელდრუნჩინ სტაროვერებს სამი ესკადრონელი წითელარმიელი ფლატესთან მიემწყვდიათ.

ის ღამე ესკადრონმა სტეპში გაათენა, პატარა ხევის პირას. ცოტას ეწეოდნენ. ცხენებისათვის უნაგირები არ მოუხდიათ. ცხენოსანმა პატრულმა, რომელიც დონიდან დაბრუნდა, ამბავი მოიტანა, მდინარის გადასასვლელთან მტერმა დიდ ძალებს მოუყარა თავიო.

ტროფიმს შიშველი ფეხები რეზინიან საწვიმარქვეშ შეემალა და ძილბურანში წასული იმ დღის ამბებს იგონებდა. თვალწინ წარმოუდგა: ესკადრონელი, ფლატეზე რომ გადახტა, სახენყავილარი სტროვერი, რომელიც პოლიტკომის ხმალმა განათლა, ნაჭერ-ნაჭერ აკუწული მოსკლიავენელი კაზაკი, შავ სისხლში ამოვლებული ვიდაცის უნაგირი, კვიცი...

გათენებამდე ტროფიმთან ესკადრონის მეთაური მოვიდა, სიბნელეში იქვე მიუჯდა.

— გძინავს, ტროფიმ?

— ვთვლებ.

მეთაურმა ფერგამკრთალ ვარსკვლავებს ახედა და თქვა:

— მოაშორე შენი კვიცი! ბრძოლისას პანიკას იწვევს... როგორც კი თვალში მომხვდება, ხელი ამოცანცანდება... ხმლის აწვევა მიჭირს. ეს იმიტომ ხდება, რომ კვიცი კაცს ოჯახს აგონებს, ასეთი რამ კი ომში არ უნდა ხდებოდეს... ქვასავით გუელი ჩვარად მიქცევა... არა და, ეგ ეშმაკის კერძი ხელონარულ ბრძოლაშიც გადარჩა, ფეხებშორის დაძვრებოდა, — მეთაურმა მცირე ხნით იყუჩა და ოცნებამორეულმა ვაილიმა, მაგრამ ტროფიმს ეს არ დაუნახავს. — იცი რა, ტროფიმ, მაგის კული, ესე იგი... ზურგზე რომ დააგდო, მაინც შეიკუნტრუშებს, მელიის კული აქვს... დიდებულნი...

ტროფიმს ხმა არ გაუღია. თავზე შინელი წაიხურა და ერთბაშად ჩაიძინა, თუმცა ნოტიო სიცივისაგან დროდადრო აკანკალებდა.

ძველი მონასტრის პირდაპირ ორწონებშია მოქცეული დონი თავზეხელაღებული სისწრაფით მიეჩანება. მოსახვევში წყალი კულულებივით ხუჭუჭდება და

კვიცი

მწვანედ აფოფრილი ტალღები წინდაუხედავად ეხლებიან ცარცის ლოდებს, რომლებიც წყლისპირას გაზაფხულის ზვავებს მიმოუფანტავს.

კაზაკებს რომ მდინარის ის მუხლი არ დაეკავებინათ, სადაც დინება სუსტია, ხოლო დონი განიერი და თვინიერი, და რომ აქედან ფერდობისთვის ტყვიის დაშენა არ დაეწყოთ, მეთაური ვერასოდეს გაბედავდა მონასტრის წინ ესკადრონის წყალში ცურვით გაყვანას.

გადაცურვა შუადღისას დაიწყო. მომცრო ნავზე ერთი დაზვის ტყვიამფრქვევი თავისი მსროლელით და სამი ცხენი მოთავსდა. მარცხნივ შებმულ ფაშატს წყალი ჯერ არ ენახა და, როცა დონის შუადინებაში ნავი დინების საწინააღმდეგოდ მკვეთრად შემობრუნდა და გვერდით გადაიხარა, შეშინდა. მთის ძირას, სადაც ჩამოქვეითებული ესკადრონი ცხენებს კაზმავედა და, მკაფიოდ ისმოდა, თუ როგორ შემოფოთებული ფრთხვინავდა ფაშატი და ნავის შეფიცრულ ძირს როგორ ურტყამდა ნალებს.

— ნავს გამიფუჭებს, — კუმტად ჩაიბურღლუნა ტროფიმმა და ფაშატის გაოფლილ ზურგზე ხელის დადება ველარ გაბედა: ნავზე მდგარმა ვახელებით დაიხვიხვინა, ტყვიამფრქვევის საზიდარის ხელნისაკენ დაიწია და აიყალყა.

— ესროლე! — დაიღრიალა ესკადრონის მეთაურმა და მათრახი ნერვიულად დაახვია.

ტროფიმმა თვალი შეავლო, როგორ ჩამოეკიდა მემიზნე მარცხნივ შებმულ ცხენს კისერზე და ყურში ნაგანი ჩაუდო. ბავშვის სატკაცუნოსავით გაისმა გასროლის ხმა. შუალა და მარჯვნივ შებმული ცხენები ერთმანეთს უფრო მიეკვრნენ... მეტყვიამფრქვევებმა, რომლებსაც ნავი აფიქრებდათ, მოკლული ცხენი ტყვიამფრქვევის საზიდარისკენ მიაგდეს. ცხენმა წინა ფეხები ნელ-ნელა მოხარა, თავი ჩამოუყარდა...

ათიოდე წუთის შემდეგ ესკადრონის მეთაური მდინარეში ისარივით შეჭრილ ხმელეთს პირველი მოსწყდა და თავისი ზერდაგი წყალში შეაგდო, მას დგაფუნით კვალდაკვალ მიჰყვა ესკადრონი — ასრვა ნახევრადშიშველი მხედარი, ამდენივე სხვადასხვაფერი ცხენი. უნაგირები სამი ნავით გადაჰქონდათ. ერთ-ერთ მათგანს ტროფიმი მართავდა, რომელსაც ფაშატი ოცმეთაურ ნეჩეპურენკოსთვის ჩაებარებინა. დონის შუა ადგილს რომ მიადწია, ტროფიმმა შეამჩნია, მდინარეში მუხლამდე ჩამდგარი წინწასული ცხენები როგორ უნდობლად ყლაპავდნენ წყალს. მხედრები ხმადაბლა გასძახოდნენ აჩუ-აჩუს და წინ აჩქარებდნენ. ერთი წუთის შემდეგ ნაპირიდან ოციოდე საუენის დაშორებით წყალი ცხენების თავებმა გადააშავა და ყველანი ერთბაშად აფრთხვინდნენ. წითელარმიელებს შაშხანებთან სამოსი და სავაზნი ჩანთები მიეკრათ, ხელი ცხე-

ნის ფაფრებისთვის ჩაეგლოთ და მათთან ერთად მიცურავდნენ.

ტროფიმმა ნიჩაბი ნავში მიაგდო, მთელი ტანით წამოიმართა და მზისგან თვალებმომჭურტულმა მდინარეში ჩაყრილ ცხენებში ყურადღებით დაუწყა ძებნა თავისი თავლას თავს. ესკადრონი მონადირეთავან ცაში გაფანტული გარეული ბატების გუნდს წააგავდა: წინ მიცურავდა ესკადრონის მეთაურის ზერდაგი, რომელიც აბზინებულ ზურგს მალა-მალა სწევდა, ზედ მის კუდთან ერთ დროს პოლიტკომის კუთვნილი თეთრხალებიანი ცხენის ყურები მოჩანდა ვერცხლისფრად, მერე ჩამუქებული გროვა მისდევდა, ყველას მოშორებით მიცურავდა ოცმეთაურ ნეჩეპურენკოს თავზე ბალანაბურძენილი ცხენი, რომელიც ყოველ წუთს უფრო და უფრო უკან რჩებოდა, მისგან მარცხნივ მოჩანდა ტროფიმის ფაშატის წაგრძელებული ყურები. მზერა რომ დაძაბა, ტროფიმმა კვიციც შეამჩნია. კვიცი ისე მიცურავდა, თითქოს ვიღაც მუჯღუფუნს ჰკრავსო — წყლიდან ხან მალა ამობტებოდა, ხან კი ისე ჩაიძირებოდა, რომ ნესტოები ძლივს მოუჩანდა.

და სწორედ მაშინ ქარმა, მდინარე დონს რომ წამოუჭროლა და ზედაპირი აუშხეფა, ტროფიმის ყურამდე მოიტანა მეტისმეტად ფაქიზი, თითქოს ობობის ქსელის ძაფითა, ცხენის მომწოდებელი ხეივანის ბგერები: ი-ი-ი-პო-პო-პო!...

მდინარის ზედაპირზე ამ ბგერებმა ისე ბასრად გაიხმინა, თითქოს ხმლით ჰაერი გაჰკვეთესო. ამ ხმამ ტროფიმს გული დაუსერა და რაღაც უცნაური რამ დაემართა: ხუთი წელი ომმა აქეთ-იქით ათრია, რამდენჯერ სიკვდილმა მორცხვად ჩახედა თვალებში და თითქოს არაფერი, ახლა კი წითური წვერით დაფარული სახის კანი მთლად გაუთეთრდა, სახეზე სითეთრი-

სგან ფერფლის სილუჯრე დაედო და ნიჩაბს ჩაფრენილმა ნავი დინების აღმა წარმართა იქით, სადაც მორევი ძალღონეგამოცილი კვიცს თავის ნებაზე ატრიალებდა, ხოლო მისგან ათიოდე საყენის მანძილზე ნეჩეპურენკო მთელი ძალით ცდილობდა, მაგრამ იჭაურებას ვერასდიდებით ვერ აშორებდა ტროფიმის ფაშატს, რომელიც მორევისაგან მიისწრაფოდა ხმაჩახლეჩილი ხეივანით. სტეშკა ეფრემოვმა, ტრიფომის ძმაცემამ, რომელიც ნავში უნაგირების გროვაზე შემჯდარიყო, გააფთრებით დაიყვირა:

— ნუ სულელობ! ნაპირისკენ მოუსვი! ეგერ, სად არიან კაზაკები!..

— მოვკლავ! — სული მოითქვა ტროფიმმა და შაშხანის თასმას წაატანა ხელი.

კვიცი მდინარეს იმ ადგილიდან შორს წაელო, სადაც ესკადრონი გადიოდა. პატარა მორევი მდოვრედ ატრიალებდა კვიცს და მომწვანო აქორჩილ ტალღებს ავლებდა ტანზე. ტროფიმი გაშმაგებით იქნევდა ნიჩბებს, ნავი ნახტომებით მიცურავდა. აკაკანდა „მაქსიმე“. ტყვიები წყალში შიშინით ცვიოდა. დახეულ ტილოსპერანგინი ოფიცერი რაღაცას გაჰკიოდა და ფეხებს აქნევდა.

კვიცი თანდათან იშვითად ხეივანებდა, მოგულელი და უღონო ხდებოდა მისი მოკლე-მოკლე ჰინი. ეს ჰინი მეტისმეტად ჰგავდა ბავშვის კვიცს და ძარღვებში სისხლს ჰყინავდა. ნეჩეპურენკომ ფაშატს თავი მიანება და იოლად მიცურდა მარცხენა ნაპირთან. აძაგბაგებულმა ტროფიმმა შაშხანას ჩასჭიდა ხელი, მორევიში ჩათრეულ კვიცის თავს დაბლა დაუმიწნა და გაისროლა, მერე მხრიდან ჩექმები აჩქარებით მოიძრო, ხელები გაშალა და წყალში ყრუდ მოადინა ზღარ-თანნი.

მარჯვენა ნაპირზე ტილოსპერანგინმა ოფიცერმა დაიღრიალა:

— შეწყვიტეთ სროლა! — ტროფიმმა ხუთ წუთში მიადწია კვიცს, მარცხენა ხელი ვაციებულ მუცელქვეშ ამოსდო და სუნთქვაშეკრულმა სლოკინ-სლოკინით მარცხენა ნაპირისაკენ გასცურა... მარჯვენა ნაპირიდან არავის გაუსროლია.

ცას, ტყეს, სილას, — ყველაფერს გამჟვირვალე, ხახხასა სიმწვანე გადაჰკვროდა... ძალის კიდევ ერთხელ დაძაბვა და ტროფიმმა ფეხი მიწაზე მოიკიდა. გალუმული კვიცი ქვიშაზე ათრია და გაშხლართა, ბუხბუხით ამოანთხია მომწვანო წყალი და ხელები ქვიშაზე ააფათურა... ტყეში ნაპირზე გასული ესკადრონელების გუგუნე იდგა, სადღაც, ისარივით წაგრძელებულ კუნძულს იქით, ქვემეხები გრიალებდა. თაფლა ფაშატი ტროფიმს გვერდით ამოსდგომოდა, ტანს იბერტყავდა და კვიცს ლოკავდა. დაბლა დაშვებული კუდიდან წყლის ლამაზი ჭავლი ჩამოსდიოდა და ქვიშაში უჩინარდებოდა...

ტროფიმი ბარბაცით წამოიმართა, ქვიშაზე ორიოდ ნაბიჯი გადადგა, მერე ერთი შეხტა და გვერდზე დაეცა. თითქოს რაღაც ცხელმა განუგმირაო გული. დაცემისასლა შემოესმა გასროლის ხმა. ერთადერთი ნასროლი მოხვდა ზურგში მარჯვენა ნაპირიდან. ტილოს დახეულპერანგინმა ოფიცერმა მარჯვენა ნაპირზე შაშხანის საკეტი გულგრილად გამოსწია და აბოლებული ჰილში ამოაგდო, ქვიშაზე კი კვიცი-საგან ორიოდ ნაბიჯზე ტროფიმი იკრუნჩხებოდა და მისი გაუხეშებული ლურჯი ტუჩები, რომლებსაც ხუთი წელი იყო, ბავშვისთვის არ ეკონცა, ეღიმებოდა და სისხლის ქაფით იფარებოდა.

თარგმან ოთარ ხუციშვილმა.


ქროსკორდი

თარგმან: 8. ნარკოტიკული საშუალება; 9. 5. დუმბაძის ნაწარმოები; 10. მცენარის გვარი ზეთისხილისებრთა ოჯახისა; 12. მდინარე ვოლგის ერთ-ერთი ძველი სახელწოდება; 15. სამამული წარმოების სიგარეტი; 20. ერთმანეთში მსუბუქად გადახლართული ბოჭკოების ბუსუსოვანი მასა; 22. მტაცებელი ცხოველი; 26. წყლის უმარტივეხი ერთუჯრედიანი ცხოველი; 29. უდიდესი შემოქმედებითი ნიჭი; 38. ჩილეს რესპუბლიკის დედაქალაქი; 35. ფულის ზრდა, რაც მის გაუფასურებას იწვევს; 36. ისლანდიის ორპალატიანი პარლამენტი.

შპეულა: 1. სიმებიანი საკრავის ნაწილი; 2. ცელქი, მოუსვენარი; 3. მიწაში ამოდრმავებული, ამოთხრილი ადგილი; 5. სხვადასხვა ხელსაწყოში ერთ ხაზე მოთავსებული დანაყოფები სიდიდეთა გახაზომად; 6. მოვლენა, მომენტი, საიდანაც იწყება წელთაღრიცხვის ესა თუ ის სისტემა; 7. ლათინური ანბანის ერთ-ერთი ასო; 8. ზ. ფალიაშვილის ოპერა; 12. ვაზის ამერიკული ჯიშის, რომელსაც ჩვენში „ადესას“ ვეძახით; 16. ქალაქი ჯორჯიის შტატში; 18. 3. მელვილის რომანი; 19. მინერალური წყალი; 25. საგანგებო შენობა საბანაო მოწყობილობით; 25. XIX საუკუნის რუსი ფიზიკოსი, ელექტროტექნიკოსი; 30. ბილიარდის სათამაშო ჯოხი; 31. მსკელობის, განსჯის პროდუქტი; 32. ცეცხლის მნათი ზედაპირი; 34. ნორვეგიის დედაქალაქი; 35. ა. ყაზბეგის ნაწარმოების გმირი;

დიაგნოსტიკურად (მარცხნიდან მარჯვნივ): 11. ციმბირის მდინარე; 13. ცულდ-მედიდობა, აშპარტავნობა; 14. ვრცლად ჩამოწერილი, წერილობითი თხოვნა, საჩივარი; 17. რთული სიტყვის შემადგენელი ნაწილი, კუნთი; 21. (→) ფირ-ნიში; 21. (→) ერთ-ერთი უძველესი სიმებიანი საკრავი; 24. ჩრდილო-დასავლეთ აფრიკის მდინარე; 27. სატრანსპორტო საშუალება, რომელსაც ხმელეთზე სიარული და წყალში ცურვა შეუძლია; 28. XIX საუკუნის პოლანდიელი მწერალი და გრაფიკოსი; 31. მოჩხუბარი, კაპასი.

შეადგინა რამაზ კობალიანმა



მე-7 ნომარში გამოქვეყნებული ქროსკორდის პასუხები:

შპეულა: 1. სფერო; 4. ქლორი; 8. დიალოგი; 11. ტყე; 12. სკა; 13. მინდია; 15. ჩარჯოუ; 17. ეოლო; 18. ჯარა; 20. ადენი; 22. ზვარი; 23. აორტი; 25. ოვაცია; 26. იკაბია; 27. გვარლი; 29. სტარტი; 31. ადანი; 32. სორტი; 34. კაბრი; 36. აისი; 38. სოლა; 40. აილამა; 42. აქტივი. 44. ჩაი; 46. ალი; 47. არტიოია; 48. „ლაციო“, 49. ხეხია.

თარგმან: 2. ფრე; 3. როქი; 5. ლოქო, 6. რტო; 7. სტაუი; 8. დიდი; 9. იარა; 10. კაკაო; 13. მონაკო; 14. ანლაზა; 15. ჩინარი; 16. უჭარმა; 19. ბე-ხარაბია; 21. ბარბაროსი; 22. ზამბარა; 24. ალუბალი; 27. გრაცია; 28. „ილი-ადა“; 29. სპარტი; 30. იარუსი; 33. მატჩი; 35. დანია; 37. მასა; 38. ეტნა-41. იორი; 43. ვერი; 45. ინა; 28. ალი.

საქმიანი მუშაჲი

პირენი კოლხუბი

საქმიანი მუშაჲი

ამბავი ერთ-ერთ საკონსტრუქტორო დაწესებულებაში მოხდა.

ახალგაზრდა სპეციალისტმა ალბერტ პეტერმანმა, რომელიც სახანავი და ფის წინ იდგა, ყველაისთვის მოულოდნელად ხმამაღლა და მკაფიოდ წამოიძახა:

— არის იდეა!.. არის იდეა!..

კოლეგები შეშფოთდნენ. ამ ამბავმა დირექტორის ყურადღებაც მიიქცია. ერთი სიტყვით, ინსტიტუტში დაირღვა ჩვეული რიტმი. საგონებელში ჩავარდნილმა დირექტორმა ბრძანა, სასწრაფოდ შეეკრიბათ ყველა ხელმძღვანელი თანამშრომელი და საჭაროდ განეხილათ „ამ სახიფათო აღმზინის“ საკითხი.

— მინდა, ვიცოდე, ვინ შემოგვანჩია ეს გუგულის კვერცხი! — თქვა დირექტორმა მრისხანედ და თვალეზი კადრების განყოფილების უფროსს გადაუბრიალა. მან კი დამნაშავეხვით დახარა თავი.

სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა. განრისხებულ დირექტორთან ვერავინ ბედავდა შეპასუხებას.

ბოლოს სიჩუმე ისევ კადრების განყოფილების უფროსმა დაარღვია:

— მე თვითონაც არ ვიცი, — წამოიღუღლულა მან. — რაც უნდა იყოს, მას ხომ სკოლა, ინსტიტუტი... და თავში ასეთი რამ როგორ მოუვიდოდა?!

— ვგონებ, არ მივიციათ მისთვის არავითარი მსგავსი მითითება, — მიუბრუნდა დირექტორი საკონსტრუქტორო ბიუროს ხელმძღვანელს.

— იქნებ რაიმე ახალსა და საინტერესოს გვთავაზობს. — მორიდებით წარმოთქვა ინჟინერმა. — იქნებ შევქმნათ მუშაკთა ჯგუფი, მძევცელ საშუალება, იმუშაონ. სამი წლის შემდეგ გვექნება მზა პროექტი... შემდეგ — დაწერგვა...

— აბა, თუ გესმით, რას ამბობთ! — ხელეზი გაახვავა დირექტორმა, — რა საჭიროა ზედმეტი ხლაფორთი, რატომ უნდა გავირთულოთ საქმე.

— იცით, რას გეტყვით, ახლავე მომიყვანეთ აქ. შევეცდები, მისი ენთუზიაში საჭირო მიმართულებით წარვმართო.

საკონსტრუქტორო ბიუროს ხელმძღვანელი პეტერმანის სამუშაო ადგილისაკენ გაეშურა, მაგრამ იგი იქ არ დახვდა.

ოთახის მოპირდაპირე კუთხიდან კი საეჭვო ხმაური და ჩოჩოლი მოესმა. მიუახლოვდა და, რას ხედავს: შეკრებილან ინსტიტუტის ახალგაზრდა სპეციალისტები და „კოლოფობანას“ თამაშობენ: ასანთის კოლოფს ცერათითის ფრჩხილით წკიპურტს ურტყამენ. ვისი კოლოფიც ფეხზე დადგება, გამარჯვებულადაც ის ითვლება.

— ინსტიტუტშიც ზუსტად ასე ვებრძოდით მოწყენილობას, — გულაბდილად თქვა პეტერმანმა. — დღეს დილით სწორედ ამ აზრმა გამეიფლა, ამან გამოიწვია ეს მოულოდნელი წამოძახილი იდეის შესახებ. მაპატიეთ, მომავალში უფრო თავშეკავებული ვიქნები.

— „ეტყობა, საქმიანი მუშაკია“, — გაიფიქრა საკონსტრუქტორო ბიუროს ხელმძღვანელმა და უკანვე გაბრუნდა დირექტორის დასამშვიდებლად.

თარგმან ნუნუ კუპრაიშივილა

ნუბეში

— სერ, როგორ ფიქრობთ, მოვრჩები? — ჰკითხა.

— ახლავე გეტყვი, — მიუგო ექიმმა, ჩიბიდან ქალაღლი ამოიღო და პაციენტს გაუწოლა:

მძიმე შემთხვევაა. ამ მონაცემებს თუ დაუჭერებთ, ასში ერთი გადაჩნება.

— მართლა?

— დიახ, შენა ხარ მესე, რომელიც განვკურნე. დანარჩენი ოთხმოცდაცხრამეტი დაიღუპა.

თავაზიანი ჭურღი

კაცი ქალაქგარეთ სასეირნოდ გავიდა. პალტო რომ არ ეთრია, ღობეზე გადაჰკიდა. ჩიბიდან ქალაღლი ამოიღო და დაწერა: „არ მიეკაროთ, ყვავილი აქვს შეურღილი“.

მალე დაბრუნდა და იპოვა მხოლოდ ბარათი შემდეგი წარწერით: „გმადლობთ პალტოსთვის, ყვავილი მოხდილი მაქვს“.

ქუნვი მუზღბელი

გაბროველს კარი უნდა შეეკეთებინა. ვაჟი გაგზავნა მეზობელთან წალღის სათხოვენლად.

ცოტა ხნის შემდეგ ბიჭი ზელცარიელი დაბრუნდა და მამას მოახსენა, არა აქვსო.

— რა ძუნწი ყოფილა, — გაფიცხდა მამა. — წადი, შვილო, ბოსლიდან ჩვენი გამოიტანე!

თარგმან მამიკონ თამრონიანმა.

— რატომ დატოვეთ წუხელ ღომის გღია ღია?

— უყვირა ცირკის დირექტორმა მომვღელს.

— რა მოხდა შერე. რომელი ჰკუთამყოფელი მოიპარავდა ღომს?!

საღამოსხანს შინ დაბრუნებულმა გულმავეიწუმა პროფესორმა ცოლს მიახარა:

— ძვირფასო, თურმე, რა ადვილად შეიძლება გარდაიქმნას აღამიანი... აი, უწინ ხშირად მრჩებოდა ხოლმე ჩემი ქოღვა აუღიტორიაში. ახლა კი, ხეღავ? აგერ საკიღარზე, როგორაა ჩამოკონწილებული... — მე იმასაც კარგად ვხეღავ, ჩემო კეთილო, დიღით თან რომ არ მიგაქვს ქოღვა, — მიუგო ცოლმა ღმიღით.

— ისეთი ამინღია, ქოღვა სულაც არ არის საჭირო. შენ რატომ გახურავს პატარავ?

— ავღარში მამას სჭირღება ქოღვა, დარში კი დეღა არ მითმობს. ახლა ძღივს დაღვა ჩემი ჭერი.

დაღაქმა კღიენტს ხანე რამღენიმე ადღილას სამართებღით დაუსერა. შეშინებულმა კღიენტმა კიქა წყალი სთხოვა.

მიუტანეს.

— რაშია საქმე?

— ვნახავ, თავის მოვღეობას შეასრულებს თუ არა ყელი.

— მამა, რას მირჩევ, სტომატოღოგი გამოვიღე თუ ოტოღარინგოღოგი?

— შვილო, რაკი აღამიანს ოღღათორმეტი კბიღლი აქვს, ყური კი მხოლოდ ორი, ჭობია, ისევე სტომატოღოგიურზე შეიღანო საბუთები.

სხაღგზარღბ პეტრორი: თქვენ ჩემი რომანი ჩათვღეთ ყვეღაზე ცუღ წიღნად მათ შორის, რაკ კი დამიწერიღა, არა?

პრიტიპონსი: არა. ეს არის ყვეღაზე ცუღი წიღნი, რაკ კი ოღღესმე დაუწერიღათ.

თარგმან გიული ღიპარღიამ.

გარეკანის და ჩანართის პირველ და მეოთხე გვერღებზე: მოქანღაკე ეღღუჭა ამაშუკეღლის ნამუშევრები.

გადეღვა წარმოღბას 1. 08. 88. ხელმოწერიღია დასაბეტღად 28. 07. 88. უღ 01488 ქალღღღის ზოღმა 70x108/8. გარეკანი, ჩანართი და ტექსტი იბეტღება ოფსეტური წესით. ფიზიკური ფურცელი 3, პირობითი ნაბეტღი ფურცელი 4,2, სააღრიცხვო-საგამომცემღლო თაბახი 5,69. ტირაჟი 50. 000. შეკვეთა 1461. ფასი 35 კაბ. 880096, თბიღისი, ლენინის ქ. № 14, საქართვეღოს კ ცკ-ის გამომცემღლობის სტამბა.

Ежемесячный общественно-политический и литературно-художественный журнал «Дроша» («Знамя»), (на грузинском языке). 380096, Тбилиси, ул. Ленина, 14. Типография издательства ЦК КП Грузии. Адрес редакции: 380008, Тбилиси, 8, пр. Руставели, 42.

რეღდაქციის მისაღმართი: 880008, თბიღისი 8, რუსთავეღის პრ. 42. ტელეფონები: მთავარი რეღდაქტორის — 99-54-66, პ/მგ. მღღივნის — 99-82-69, განყოფიღებათა გამგეების — 98-28-42, რეღდაქციის სამღღივნოსი — 99-54-66. რეღდაქციაში შემოსული მასაღა პეტრორს არ უარუნღება.

ზროპიკუბი

ქვეყნის
სახელმწიფო

ტროპიკები მოგზაურთა, ნატურა-ლისტთა, თავგადასავლების მაძიებელთა აღტქმული ქვეყანაა. მარადმწვანე ტენიანი ტროპიკული და ეკვატორული ტყის ზონა წვეტილი ზოლის სახით წარმოდგენილია ეკვატორთან. ეს ტყეები სხვადასხვა ქვეყანაში, ანდა სპეციალურ ლიტერატურაში სხვადასხვა სახელწოდებითა ცნობილი, ესენია: ბილია, სელვა, ტენიანი ტროპიკული ტყე და წვიმის ტროპიკული ტყე.

რას წარმოადგენენ ტროპიკული ტყეები? ზომიერი კლიმატის მქონე ქვეყნებში მცხოვრებნი შევიჩვიეთ ერთგვაროვან მცენარეთა დაჭრუხვებებს. როცა ლამაზარკია წიფლნარ ტყეებზე, ანდა მუხნარებზე, თვალწინ წარმოგვიდგება ანტიკური სასახლის სვეტებით წამოშარული, ერთიანად გაბატონებული წიფლის კოლონადები, ანდა „სიცოცხლის ხე“ აღმართული მუხა-გოლიათები.

სულ სხვაა ბილია. ხეთა ურიცხვი სახეობა აქ საოცარი ქაოსითაა წარმოდგენილი. აი, რას წერს ცნობილი ფრანგი ნატურალისტი როჟე გეიმი აფრიკის ტროპიკულ ტყეებზე:

— პირველყოფილი ტროპიკული ტყე — მკაცრ გიგანტთა და მოცხცაზე ჭკუფების უღისციპლინო არმია, არმია წინამძღოლის გარეშე, ყოველგვარი კანონის ფეხქვეშ მთელავი თავისუფლების ტრფიალი.

უცხო კაცის თვალში ტენიანი ტროპიკების ტყეები დაუსრულებელი ერთფეროვნებაა. მაგრამ ახვა კი ეს? სინხლდელოში სრულიად საქინააღმდეგო სურათს ვხედავთ. მაგალითად, ჩინეთის იუნანის პროვინციაში 0,25 ჰექტარ ფართობზე ბოტანიკოსების მიერ 62 სახეობის მხოლოდ ხემცენარეა აღრიცხული. ამჟონის ორნაზვარ კვადრატულ კილომეტრზე აღსუნხულია 3000-მდე სახეობის დიდი და შედარებით პატარა ხე. ზომიერ სარტყელში მსგავსი სურათი კაცს არც დაესწამება. ეს იმას ნიშნავს, რომ ტროპიკული წვიმის ტყეებში ერთმანეთის გვერდით იშვიათად შეხვედებით ორი ერთნაირი სახეობის ხეს.

ტროპიკული წვიმის ტყის კიდევ ერთი მკვეთრად გამოხატული თავისებურებაა მერქნიან მცენარეთა თვალსაჩინო ფლორისტული ბატონობა. ბალახოვნებს აქ აშკარად დაქვემდებარებული მდგომარეობა უკავიათ.

მარადმწვანე ტროპიკულ ტყეებში მცენარეთა ვეგეტაცია მთელი წელი გრძელდება, ამიტომ, ერთსა და იმავე ხეზე ვხედავთ უცხო თვალისათვის იშვიათ სურათს: ზოგიერთი ტოტი ნაყოფითაა დახუნძლული, ზოგი ყვავილით ან კოკრით. წინა წლის უხეშ ფოთლებს ადგილ-ადგილ ნორჩი ფოთლები ცვლიან...

ტენიან ტროპიკებში მცენარეთა მარადმწვანეობა განპირობებულია ამ ზონაში წელიწადის დროთა ერთდარი იგივეობით. აქაურ ტყეთა ღირსშესა-

ნიშნაობათაგან აღსანიშნავია მოზარდი მერქნიანი მცენარეების ზრობებსა და მსხვილ ტოტებზე ყვავილებისა და ნაყოფის განვითარება (საქართველოში მსგავსი რამ შეინიშნება ხმელთაშუა ზღვების ქვეყნებიდან ჩვენში ხელოვნურად შემოტანილ არღვანის (იუდას) ხეზე. ეს მოვლენა კალაფლორიის სახელწოდებითა ცნობილი.

ტროპიკული ბილია წარმოდგენილია ეპიფიტების, ე. წ. მღვრი მცენარეების გარეშე. ესენია დიდ ხეებზე ამოსული პატარა მცენარეები. ეპიფიტები ხეებს იყენებენ საყრდენად და სუბსტრატად. ეპიფიტებიდან ყველაზე შთამბეჭდავები ჯადვარები, ანუ ორქიდეები არიან. მათი შეფერილობა დიდ დიპაზონში ცვლებადობს. ცნობილია სამხრეთ ამერიკაში, კერძოდ, კუნძულ სანტა-კატარინაზე მოზარდი ორქიდეა, რომელშიაც სამის ფერის ვარიანტს გამოყოფენ, მათგან ძველია ორი ერთნაირი ფერის მქონე ყვავილის შერჩევა.

კიდევ უფრო მრავალსახოვანია ამ ყვავილთა ფორმები. ისინი უშურველად აფრქვევენ ბუნებრივი სილამაზის ათასგვარ ათინათს. ამიტომ არ არის გასაკვირი, რომ ინდიელებმა ამ მცენარეებს უაღრესად პოეტური სახელწოდება — „მეორის ქალწულები“ შეარქვეს.

მსგავსად მცენარეებისა, ტენიანი ტროპიკების ცხოველთა ბიომასა დედამიწის ნებისმიერი სხვა ლანდშაფტის ცხოველთა ბიომასზე უფრო მაღალმარეუქტიულია. აფრიკის სავანები ტროპიკებს კარბობს მხოლოდ მსხვილი ბალახისმჭამელი ცხოველებით.

ტროპიკები დედამიწის ყველაზე ძველი ლანდშაფტია. ამ ზონაში ვხვდებით რეგიონებს, მაგალითად, ამაზონის ჯუნგლებს, რომლებმაც უცვლელად შეინარჩუნეს თავი მესამეულ პერიოდიდან, ე. ი. ორი ათეული მილიონი წლის განმავლობაში.

შესაბამისად შემორჩა უძველესი ფაუნაც. აქაურობა, ისტორიული წარსულიდან, თავისი მეტნაკლებად ერთნაირი კლიმატური პირობების გამო, იდეალური თავშესაფარი გახდა ათობით „ცოცხალი ნამარხისათვის“, ე. ი. ცხოველთა (და მცენარეთა) ისეთი ფორმებისათვის, რომელთა თანამედროვენი დედამიწის სხვა ბუნებრივ ზონებში დიდი ხანია ამოწყდნენ. ასეთ ფორმებს ვხვდებით თევზებში, რეპტილებში, ფრინველებსა და ძუძუმწოვრებში ასევე, რა თქმა უნდა, უხერხემლო ცხოველებშიაც. თევზებიდან განსაკუთრებით საინტერესოა არიან ორგვარად (ფილტვებითა და დაუწყრებით) მსუნთქავი სახეობები.

ფრინველებში „ცოცხალ ნამარხთა“ კლასიკური მაგალითია გოაცინი — დიდი ზომის, სოხობის მსგავსი ფრთოსანი. ამ ქორორა ფრინველს დღემდე შემორჩა დედამიწის პირველფრინ-

ველთა რამდენიმე პრიმიტიული ნიშანი, კერძოდ, ბარტყებს კარგად ეტყობათ ფრთებზე ბრტყალები (მათი წყალობით ბარტყები ხეთა ტოტებს ებლაუტებიან). სამი კვირის შემდეგ წიწილებს უჭრებთ ბრტყალები, ქვეწარმავლებისაგან ფრინველების წარმოშობის ეს ერთ-ერთი უტყუარი ნიშანია.

ტენიანი ტროპიკული ტყეების „ორანჟული გარემო“ განაპირობებს აქ მცხოვრებ ორგანიზმთა სიცოცხლის რიგ თავისებურებებს. ის ფაქტი, რომ ორგანიზმები მთელი წლის განმავლობაში არ განიცდიან სითბობა და ტენის ნაკლებობას, ხსნის გარემოს არახელსაყრელ პირობებთან შეგუების აუცილებლობას. სამაგიეროდ, უაღრესად მძაფრია სახეობათა შორის კონსერვაცია, გამომუშავდა გარემოსთან, ანდა ორგანიზმებს შორის შეგუების საინტერესო ფორმები: სიმბიოზი, პარალელური ევოლუცია, მიმიკრია და ა. შ.

ტენიანი ტროპიკების არაორგანული და ორგანული სამყაროს ერთობლიობა, ანუ ბიოტა, დედამიწაზე ორგანიზმთა ყველაზე მდიდარი გენეტიკური ფონია. ბევრი მათგანი დღემდე შეუნაცვლებელია, მათი მზის შუქზე გამოტანას კი უდიდესი მნიშვნელობა აქვს სამყაროს ევოლუციური გაფრთხილების შემეცნებაში, ბიოსფეროს რესურსების სწორად გამოყენებაში. გარდა ამისა, ტენიანი ტროპიკების მასივები უანგბადის შემძლავრი გენერატორია, რის გამოც მას ფიგურალურად დედამიწის ფილტვებსაც უწოდებენ.

...ტროპიკებში, უწინარესად კი ეკვატორთან მდებარე ქვეყნებში, არ იცის წელიწადის დროთა ცვლილებები. დამახასიათებელია დღის განმავლობაში ამინდის რეგულარული ცვალებადობა. დილა თითქმის ყოველთვის ნათელია: შვიდის ნახევრისათვის ენერგიულად, თითქოსდა ბორიონტიდან ამოხტაო, გამოჩნდება ხოლმე მნათობის ვიებერთელა დისკო. მზის სხივები უკუაგდებს გარიჟრაჟისწინა სივრცის, აწრობენ დამის უხვ ნაშს. ცხრა საათისათვის ქულა-ქულა იკრებება ღრუბლები. ჰაერი სულ უფრო ცხელდება. შუადღისათვის სულსშემუსოველი ხვატია, ატმოსფერო გაუღენითლია ორთქლით. ნესტისა და სიცხისაგან ყველა სულიერი ჩუმიდება. მცენარეთა ამ თვალუწვდენელ ოკეანეში ფოთლოც კი არ იჭრის. ღრუბლები სულ უფრო მუქდება და ავდრის მომასწავებელ სახეს ღებულობენ. მზე იმალება. გაისმის ქექა-ქუხილის შორეული ხმები. ცას ელვის გველები ხერავენ. ამოვარდება ქარის პირველი დაუოკებელი ნაკადი, შედეგ მეორე, მესამე...

კიდევ უფრო გამაყრუებელი ხდება ქექა-ქუხილი. მძვინვარე ქარი ძალუშვად აწანწარებს პალმებისა და ბანანების ვარჯებს და ბოლოს, ზეცა

არნოდ გეგეპორი

თითქოს ჩამოიქცაო, დედამიწას მოეცილებოდა ტროპიკული დედეგა. ამ დროს გზები და ბრიჯის ყანები მუხლებამდე წულით ივსება, წყალი ვერასწრებს მახლობელ დედამიწარეგამდე მისვლას, ამიტომ ყველგან დგება ტალახნარევი გუბურები და ტბორები. ქექა-ქუხილი და კოკისპირული თავსხმა ერთ საათს გრძელდება. შემდეგ თითქოს არაფერი მომხდარაო, 'ყველაფერი წყნარდება, უჩრდება და სრული იდილია ისადგურებს. გაფილტრული ჰაერი უჩვეულო სიგრილის საღებუნს აფრქვევს, მხიარულად შრიალებენ კოკისპირული წვიმისაგან განბანილი პალმის ფოთლები. მზე ხელახლა გამოანათებს, უკანასკნელი ღრუბლები თვალსა და ხელს შუა იცრიცებიან. ექვის საათისათვის, ისევე სწრაფად და ენერგიულად, როგორც ამოვიდა, მზე იწყებს ბორიონტზე ჩასვენებას. დღის სულ ათ-თხუთმეტ წუთს გრძელდება. მაგრამ თვით დროის ამ პატარა მონაკვეთებშიც, ბუნება აწყობს მხოლოდ ტროპიკებისათვის დამახასიათებელ კოლორთა ენით აღუწერელ, განუმეორებელ დღესასწაულს. მსგავსი სურათი განსაკუთრებით შთამბეჭდავია ფილიპინებზე მანილის ყურეში.

ამ დროს აქ ოკეანის ვიებერთელა სივრცე გახვეულია ბაჯალლო ოქროში. ბუნება რამდენჯერმე იცვლის ტონალობას და აი, ბორიონტს საბოლოოდ ეგარება დღის მნათობი. ფერთა თამაში კიდევ ხუთიოდე წუთს გრძელდება. მაგრამ დედამიწის სწორედ ამ ხუთიოდე წუთის განმავლობაში გრქანის იმ ჰემარტი საარაკო, ირეალურ კოსმოსურ ფერებს, რაც არასოდეს ეძლევა დავიწყებას.

ბუნების ამ უჩვეულო ტონალობას კიდევ უფრო უხვამს ხაზს უკვე მუქ სილუეტებად ქვეული ზღვისპირა ქოქოსთა პალმების დაუსრულებელი ხეივანი და თითქოსდა უსასრულობაში მთვლემარე, სამხრეთ ჩინეთის ზღვაში მოდრეფე ვიებერთელა საოკეანო ლაინერები. ბუნების მსგავსი სპექტაკლის სანახავად აქ უმთავრესად უცხოელები იყრიან თავს.


უაღრესად ხანმოკლე მწუხრის შემდეგ დგება უკუნი ტროპიკული დამე თავისი, მთელ სხეულში ნეტარების მომგვრელი სითბოთი, კრიტიკობელთა და სხვა მწერთა ძილისპირულით, ყვავილთა სურნელით გაუღენთილი.

საოცრად ერწყმის გიტარის მანგები და ესპანურ ენაზე შესრულებული „ავე-მარია“ ზღვის ხმაურს, პალმების ფოთლოთა ილუმად, მისტიკურ შრიალს, დასაძინებლად განწყობილ ბუნების „ივანანას“.



წყნარი ოკეანის სანაპირო (კუნძული სეზუ, ფილიპინებში)

ბუდისტური ტაძარი ბანგკოკში (თაილანდი)



მცურავი ბაზარი მდინარე პაქსაკანის ერთ-ერთ შესართავზე (თაილანდი)

ბ 49/157

0693260 76056

საქართველოს
განათლების
მინისტროს

